# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 სექტემბერი **შაბათი** 2013

№229 (14 145) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



10

# ერთი ქართველის 3 ოქრო



ნუგზარ სხირელი

კარგი იქნება, ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვა და საქმე ერთმანეთს პასუხობდეს

10,11

მუდამ ვაღიარებ მის პროფესიონალიზმს და არა ბატონ ნუგზარს, არამედ ნუგზარ მასწავლებელს ვეძახი



ლუკა კურტანიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ჩუბჩიკე



11

## კეჭოუკა გოცირიძე, პეიპატირო ტოგო და პორტ არტური

ძიგარო კანოს სმენოდა, რომ კავკასიაში ურჩი, მუდამ მებრძოლი და იაპონიასავით ძველი კულტურის ქვეყანა არსებობდა

# არის ლიცენზია!



ელენე გელევანიშვილის მესამე ოლიმპიადა

12

## ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე და გიორგი შერმადინი სიმბოლურ ნაკრებში




*The players were picked according to their position and efficiency ranking on the day in question.

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

**29.09. თბილისი. მ. მესხი 16:00**

**სიონი** – **ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები: 4: +2 =0 -2 (4:5)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | 1:0 (სთ) |
| მერანი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| სტუ-სიონი | 2:5 (სთ) |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-სიონი | 2:1 (სჩ) |
| ლოკომოტივი-ჩიხურა | 0:3 (სთ) |
| ჩიხურა-დილა | 3:1 (სჩ) |
| მერანი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ჩიხურა | 0:2 (სჩ) |

**29.09. თბილისი. დინამო-არენა 18:00 (LIVE პირველ არხზე)**

**დინამო თბ** – **მერანი**

ურთიერთშეხვედრები: 6: +4 =1 -1 (15:7)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ხ)-დინამო | 0:9 (სთ) |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 (სჩ) |
| დინამო-სპარტაკი | 2:0 (სჩ) |
| დინამო-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| გურია-დინამო | 2:1 (სჩ) |
| გურია-მერანი | 1:2 (სთ) |
| მერანი-სიონი | 2:0 (სჩ) |
| მერანი-სამტრედია | 0:0 (სთ) |
| მერანი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 3:0 (სჩ) |

**29.09. რუსთავი. ფოლადი 16:00**

**მეტალურგი** – **ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები: 19: +15 =1 -3 (36:15)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-კოლხეთი (ფ) | 2:0 (სთ) |
| გურია-მეტალურგი | 3:1 (სჩ) |
| გაგრა-მეტალურგი | 1:1 (სთ) |
| მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| დილა-მეტალურგი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:0 (სთ) |
| კოლხეთი (ხ)-ზუგდიდი | 2:1 (სთ) |
| დინამო-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-სიონი | 2:1 (სჩ) |
| მერანი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |

**29.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00**

**ზესტაფონი** – **გურია**

ურთიერთშეხვედრები: არ შეხვედრიან

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ზესტაფონი | 1:0 (სთ) |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სულორი | 5:0 (სთ) |
| ზესტაფონი-დილა | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| გურია-მერანი | 1:2 (სთ) |
| გურია-მეტალურგი | 3:1 (სჩ) |
| საპოვნელა-გურია | 2:3 (სთ) |
| ტორპედო-გურია | 1:0 (სჩ) |
| გურია-დინამო თბ | 2:1 (სჩ) |

**29.09. გორი. თ. ბურჯანაძე 16:00**

**დილა** – **სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები: 4: +0 =2 -2 (3:7)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-დინამო (ბთ) | 1:0 (სთ) |
| ჩიხურა-დილა | 3:1 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-დილა | 2:0 (სჩ) |
| დილა-მეტალურგი | 3:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 2:2 (სთ) |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| დინამო-სპარტაკი | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| ჭიათურა-სპარტაკი | 2:3 (სთ) |

**30.09. ქუთაისი. ცენტრალური 17:00**

**ტორპედო** – **ვიტ ჯორჯია**

ურთიერთშეხვედრები: 34: +13 =14 -7 (37:26)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ტორპედო-სპარტაკი | 2:2 (სთ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-გურია | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |
| შუქურა-ვიტ ჯორჯია | 1:0 (სთ) |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:2 (სჩ) |
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 3:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ჩიხურა | 0:2 (სჩ) |

**ჯამური სტატისტიკა**

| VII ტ | | სულ |
|---|---|---|
| 6 | მატჩი | 36 |
| 4 | მასპინძლების მოგება | 21 |
| 1(1) | ფრე (ნულოვანი) | 7(4) |
| 1 | სტუმრების მოგება | 8 |
| 13 | გოლები | 82 |
| 9 | მასპინძლები | 53 |
| 4 | სტუმრები | 29 |
| 2.17 | საშუალო შედეგიანობა | 2.28 |

**სულ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 6 | 4 | 1 | 1 | 11 | 4 | 13 |
| 2 | ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 13 | 8 | 12 |
| 3 | მერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 9 | 7 | 12 |
| 4 | ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 6 | 3 | 12 |
| 5 | გურია | 6 | 3 | 0 | 3 | 6 | 8 | 9 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 7 | 5 | 8 |
| 7 | დილა | 6 | 2 | 2 | 2 | 7 | 7 | 8 |
| 8 | მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 9 | სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 7 | 7 |
| 10 | ზუგდიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 3 | 9 | 5 |
| 11 | ზესტაფონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5 | 7 | 4 |
| 12 | სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 2 | 8 | 3 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მერანი | 4 | 4 | 0 | 0 | 9 | 3 | 12 |
| 2 | დინამო თბ | 3 | 3 | 0 | 0 | 7 | 1 | 9 |
| 3 | გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 6 | 2 | 9 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 4 | 6 |
| 5 | ჩიხურა | 3 | 2 | 0 | 1 | 6 | 4 | 6 |
| 6 | ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 1 | 5 |
| 7 | ზუგდიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 |
| 8 | დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 1 | 4 |
| 9 | სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 3 | 4 |
| 10 | მეტალურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| 11 | ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | 3 | 3 |
| 12 | სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 3 | 3 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4 | 2 | 7 |
| 2 | ჩიხურა | 3 | 2 | 0 | 1 | 7 | 4 | 6 |
| 3 | დინამო თბ | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 3 | 4 |
| 4 | დილა | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 |
| 5 | მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 6 | სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3 | 4 | 3 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 |
| 8 | ზესტაფონი | 4 | 0 | 1 | 3 | 1 | 4 | 1 |
| 9 | სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 5 | 0 |
| 10 | მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 4 | 0 |
| 11 | ზუგდიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 | 0 |
| 12 | გურია | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 4 |
| ლ. ახალაია (სიონი) | 3 |
| გ. დოლიძე (დილა) | 3 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 3 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 3 |
| ი. ქობალია (ზესტაფონი) | 3 |
| შ. ბაბუნაშვილი (მერანი) | 2 |
| გ. დათუნაიშვილი (ჩიხურა) | 2 |
| ჯ. დვალი (დინამო თბ) | 2 |
| ე. გრიგალაშვილი (დინამო თბ) | 2 |
| გ. მერებაშვილი (დინამო თბ) | 2 |
| ვ. ისიანი (გურია) | 2 |
| თ. კაპანაძე (ტორპედო) | 2 |
| დ. კირკიტაძე (მეტალურგი) | 2 |
| გ. კორიფაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ე. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |

**მომდევნო ტური**

**6 ოქტომბერი, კვირა**

ჩიხურა-სპარტაკი
გურია-დილა
ზუგდიდი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
მერანი-ტორპედო
სიონი-დინამო თბ

# მომზადების ფასი

**ნინა კვირას კალენდარული ტური, სამი დღის წინათ - საქართველოს თასის პირველი მერვედფინალური შეხვედრები, ხვალ - მორიგი ტურის მატჩები, - ასეთი შემჭიდროვებული გრაფიკით ჩვენს გუნდებს პირველი წრის ბოლომდე კიდევ ერთხელ (20-30 ოქტომბერი) მოუწევთ ასპარეზობა...**

**თუმცა მანამდე კიდევ ორი ტურია და მერე უკვე სანაკრებო პაუზაც, ალბათ, მისწრება იქნება ქართული გუნდებისათვის. ადრეც არაერთხელ ალვნიშნეთ, რომ ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ასპარეზობისას მთლად გადამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორ ძირითად ფაქტორს:**

**1) რამდენად საფუძვლიანად მოემზადა ესა თუ ის გუნდი წინასასეზონო შეკრებაზე; 2) რამდენად გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს ამა თუ იმ გუნდს. შეგახსენებთ, რომ შუა კვირას ჩატარებულ თასის პირველ მერვედფინალებში, რამდენიმე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში როტაცია მოახდინა, თუმცა იმას კი ვერ ვიტყვით, რომ ეს გადაადგილებები ყველასათვის შედეგიანი აღმოჩნდა.**

**ასეა თუ ისე, ამ ტურით ეს „ცხრადღიანი მარათონი" სრულდება, ოღონდ, ვეჭვობთ, რომ იგივე წინა ტურისაგან განსხვავებით, ამჯერად სატურნირო ცხრილში სერიოზული ცვლილებები მოხდეს. თუმცა, ამ ბოლო დროს ჩვენი ჩემპიონატი ხომ, ცოტა არ იყოს, ძნელადპროგნოზირებად გათამაშებად იქცა...**




დინამო სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება

## დინამო-მერანი

ისე როგორც წინა ტურში, არც ამჯერად არის ისეთი მატჩი, „პრინციპულსა" თუ „ცენტრალურ" დაპირისპირებად რომ მივიჩნევთ-ხოლმე; თუმცა ყველაზე დიდ ინტერესს, ჩვენი აზრით, მაინც ეს წყვილი იწვევს: ამ სეზონის უპირობო ფავორიტი თბილისის „დინამო" XXV ჩემპიონატის სტარტის მთავარ გუნდსიურპრიზს, მარტვილის „მერანს" უმასპინძლებს!

სათასო პაექრობის ჩათვლით „დინამომ" ბოლო ოთხი შეხვედრა ისე მოიგო, რომ მეტოქეთა კარში 16 გოლი გაიტანა და საკუთარში არც ერთი მიიღო; „მერანი" კი, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, 6 ტურის შემდეგ მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს; ანუ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხვალ... ლიდერთა მატჩია, თუმცა, მარტვილელთა გუნდის მიმართ დიდი სიმპათიის მიუხედავად, წყვილის ფავორიტად მაინც „დინამო" მიგვაჩნია.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ **მალხაზ ჟვანიას** დამოძღვრილი გუნდი ხვალ წინასწარ იქნება მარცხს შეგუებული. აქვე, მართლაც ძალიან საინტერესოა, თუ როგორ შემადგენლობას დაეყრდნობა „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი**: ხობის „კოლხეთთან" სათასო მატჩში თავი ხომ იმ ფეხბურთელებმა გამოიჩინეს, ძირითადში თამაში იშვიათად რომ უწევთ.

## სიონი-ჩიხურა

დისკვალიფიკაცია: **ლაშა პარუნაშვილი** (სიონი)

ხვალ თბილისში კიდევ ერთი საინტერესო მატჩის მომსწრე უნდა გავხდეთ: ბოლო დრო არასტაბილურად მოასპარეზე „სიონმა" კიდევ ერთ ლიდერს, „ჩიხურას" უნდა უმასპინძლოს. ბოლნისურ კლუბს ჩემპიონატში უკვე სამი ტურია არ მოუგია, არადა, შემადგენლობა ურიგო ნამდვილად არა ჰყავთ.

შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი სწორედ „სიონში" ასპარეზობს და მათი რიცხვი ახლახან ჩატარებული სათასო პაექრობის შემდეგ კიდევ გაიზარდა: ორწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა 30 წლის **ირაკლი სამხარაძე** (რომელსაც თავის დროზე სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ), 33 წლის **ვალერი აბრამიძე** კი საქართველოს ჩემპიონატში ოთხწლიანი განშორების მერე უნდა გამოჩნდეს.

საერთოდაც, „სიონის" მთავარ მწვრთნელს **გიორგი კიკნაძეს** კვალიფიციური ფეხბურთელების დიდი არჩევანი აქვს, აი, მისი გამოცდილი კოლეგის **სოსო ფრუიძის** გუნდის ძირითად ბირთვს 15-16 მოთამაშე შეადგენს. სხვათა შორის, „სიონის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ჩვენი შეხსენება არ სჭირდებათ იმის თაობაზე, რომ „ჩიხურა" ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გუნდია.

## დილა-სპარტაკი

დისკვალიფიკაცია: **კახა ალადაშვილი** (დილა)

ჩემპიონატში სამმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, „დილამ" ნავსი გატეხა: თასის პირველ მერვედფინალში პირველი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ბათუმის „დინამო" მინიმალური სხვაობით დაამარცხა. იმ შეხვედრაში გორელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** ძირითად შემადგენლობაში სერიოზულ როტაციას მიმართა, თუმცა, ხვალ ვის დაეყრდნობა, ძნელი სათქმელია.

ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში მოპოვებულმა მხოლოდ ერთმა ქულამ „დილა" ლიდერებს კი დააშორა, მაგრამ ეს ჩამორჩენა კატასტროფული ნამდვილად არ არის. სამაგიეროდ, „სპარტაკი" გამოდის ნელ-ნელა კრიზისიდან: წინა ტურში **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა ჩემპიონატში პირველი მატჩი მოიგო, შემდეგ კი ქუთაისში, „ტორპედოსთან" თასზე 2:2 ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ „დილას" ჯერჯერობით არც ერთი მატჩი არ მოუგია „სპარტაკისთვის"; ოღონდ, ორი წლის წინათ „სპარტაკმა" თუ „ჩვეულებრივ" მატჩში შეძლო „დილას" სტუმრად დამარცხება, 2007-08 წლების სეზონში ცხინვალელებმა ეს გამარჯვება, ფაქტობრივად, უბრძოლველად მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ იმ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „დილა" თამაშს-თამაშზე აგებდა, გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და პროტესტის ნიშნად, ამ გუნდის ფეხბურთელები „სპარტაკთან" შეხვედრის მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გავიდნენ! ანუ, „დილას" ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალა.

## ზესტაფონი-გურია

დისკვალიფიკაცია: **ილია კანდელაკი** (ზესტაფონი), **თენგიზ ჩიკვილაძე** (გურია)

„გურია" რომ სტუმრადაც ასევე წარმატებულად თამაშობდეს, როგორც საკუთარ მოედანზე, მაშინ, ალბათ... ჩემპიონობაზეც ექნებოდა პრეტენზია. ლანჩხუთელებს შინ თუ 100-პროცენტიანი შედეგი აქვთ, სამაგიეროდ სტუმრად სამივე მატჩი წააგეს და ჯერ გოლიც არ გაუტანიათ.

თუმცა, დღესდღეობით „გურია" თავისთვის ერთობ კომფორტულ პოზიციაზე (V ადგილი) იმყოფება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით საქართველოს ორგზის ჩემპიონზე. გასაგებია, რომ ახალ მწვრთნელს, სერბ სპეციალისტს **რატკო დოსტანიჩს** ახალ გარემოსთან შესაგუებლად გარკვეული დრო სჭირდებოდა (ისე როგორც „ზესტაფონის" ახალწვეულებს ერთმანეთთან შესათამაშებლად), მაგრამ მაინც მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ ამ გუნდის ბოლოსწინა ადგილზე ყოფნა.

„ზესტაფონი" და „გურია" ჩემპიონატში არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს, აი, თასზე კი წინა სეზონში ამ გუნდების დაპირისპირება ერთობ უცნაური „სცენარით" წარიმართა. შეგახსენებთ, რომ თასის მეოთხედფინალის ორივე დაპირისპირება, გუნდების შეთანხმებით, ზესტაფონში ჩატარდა და პირველი მატჩი, სადაც მასპინძლის სტატუსი „გურიას" ჰქონდა, „ზესტაფონმა" 1:0 მოიგო.

აი, „საპასუხო" შეხვედრა კი, ასევე ზესტაფონში" რომ ჩატარდა, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, „გურიას" გამარჯვებით (3:2) დამთავრდა და ნახევარფინალშიც ლანჩხუთელები გავიდნენ.

## მეტალურგი-ზუგდიდი

დისკვალიფიკაცია: **ლუკა გუგუჩია** (ზუგდიდი)

იმის გარდა, რომ „მეტალურგს" აშკარა უპირატესობა აქვს მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებში, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსთაველებს ყველა საშინაო მატჩი აქვს მოგებული ხვალინდელ მონინაალმდეგესთან!

ჰო, არ არის პატარა ამბავი, ცხრა მატჩში ცხრაჯერ რომ დაამარცხებ მეტოქეს. თუმცა, სტატისტიკა იქით იყოს და, ხვალ რუსთავში საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ. ახალგაზრდა სპეციალისტების, **გელა სანაიას** („მეტალურგი") და **კობა წიტაიშვილის** („ზუგდიდი") დამოძღვრილი გუნდების მონაწილეობით.

## ტორპედო-ვიტ ჯორჯია

ძველი მეტოქეების დაპირისპირებით VI ტური მთავრდება: ეს მატჩი დანარჩენი ხუთი შეხვედრისაგან განსხვავებით, ორშაბათს გაიმართება. მართალია, ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი „ტორპედომ" ფრედ დაამთავრა, ყოველივე ეს გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე კრიტიკულად არ ასახულა: ესპანელი სპეციალისტის, **ჟერარდ სარაგოსას** ახალგაზრდა გუნდი კვლავაც ლიდერებში იმყოფება.

ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს „ვიტ ჯორჯიასაც" და ამ გუნდთან წინასწარ ქულებს რომ ვერავინ დაგეგმავს, წინა ტურშიც დადასტურდა; შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს" ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა „ვეტერინართა" წინაალმდეგობის დასაძლევად.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

# გიორგი კიკნაძე
# ხერხემალს გამოცდილები ქმნიან

მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში „სიონი" სტაბილურად ჯერ ვერ თამაშობს, თუმცა თასის გათამაშების 1/8-ფინალის პირველ შეხვედრაში „ზესტაფონი" კი დაამარცხა 1:0. ხვალ ბოლნისელები საჩხერის „ჩიხურას" ეთამაშებიან, რომელიც მეორე ადგილზეა.
„სიონს" გიორგი კიკნაძე ავარჯიშებს, ვისაც მანამდე უმაღლესი ლიგის არაერთი გუნდი გაუწვრთნია ზაზა ზამთარაძესთან ერთად. კიკნაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

**- საშინაო შეხვედრებს „სიონი" თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ნეიტრალურ მოედანზე უმასპინძლებთ „ჩიხურასაც". რას ელით ამ მატჩისგან?**

- დაუგეგმავი, დასანანი ქულები დავკარგეთ უშუალო კონკურენტებთან და დროა, ეს დანაკლისი აღმოვფხვრათ. „ჩიხურა" კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, თუმცა თასზე „ზესტაფონთან" ნათამაშები მეორე ტაიმი მაძლევს იმის იმედს და საფუძველს, რომ დაკარგული ქულების შევსებას მალე შევუდგებით.

**- „ზესტაფონთან" შეხვედრაში „სიონმა" მეორე ტაიმი პირველზე უკეთ რომ ითამაშა, ეს მწვრთნელის ჩანაფიქრი იყო თუ, უბრალოდ, ასე გამოვიდა?**

- რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ჩანაფიქრი იყო. პირველ ტაიმში ფრთხილი ტაქტიკა ავირჩიეთ, რამაც, ალბათ, ცოტა არ იყოს, დააბნია „ზესტაფონი". პირველი ტაიმი დაზვერვითი ხასიათის იყო, მეორეში კი მოვახერხეთ გადაწყობა, შეტევაში უფრო აგრესიულად ავთამაშდით, ყველაფერი გეგმის მიხედვით გავაკეთეთ.

**- „სიონს" „ზესტაფონთან" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და „ჩიხურასთან" მატჩისთვის ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

- ლადო ახალაია, თორნიკე აფციაური და არჩილ ტვილდიანი „ჩიხურასთან" მატჩისთვის მზად იქნებიან.

**- „დინამოსგან" ინათხოვრეთ ტვილდიანი და პარუნაშვილი, რომლებიც სტრატეგიული მნიშვნელობის ფეხბურთელები არიან საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებისთვის. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ „სიონში" ისეთივე კარგი სავარჯიშო და მოსამზადებელი პირობები არ არის, როგორც „დინამოშია" და ეს ხელს ხომ არ შეუშლის ამ ფეხბურთელების წინსვლას?**

- ვფიქრობ, აქ უფრო „დინამოს" პრობლემასთან გვაქვს საქმე - გაუმართლებელია, ლეგიონერებში დიდი ფული გადაიხადო და ნიჭიერი ახალგაზრდები არ ათამაშო, როცა არის იმის საშუალება, რომ საერთაშორისო მატჩებში ამ ახალგაზრდებმა ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღონ - ეს ხომ „დინამოსაც" გამოადგება და ნაკრებსაც. ტვილდიანსა და პარუნაშვილს „სიონში" აქვთ იმის საშუალება, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ და ეს არის ყველაზე მთავარი. ისიც უნდა ითქვას - თუ დავინახავთ, რომ ამ ახალგაზრდებს თვითკმაყოფილება გაუჩნდებათ და პროგრესი შეუჩერდებათ, სპორტული დანდობა არ იქნება და მათ ადგილს სხვა დაიკავებს.

**- „სიონში" ბევრია 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელი - ამაზე რას იტყოდით?**

- როგორც ოთარ გაბელია ამბობს ხოლმე, ფეხბურთელის პასპორტში არ ვიყურები. თუ ფეხბურთელი აკმაყოფილებს ჩვენი ჩემპიონატის დონეს, მისი ასაკი ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია, ბალანსი იყოს შენარჩუნებული - ჩვენ გამოცდილებიც გვყავს და ახალგაზრდებიც, იმ პოზიციებზე კი, რამაც გუნდის ხერხემალი უნდა შექმნას, გამოცდილებს ვათამაშებთ.

**- ალექსანდრე გოგობერიშვილს მარცხენა მცველად ათამაშებთ, არადა, ეს ფეხბურთელი ყოველთვის გამოირჩეოდა ნახევარდაცვაში შედეგიანი თამაშით, შეტევაში კარგი ჩართვებით...**

- ვხელმძღვანელობთ იქიდან გამომდინარე, რომ მარცხენა მცველის ფუნქციებს ის კარგად ასრულებს და ამ პოზიციაზე სხვა ალტერნატივა არც გვაქვს. გოგობერიშვილი მაღალი დონის პროფესიონალია.

**- „სიონში" აიყვანეთ ირაკლი სამხარაძე, ვინც ერთ დროს ძალიან პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა, თუმცა...**

- ყველამ იცის, რომ სამხარაძე ნიჭიერია, უბრალოდ, ჰქონდა ჩავარდნები. როცა ის ფორმაში შევა, ძალიან სასარგებლო იქნება გუნდისთვის, „ზესტაფონთან" 11-მეტრიანით რომ გავიტანეთ, პენალტი კოკა მიკუჩაძემ მოიპოვა და იმ ეპიზოდში პასი სწორედ სამხარაძისგან მიიღო. პიროვნული თვისებები ყველას თავისებური აქვს და მიმაჩნია, რომ ყველასთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა.



გიორგი კიკნაძე (მარჯვნივ) და ზაზა ზამთარაძე ადრე ერთად მუშაობდნენ

**- „ზესტაფონთან" გოლის გამტანი მიკუჩაძე ახსენეთ, რომელიც შეცვლაზე ათამაშეთ, სასტარტოში კი ნიგერიელი მადუბუკე გაამწესეთ, რომელმაც თავი ვერ გამოიჩინა...**

- ჩემი ხედვა ასეთია: ცენტრფორვარდი ათლეტური უნდა იყოს და ამიტომაც ვათამაშეთ ნიგერიელი. მიკუჩაძეს თავისი პლუსები აქვს და ვცდილობთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს. მოკლედ, აქ საქმე ფიზიკურ კონდიციებშია. მიკუჩაძეს ორივე ტაიმის თამაში რომ შეეძლოს ისე, როგორც ეს „ზესტაფონთან" ბოლო ოც წუთში გააკეთა, დიდი შანსია, ძირითადში იყოს.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# თენგიზ ჩიკვილაძე
# გურია კიდევ მოუმატებს

თენგიზ ჩიკვილაძეს მეორე სუნთქვა გაეხსნა. ლანჩხუთის „გურიაში" გადასულ 30 წლის მარცხენა მცველს პოზიცია შეუცვალეს და დაცვის ცენტრში დააყენეს, რასაც სწრაფად აუღო ალღო და კვლავ გაიხსენა საუკეთესო წლები, როცა მარცხენა მცველად მოთამაშე ყველა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო... ბომბარდირი გახლდათ.
ამ სეზონში (ჩემპიონატსა და ეროვნულ თასზე) ლანჩხუთელთა უკანახაზელმა 8 შეხვედრა ჩაატარა და უკვე 4 გოლი გაიტანა. ბოლო ტურში მან რუსთავის „მეტალურგის" დამარცხებაშიც საკუთარი წვლილი გოლით შეიტანა...

- დიდ ფეხბურთში პირველი ნაბიჯი სწორედ ლანჩხუთის „გურიაში" გადავდგი. მაშინ 15 წლის ვიყავი. საფეხბურთო კლუბი „ოლიმპიკი", „გურიას" სახელით, პირველ ლიგაში გამოვიდა. კლუბის პრეზიდენტი კარლო მჭედლიძე გახლდათ, მწვრთნელი კი გიგლა იმნაძე. პროფესიონალ ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში მათ დიდი როლი ითამაშეს. სხვათა შორის, „ოლიმპიკში" ხელოვნურ საფარზე შეგნებულად უარი თქვეს და დღემდე არ აგებენ, რადგან ბავშვებზე ძალიან ცუდად მოქმედებს და კუნთიც სხვანაირად ვითარდება. მერე ბალახზე თამაში ჭირს... პირველი ოფიციალური მატჩი ნებისმიერ მოთამაშეს განსაკუთრებულად ამახსოვრდება. „გურიაში" მიწვევა ამიტომ გამიხარდა, ეს ჩემთვის მშობლიური კლუბია.

**- მაგრამ სეზონი უსიამოვნოდ დაიწყო. გუნდი თერთმეტმა მოთამაშემ დატოვა და ახალი კლუბის ჩამოყალიბება დაიწყეს...**

- გული დამწყდა, რადგან მათი დახმარებით „გურია" ბევრად ძლიერი იქნებოდა. მე და კოშკაძემ თავიდანვე ვიცოდით, რომ სასურველი ფინანსური მდგომარეობა არ იყო და არასტაბილურობისთვის მზად ვიყავით. სხვათა შორის, ახლა ვითარება გამოსწორდა.



თენგიზ ჩიკვილაძე (N 7)

**- გუნდიდან წასულებში თქვენი უახლოესი ნათესავი, მეკარე მიხეილ ალავიძეც იყო. ბევრს ეგონა, რომ გუნდს თქვენც დატოვებდით...**

- ეს სასიამოვნო არ ყოფილა და მეც მსურდა, რომ მიშა დარჩენილიყო. მაგრამ „გურიას" ხელმძღვანელებთან ჩემი მოლაპარაკება მქონდა და პირობა შევასრულე. სამწუხაროა, რომ პირობებზე ყველამ ვერ მოილაპარაკა.

**- მანამდე ბოლნისის „სიონში" თამაშობდით და საუკეთესოდ ნამდვილად ვერ გამოიყურებოდით...**

- მაშინ „სიონიც" ვერ თამაშობდა და ეს ყველა ფეხბურთელზე მოქმედებდა. ჩემი თავით უკმაყოფილო ვიყავი. ისეთ ცუდ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ და შემიძლია ვთქვა, რომ გასული სეზონი ჩავაგდე.

**- მერე, ხანგრძლივი პაუზის გამო, ფუტსალის ეროვნულ ჩემპიონატშიც ითამაშეთ. ეს ფორმის აღდგენაში დაგეხმარათ?**

- ფუტსალში იმხელა დატვირთვებია, რომ მართლაც შევედი ფორმაში. მაგრამ დიდ ფეხბურთში სათამაშო პრაქტიკა რომ მაკლდა, ეს ძალიან მოქმედებდა.

**- გურიამ" სეზონი არასტაბილურად დაიწყო, მაგრამ მნიშვნელოვანი თამაშებიც მოიგეთ...**

- მთელი აქცენტი საშინაო შეხვედრებზე გადავიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთში ვერ ვთამაშობთ და ეს ხელს ძალიან გვიშლის, მნიშვნელოვანი ქულები მოვიპოვეთ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ თამაშის ხარისხი საგრძნობლად გავაუმჯობესეთ. პირველ ტურში საშინლად გამოვიყურებოდით, რაც გასაკვირი არ იყო, რადგან რამდენიმე ფეხბურთელი პირველი მატჩის დღეს დავიმატეთ. მერე და მერე კი უკეთესად ავთამაშდით. ახლა გამოცდილი რუსი მცველი დავიმატეთ და მგონია, ვითარება კიდევ უფრო გამოსწორდება. მიმაჩნია, რომ სანაკრებო პაუზაც ნაყოფიერად გამოვიყენეთ, კარგი ვარჯიშები გვქონდა და თავს ბევრად უკეთ ვგრძნობთ.

**მერაბ მამულაშვილი**

პრობლემა

# არაბული ისევ ელოდება...



ბაჩანა არაბული

ქართველებს ყველგან ერთნაირი პრობლემები აქვთ - ევროპაშიც, რუსეთშიც... **ლაშა გვალიას** ამბავზე გუშინაც ვწერდით - აგვისტოში ეკატერინბურგის „ურალთან" გაფორმებული კონტრაქტის მიუხედავად, დღემდე თბილისშია და რუსეთის პრემიერლიგაში სადებიუტო შეხვედრას ვერა და ვერ ეღირსა.

ზუსტად ასეთი მდგომარეობაა **ბაჩანა არაბულის** თავს, ოღონდ, უკვე ევროკავშირის წევრ ესპანეთში. მან სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ალკორკონთან" კონტრაქტი 31 აგვისტოს გააფორმა, მაგრამ განაცხადში კვლავაც ვერ შეჰყავთ. არადა, საიჯარო ხელშეკრულების ვადის 20 პროცენტი უკვე გასულია - მისი ტრანსფერის მფლობელი „საბურთალო" ესპანელებს 19 წლის ქართველი თავდამსხმელის იჯარაზე 2014 წლის იანვრამდე შეუთანხმდა.

არაბული მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს თამაშობს. თუ გახსოვთ, „ხეტაფესთან" 6:1-ზე მოგებულ შეხვედრაში გოლიც გაიტანა, საგოლე პასიც გააკეთა და პენალტის უფლებაც მოიპოვა. მაგრამ... სამუშაო ვიზას დღემდე ელის.

*„ბაჩანა გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ელოდება, როდის მიეცემა თამაშის უფლება. იმედია, ეს საკითხი უახლოეს დღეებში მოგვარდება"*, - გვითხრა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1000 კვირის წვიმიანი

დავით თავართქილაძე

## მთავარია სურვილი

ძალიან ძნელია მოლოდინში ყოფნა, მაგრამ ასე მოიტანა ცხოვრებამ. მოლოდინი ორომტრიალი არ არის, კაცი რომ გააკაჟოს და როცა ეს წლობით გრძელდება, საქმეც დაღმა მიდის.

გაზაფხულზე არაერთხელ მოვისმინეთ დაპირება - სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთს არ მიატოვებსო, მაგრამ უკვე სექტემბერი იწურება და ჯერ ჩქამი არ ისმის, რაც ადრე იყო, ოდენ ის გვაქვს შერჩენილი - სახელმწიფოსგან ფული ისევ მიედინება საფეხბურთო კლუბებში, თუმცა რა პრინციპით, რა გათვლებით და პერსპექტივით, ჯერ არავინ იცის.

საქართველომ ფეხბურთისთვის ბოლომდე ვერ მოიცალა, სანახევროდ გაკეთებული საქმე კი ისეთია, წინ რომ ვერ წაგწევს. ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებია, „კოჰაბიტაციაც" დამთავრდება და გზა მერე გამოჩნდებაო, გზა განვითარების და კეთილდღეობის - მილეთი ამ იმედს ეჭიდება და ასეთ რეჟიმში არიან საფეხბურთო კლუბებიც.

დღეს ისეთი ვითარებაა, რომ თბილისის „დინამოს" გარდა, დალაგებული სიტუაცია თითქმის არც ერთ კლუბში არ არის - ზოგს ფინანსურად უჭირს, ზოგი კი რაღაცას ელოდება, ალბათ „კოჰაბიტაციის" დასრულებას.

აბა წარმოიდგინეთ, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს რომ ჰქონდეს აწყობილი ინფრასტრუქტურა, რამდენიმე წელიწადზე გაწერილი ბიუჯეტი, გამართულად მოქმედი ასაკობრივი გუნდები, კვალიფიციური მწვრთნელები, კარგი სელექციონერები და ასე შემდეგ...

თუ გინდა, რომ ცხოვრება შეიგრძნო, ოცნება აუცილებელია - უთქვამს ირლანდიელ კლასიკოსს და დაახლოებით ასეა ქართული საკლუბო ფეხბურთის საქმეც - არის სიღარიბეც და პატარა რომანტიკაც.

კლუბებიც ვერ აქტიურობენ, ყოველ შემთხვევაში, მათგან ამას ვერ ვხედავთ. კარგა ხანია, კლუბების მესვეურები არ შეკრებილან.

ფეხბურთის ფედერაციის სურვილია, რომ პერიფერიებმა ასაკობრივი ნაკრებების საერთაშორისო მატჩებს უმასპინძლონ და ვფიქრობ, ეს მოსაწონი განზრახვაა, ფეხბურთის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, ოღონდაც, საკმარისი ვერ იქნება პერიფერიებისთვის - ფული და მისი სწორი ხარჯვა - ჯერ თუ

გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მაინც მოახერხეს „ზესტაფონის" დამარცხება.

**მირზა მერლანი, ზურაბ ბათიაშვილი, ვალერი აბრამიძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ირაკლი სამხარაძე, კოკა მიკუჩაძე, ლადო ახალაია...** საუკეთესო წლებში ისინი ისეთი ფეხბურთელები იყვნენ, მათი თამაშის სანახავად სტადიონზე მისვლა არ დაგეზარებოდა. „სიონს" დღეს ფინანსურად არ ულხინს, თორემ ასეთი მოთამაშეებისა და კარგი ახალგაზრდების ნაზავით ჩინებული გუნდი გაკეთდებოდა.

საერთოდ, ბოლო წლებში ჩვენთან ისეთი ტენდენცია წავიდა, რომ გამოცდილ ფეხბურთელებს ალმაცერად უყურებენ. ზოგი იმის მომხრეა, რომ ნებისმიერ ქართულ გუნდს ძირითად შემადგენლობაში მინიმუმ ორი 21-წლამდელი ფეხბურთელი ჰყავდეს - ამით ახალგაზრდებს დაწინაურების მეტი შანსი ექნებათო. ასეთი ხელოვნური პროცესებით კარგი შედეგისთვის ჯერ არავის მიუღწევია და ამ იდეამ ჩვენთანაც ვერ იპოვა დიდი მხარდაჭერა.

საქართველოს ჩემპიონატი „პრიმასტერების" ჩემპიონატს არ უნდა დაემსგავსოს, თორემ ის უკვე აღარ იქნება უმაღლესი ლიგა, რომლისთვისაც ფული უნდა დაიხარჯოს და რომელმაც გულშემატკივარი სტადიონზე უნდა მიიყვანოს.

„სიონის" გარდა, კიდევ შემორჩნენ გუნდები, გამოცდილ მოთამაშეებს რომ აფასებენ და ვფიქრობ, ეს კარგი მიმართულებაა, ოღონდაც, ყველაფერში ზომიერებაა ალბათ საჭირო.

■ ■ ■

**ლაშა დვალი** ინგლისურ „რედინგში" ჩაირიცხა, ლატვიიდან უკეთეს ევროპაში გააგრძელებს კარიერას - ეს სასიამოვნო ამბავიც გასულ კვირას მოხდა. ლაშას თამაშს წლეულს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც ვუყურეთ და ისეთი მონაცემების მცველია, ყველაზე უფრო რომ აკლია ჩვენს ეროვნულ ნაკრებს - ტექნიკური, ბურთის „ამომტანი"...

წელიწადში ერთხელ მაინც რომელიმე ქართველი ახალგაზრდა ევროპაში რომ წავიდეს ფეხბურთის სათამაშოდ, ამით ძალიან კარგი საქმე გაკეთდება - საქართველოს ფეხბურთელთა ექსპორტიორი ქვეყნის იმიჯი გაუმტკიცდება.



სიონს ალექსანდრე გოგობერიშვილის გამოცდილება არგია

ეს არ გაკეთდა, ასაკობრივი ნაკრების გორში თუ წყალტუბოში თამაშით რეგიონებში ფეხბურთი ვერ აღორძინდება.

მოკლედ, ისევ მოლოდინის რეჟიმში ვართ...

■ ■ ■

შუა კვირაში სათასო მატჩები გაიმართა. „სიონი"-„ზესტაფონზე" მომიწია ყოფნამ და საინტერესო თამაშიც ვნახე, გულშემატკივარი კი ცოტა მოვიდა. „სიონში", ერთი შეხედვით, მიმქრალი ვარსკვლავები თამაშობენ, თუმცა

როგორც ფრანგები იტყვიან, მთავარია სურვილი - Vouloir!

იყო ძვირად დაფასებული უკრაინის თუ რუსეთის რომელიმე საშუალო გუნდში, ესეც შრომატევადი საქმეა, ნიჭითა და გარჯით მისაღწევი. როცა ამას შეძლებ და ამავე დროს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელიც ხარ, ისევ გაქვს შანსი, ნახვიდე კარგ ევროპაში, მაგრამ ბევრს არ აქვს ამის სურვილი.

ამ თემაზე პოლემიკა სულ იყო და იქნება, უბრალოდ, დვალის ამბავმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ამ ყველაფერზე...

● ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

## ნოდარ ჭელიძე

# ჩარჩოში ჩასმული და დაზეპირებული ფეხბურთით ვერაფერს მივაღწევთ

**კიდევ ერთხელ დავესესხებით არქივს, რომელიც თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებმა მოიძიეს: 1964 წელს, იმ დროის მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი" წერდა: „დინამო" უდიდესი მოთამაშეების გუნდია, მათი სათამაშო ტექნიკა, უნარი და ინტელექტი გვაძლევს უფლებას, ის აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო გუნდად მივიჩნიოთ, რომელიც სამხრეთამერიკული საფეხბურთო ტრადიციების მიმდევარია. „დინამოს" ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობა რომ შეეძლოს, ესპანურ-იტალიური გუნდების ჰეგემონიას შეწყვეტდა".**

**კიდევ ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება: 1978 წლის მუნდიალის გამარჯვებული არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ლუის სესარ მენოტიმ „დინამო" ევროპის საუკეთესო გუნდად დაასახელა; მოვიყვანოთ ცნობილი ტელეკომენტატორის ვასილი უტკინის სიტყვებიც, რომელიც „ბარსელონაზე" თქვა: *„ასე, ალბათ, მხოლოდ 1981 წლის თბილისის „დინამო" თამაშობდა".* ან რუსული ტელეკომპანია „ნტვ-ფუტბოლის" სიუჟეტის ფრაზა გავიხსენოთ: *„კოტე მახარაძე არასოდეს ამბობდა - წვიმს. ის ამბობდა, ფეხბურთის ღმერთები ტირიან. მართლაც ტიროდნენ, რადგან მათ არასოდეს არ ეხილათ ისეთი ფეხბურთი, როგორსაც ნოდარ ახალკაცის „დინამო" თამაშობდა".***

**ფეხბურთის ღმერთები ქართველების თამაშზე ახლაც ტირიან, რადგან ასეთი ქართული ფეხბურთი არასოდეს უნახავთ. სამწუხაროდ, ეს სულ სხვა ტირილია და ჩვენც გვეტირება, რადგან ძალიან შორს ვართ იმ ფეხბურთისგან, რომელზეც ჩვენი გულშემატკივარი ოცნებობს...**

**...ნოდარ ჭელიძე** ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტია. ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" დუბლების მცველი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ცნობილი ფეხბურთელების - **ჩერჩესოვის, ერიომენკოს** გვერდით თამაშობდა. მისი შვილებიც ფეხბურთელები არიან - გიორგი, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივში" თამაშობდა და ლაშა - საჩხერის „ჩიხურას" მცველი.

წარმატებული საქმიანობისთვის, ნოდარ ჭელიძის გუნდი ორჯერ წლის გუნდად დაასახელეს, თავად კი, ასევე ორჯერ, წლის მწვრთნელად. მას ჩვენი ფეხბურთის ყველაზე დიდი ტკივილის გაანალიზება ვთხოვეთ...

### რატომ ვეღარ ვთამაშობთ ფეხბურთს?

- ჩვენი ფეხბურთის ყველაზე დიდი თაობები ნამდვილ ფეხბურთს თამაშობდნენ - დიდ წარმატებებს სწორედ შემტევი ფეხბურთით მივაღწიეთ. არავინ თქვას, რომ მაშინ ყველა უკანმოუხედავად თამაშობდა. ასეც არ იყო. თბილისის „დინამოსა" და ქართულ გუნდებს ყოველთვის ძალიან ძლიერი შემტევები ჰყავდათ. ეს ყველაფერი ბავშვობაში ჩაყრილი საფუძვლის შედეგი იყო. ჩვენს დროს ბავშვებს „მატაობას" კი არ უკრძალავდნენ. ეს ინდივიდუალური იყო - ვისაც შეეძლო, ცრუ მოძრაობებსა და ფინტებს ხვეწდა...

მოკლედ, დოგმა არ იყო ერთი შეხებით თამაში ან „მატაობა" - ვისაც რა შეეძლო, ის უნდა გაეკეთებინა. თუ ტალანტს ცრუ მოძრაობას გადააჩვევ, დამღუპველ ტენდენციას გამოიწვევს და ეს უკვე ჩანს. მე თუ მკითხავთ, ერთფეროვანი ფეხბურთიც სწორედ აქედან მოდის.

დღეს სარბიელზე ის თაობაა, რომელიც ჩარჩოში ჩასვეს და ფანტაზია ჩაუკლეს. ეს არც ქეცბაიას ბრალია და არც ამ ბიჭების - ეტყობა, თავის დროზე, ჩვენი მწვრთნელები ძალიან შეცდნენ და არასწორი მიმართულება აიღეს. ზომიერება მაშინ დავკარგეთ, როცა ჩვენი ნაკრები ბურთს ათრევდა და ვიფიქრეთ, რომ მხოლოდ პასით თამაში იყო გამოსავალი.

რაღაც ცუდი მოხდა და ახლა ვცდილობთ, იმ დაკარგული წლებისა და შეცდომების გამოსწორებას. მაგრამ ყველაზე ძვირფასი - თვითმყოფადობა დავკარგეთ...

### ხელს ნუ შეუშლით ტალანტს!

- ტექნიკური არასოდეს ვყოფილვარ და მით უფრო ვგრძნობდი, რა საჭირო თვისება იყო ეს. როცა მწვრთნელობა გადავწყვიტე, მაშინაც მიზნად ეს მქონდა - ბავშვში ნიჭი არ ჩამეკლა და კარგად განმევითარებინა.



ნოდარ ჭელიძე

წარმოიდგინეთ, ვოვა გუცაევისთვის ბავშვობაში ფინტები რომ აეკრძალათ, მისგან ხომ ერთი რიგითი საბჭოთა თავდამსხმელი გამოვიდოდა, რომელიც არაორდინარულობას ვერასოდეს გამოავლენდა.

მე ბავშვებს ყოველთვის პასს არ ვთხოვ, როცა გადამწყვეტი მომენტია, საკუთარ თავზე თამაშის აღება და ცრუ მოძრაობები უნდა იცოდეს, რასაც ვარჯიშებზე უნდა შეეჩვიოს. ინიციატივას თუ თავიდანვე ჩაუკლავ, უცებ არაფერი გამოუვა.

ახლა დაზეპირეულ ფეხბურთს აჩვევენ და ასე გაზრდილი ბავშვი ვერასოდეს გაიმეორებს ვიტალი დარასელიას იმ მოძრაობას, დაუვიწყარ 13 მაისს რომ გააკეთა - ვიტალიმ ხომ უდიდესი სიხარული სწორედ თამაშის საკუთარ თავზე აღებით მოგვიტანა?!

ბავშვს თუ იმპროვიზაციის უნარი არ აქვს, იქ ფეხბურთზე ლაპარაკი ზედმეტია. ხუთი კაცის მოტყუება თუ შეუძლია, როგორ შეიძლება, ეს აუკრძალო და ნიჭი ჩაუკლა?!

არ ვამბობ, რომ დიდების დონეზეც ასე უნდა ვითამაშოთ. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერც შევძლებთ ამას და არასწორიც იქნება. მაგრამ ტექნიკისა და საფეხბურთო აზროვნების საფუძვლებს ბავშვს 12-13 წლის ასაკამდე უვითარებენ და მეც სწორედ ამ პერიოდს ვგულისხმობ. რაც პლუსი აქვს, ის უნდა განავითაროს.

### ჩვენს სკოლაში გაზრდილებს სხვა ხელწერა ჰქონდათ

- ჩვენი უბედურება უაზრო მიმბაძველობაც არის. ცხადია, ჩვენზე მეტად განვითარებული ბევრი სკოლაა და მათგან უნდა ვისწავლოთ. მაგრამ „საბურთალოში" ესპანელი კარასკო რომ ჩამოვიდა, ყველაფერი უაზრო კოპირებით კი არ ჩამოიტანა, ჩვენი ბავშვების ხასიათი და თვისებები გაითვალისწინა - რაც გერმანიასა და ინგლისშია კარგი, შესაძლოა, იმან საქართველოში არ იმუშაოს.

ევროპელებისგან უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ყველაფერში არ უნდა მივბაძოთ, რადგან მათნაირად ვერასოდეს ვითამაშებთ. გენები არსებობს, ეს ჩემი მოგონილი კი არ არის, სისხლში რაც არ გაქვს, იმას სხვასავით ვერასოდეს გააკეთებ.

ჩვენ კი, საბჭოთა კავშირის დროს საკუთარი სტილი გვქონდა - ეს ფაქტია და ვერავინ უარყოფს. ყაზახებს, ბელარუსებს ან მოლდოველებს საკუთარი სტილი ჰქონდათ? იყო სამი ძირითადი სკოლა - რუსული, უკრაინული და ქართული. იმიტომაც იძახებდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ასაკობრივ ნაკრებში 3-4 ქართველს, რომ ჩვენს სკოლაში გაზრდილებს სხვა ხელწერა ჰქონდათ. რუსი მეტს დარბოდა, ქართველი კი უფრო ბურთს აგორებდა, მაგრამ ჯანსაც არ უჩიოდა და, მით უფრო, აზროვნებას. ახლა ეს რუსებმა უფრო ისწავლეს, ჩვენ კი ვკარგავთ და ფეხბურთელების უმრავლესობა ინკუბატორის წიწილებივით ერთმანეთს ჰგავს.

ამიტომაც ვამბობ - ვითამაშოთ ჩვენი ფეხბურთიო, საკუთარი პლუსები განვავითაროთ და ნაკლი გამოვასწოროთ, რადგან დაზეპირებული ფეხბურთით ვერაფერს მივაღწევთ. ერთხელ რამაზ შენგელიამ მითხრა - წინასწარ ვხვდებოდი, საჯარიმოში ბურთი საით გადაგორდებოდაო - ამას მწვრთნელი ხომ არ ასწავლიდა?

მწვრთნელის მთავარი დანიშნულებაა, ბავშვს ხელი არ შეუშალოს. დამიჯერეთ, ყველა დიდი სპეციალისტი წარმატებას მხოლოდ მოთამაშის საუკეთესო თვისებების გამოვლენით აღწევს და არა მისი ჩაკვლით.

### მცველების გამო ვერ ვუტევთ

- ფეხბურთის გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება, რომ ქართველებს ყოველთვის გვყავდა მცველები, რომლებიც შეტევებში ეფექტურად ერთვებოდნენ - ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, კოსტავა, სიჭინავა, ხურცილავა... მეშინია, რომელიმე არ გამომრჩეს... ახლა ასეთი მცველები თითქმის არ გვყავს. ესეც იმ სისტემის პროდუქტია, რომელიც უინიციატივო მოთამაშეს გვიზრდიდა. მცველების დიდმა ნაწილმა ბურთისართმევა არ იცის და თუ მკითხავთ, ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის.

ნოდარ ახალკაცი გენიოსი იყო. ძალიან მარტივად ხსნიდა იმას, რაც სხვებს ძნელად ესმოდათ. ისეთ მცველებზე აკეთებდა აქცენტს, რომლებმაც ბურთის ართმევა და შეტევაში ჩართვა იცოდნენ. ამ კრიტერიუმით აკეთებდა არჩევანს. ამ მიზნით, შემტევებიც ბევრჯერ გადაუწევია დაცვაში. მაგალითად, ჩივაძე ხომ თავიდან ნახევარმცველი იყო?

მეტოქეს თუ ბურთი არ წაართვი, როგორ შეუტევ? ეს არის ელემენტარული საფეხბურთო ჭეშმარიტება. მაგრამ დღეს ქართველი მცველების უმრავლესობა მხოლოდ თავს იცავს და არ უტევს. ასეთები კი ევროპაში არავის უნდა...

მერაბ მამულაშვილი

იტალია. სერია A. VI ტურის წინ

# დააკვირდით ჩერჩის!..

## 28 სექტემბერი

**ჯენოა–ნაპოლი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარკეზე (ჯენ)
**ტრავმა:** ანტონელი, მანფრედინი (ჯენ); მაჯო (ნაპ)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 82 თამაში: +25=29-28 (105-113)**

**მილანი–სამპდორია 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი (მილ); ბარილა (სამ)
**ტრავმა:** ბონერა, დე შილიო, სილვესტრე, პაცინი, ელ შაარავი, მონტოლივო, საპონარა, კაკა (მილ); ედერი (სამ)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 132 თამაში: +65=37-30 (218-126)**

## 29 სექტემბერი

**ატალანტა–უდინეზე 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** იეპესი (ატა)
**ტრავმა:** ჯორჯი, კაცოლა (ატა); დომიცი, პინცი, ბრკიჩი (უდი)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 58 თამაში: +16=19-23 (64-68)**

**კალიარი–ინტერი 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პიზანო, კოსუ, ეკდალი (კალ); კივუ, ძანეტი, კარისო (ინტ)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 70 თამაში: +12=25-33 (69-115)**

**კატანია–კიევო 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლანცაფამე, ბელუში (კატ)
**ტრავმა:** ისკო, პერუცი, ლეტო, კასტრო (კატ); დაინელი, კუპიში (კიე)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 12 თამაში: +3=4-5 (14-15)**

**სასუოლო–ლაციო 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** მაური (ლაც)
**ტრავმა:** ვალერი, მარონე, ტერანოვა, გომესი, გაცოლა (სას); ბერიშა, რადუ, ბიავა, ნოვარეტი, კონკო, კლოზე, ბილია (ლაც)

ურთიერთშეხვედრები
**არ შეხვედრიან**

**ვერონა–ლივორნო 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** დე ლუჩია (ლივ)
**ტრავმა:** რაგატცუ, მაიეტა, მარტინიო (ვერ); ბოტა (ლივ)

ურთიერთშეხვედრები (სერია B)
**სულ 8 თამაში: +3=3-2 (8-7)**

**რომა–ბოლონია 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** ნატალი (ბოლ)
**ტრავმა:** ბრედლი, ლობონტი, დესტრო, ტოროსიდისი, მაიკონი (რომ); კერუბინი (ბოლ)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 132 თამაში: +44=40-48 (164-166)**

## 30 სექტემბერი

**ფიორენტინა–პარმა 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** ამაური (პარ)
**ტრავმა:** კუადრადო, გომესი, ჰეგაზი (ფიო); გალოპა, პალეტა (პარ)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 38 თამაში: +14=13-11 (51-45)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| 2. ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 15-2 | 13 |
| 3. ნაპოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 4. იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 5. ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| 6. ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 9 |
| 7. ლივორნო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 8. ტორინო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 9. უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 10. ვერონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 11. კალიარი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 12. მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 13. პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14. ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 15. კიევო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 16. ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 7-11 | 3 |
| 17. ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-10 | 3 |
| 18. სამპდორია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 19. კატანია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 20. სასუოლო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-16 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ჩერჩი (ტორინო), ჯ. როსი (ფიორენტინა); 4 - ჰამშიკი (ნაპოლი); 3 - კალიეხონი (ნაპოლი), პაულინიო (ლივორნო), პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი), ვიდალი (იუვენტუსი), ბალოტელი (მილანი), იგუაინი (ნაპოლი).

29.09. ტურინი. ოლიმპიკო. 14:30

**ტორინო**

ურთიერთშეხვედრები
სულ 140 თამაში: +36=41-63 (146-208)

**იუვენტუსი**

დისკვალიფიკაცია: გაცი, ბარეტო, ჟილე (ტორ)
ტრავმა: ლარონდო (ტორ); პეპე, რუბინიო, კასერესი (იუვ)

სავარაუდო შემადგენლობა




სერია A-ს VI ტურში რამდენიმე საყურადღებო თამაშია, თუმცა გამორჩეული იქნება ტურინული დერბი, რომელიც „ოლიმპიკოზე" ჩატარდება და მას „ლელოს" კორესპონდენტი გოტფრიდ ლენციც დაესწრება. ასე რომ, ელოდეთ შთაბეჭდილებებს ინდუსტრიული ქალაქიდან. ჩვენ კი მივყვეთ შაბათ-კვირის ბრძოლებს...

### ვენტურა ეჭვობს...

რა კარგ დროს უწევს ტურინული დერბი - ორივე გუნდს პოზიტიური სტარტი აქვს და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ინტრიგას. დერბის დროს მოტივაციებზე ლაპარაკი ზედმეტია, თუმცა „ტოროს" ის გაცილებით მეტი აქვს, რადგან „იუვენტუსი" 1994/95 წლების სეზონის შემდეგ არ დაუმარცხებია.

„ინდუსტრიული ბოსებისა" („იუვენტუსი") და „მუშათა კლასის" („ტორინო") დაპირისპირება წარმოუდგენელია შეხლა-შემოხლის გარეშე. წვრილმანი ხულიგნობა ჩვეულებრივი ამბავია, ბოლო წლების ყველაზე დიდი არეულობა კი 2008 წელს იყო, როცა პოლიციამ 40-მდე ტიფოზი დააპატიმრა, რამდენიმემ კი ჰოსპიტალში ამოყო თავი. ასე რომ, განსაკუთრებული სამზადისია სამართალდამცავებს შორისაც. სხვათა შორის, „ტორინოს" 9 ქომაგს, რომელიც ძველი ცოდვების გამო იდენტიფიცირებულია პოლიციის მიერ, დერბიზე დასწრება აკრძალული აქვს...

თუმცა დავუბრუნდეთ წინასამატჩო სიტუაციას. „იუვეს", რომელიც ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს, მთავარ ამოცანად ახალი „ჯოკერის" განეიტრალება იქნება - ვგულისხმობთ ფორვარდ **ალესიო ჩერჩის**, რომელმაც „ვერონასთან" ოთხშაბათის მატჩში დუბლი გაიფორმა. სხვა მხრივ, **ჯამპიერო ვენტურას** კრებული შესაშური გუნდურობით გამოირჩევა და **ანტონიო კონტემ** ისეთი კონტრაქტიკა უნდა შეიმუშაოს, რომ საფრთხე მინიმუმამდე დაიყვანოს. სავარაუდოდ, ჩერჩის პერსონალური მეურვე ეყოლება **პოლ პოგბას** სახით.

რაც შეეხება მეორე მხარეს, ყურადღების ცენტრში იქნება **კარლოს ტევესი**, თუმცა ვენტურა ეჭვობს, რომ არგენტინელის მიმართ რაიმე განსაკუთრებულ ზომებს მიმართოს - ჩვენ მარტო ტევესი კი არა, მთლიანად „იუვენტუსი" უნდა გავაჩეროთ, ასეთი პასუხი გასცა მან „ტუტოსპორტის" ჟურნალისტს.

სერიოზული ჯახია მოსალოდნელი მოედნის მთელ პერიმეტრზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე გუნდი იდენტური სქემით (3-5-2) თამაშობს. ფლანგები და მოედნის ცენტრი - აქ იქნება ბრძოლის ეპიცენტრი.

### რევანშის კვირეული

ზედიზედ მესამე მატჩია, „რომას", რომელსაც მიმდინარე გათამაშებაში 100-პროცენტიანი შედეგი აქვს, რევანშისთვისაც უწევს ბრძოლა - გასულ უქმეებზე „ლაციოს" დერბი მოუგო და თასის ფინალში მარცხისთვის იყარა ჯავრი; შუა კვირაში „სამპდორიას" სტუმრად 2:0 მოუგო და შარშანდელი 1:3 დავიწყებას მისცა, ახლაა და, „ბოლონიას" წინა სეზონის 2:3-სთვის უნდა „აგებინოს პასუხი".

რამდენიმე საყურადღებო დეტალი. „რომამ" „ბოლონიასთან" ბოლო 15 საშინაო მატჩიდან 9 მოიგო; ამ ჩემპიონატის ხუთ სასტარტო მატჩში გაიტანა 12 გოლი და ყველა - მეორე ტაიმში. უჩვეულოდ საიმედოა „ჯალოროსის" დაცვის ხაზიც - მხოლოდ 1 გაშვებული გოლი 5 მატჩში.

მოკლედ, არანაირი წინაპირობა იმისი, რომ „ლუპიმ" („მგლები") ბრწყინვალე სტარტი მაინცდამაინც „ბოლონიასთან" გააფუჭოს, ჯერჯერობით არ ჩანს.

**რუდი გარსიამ** კი გუშინდელი პრესკონფერენციის დიდი ნაწილი ფრანჩესკო ტოტის ქება-დიდებაში გაატარა. 27 სექტემბერს „პუპონეს" 37 წელი შეუსრულდა. რამდენიმე დღის წინ „ილ კაპიტანომ" მშობლიურ კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა.

*„ის არა მარტო დიდი ფეხბურთელი, არამედ დიდი ადამიანიცაა. „რომაში" რომ მოვდიოდი, ვიცოდი, ამ გუნდს გენიალური კაპიტანი და ლიდერი რომ ჰყავდა. ფრანჩესკო არის ფეხბურთელი, ვისგანაც ახალგაზრდებმა მაგალითი უნდა აიღონ"*, - თქვა გარსიამ.

### ბენიტესი როტაციაზე უარს ვერ იტყვის

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლიმ" „სასუოლოსთან" წინა ტურში კისერი წაიტეხა (1:1 „სან პაოლოზე"), **რაფა ბენიტესი** შემადგენლობის როტაციაზე უარის თქმას არ აპირებს და ეს დაადასტურა კიდეც წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

კარგად გვესმის ესპანელი სპეციალისტის - კამპანიელებს ლონდონში „არსენალთან" დაპირისპირება აქვთ წინ. „დორტმუნდთან" პირველ ტურში გამარჯვებას კი განმტკიცება უნდა და სწორედაც რომ ლონდონურ მატჩზე იქნება კონცენტრაცია.

თუმცა ბენიტესი არც იმას აპირებს, ჩემპიონთა ლიგის გამო საშინაო ფრონტს ყურადღება მოაკლოს. მას აშკარა უპირატესობა აქვს ჯენოელ კოლეგა **ფაბიო ლივერანიზე**, რომელსაც ჯერ მწვრთნელის პრო-ლიცენზიაც არ აქვს. ასე რომ, „ნაპოლიმ" მეტოქე ტაქტიკურადაც უნდა დაჯაბნოს და კლასითაც.

შარშან ნეაპოლელებმა გენუაში 4:2 მოიგეს და საერთოდაც, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში საშუალოდ 2.67 გოლი გადის.


ტორინოს ფორვარდი ალესიო ჩერჩი ბომბარდირთა დავას ლიდერობს

### ალეგრი მოგებას ითხოვს

შარშანდელის არ იყოს, „მილანს" ახლაც ცუდი სტარტი აქვს. ამჯერად, მიზეზი უფრო მარტივი ასახსნელია - ლამის ნახევარი გუნდი მკურნალობს, დისკვალიფიცირებულ **მარიო ბალოტელის** კი 2 მატჩი აქვს კიდევ გამოსატოვებელი...

„როსონერი" მასპინძლობს „სამპდორიას", რომელთანაც გასული სეზონის პირველ ტურში საკუთარ მოედანზე 0:1 დამარცხდა. მას მერე, „სამპდორია" წინ არ წასულა - ახლაც გადარჩენისთვის უწევს ბრძოლა. ერთი ნიუანსია კიდევ, რაც ალეგრიმ უნდა გაითვალისწინოს - მიმდინარე სერია A-ში გენუელებმა ორივე ქულა სტუმრად მოიპოვეს და გოლებიც სწორედ ამ შეხვედრებში გაიტანეს.

*„მძიმე თამაში გველოდება, - თქვა ალეგრიმ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე, - „სამპდორიამ" კარგად ითამაშა „რომასთან" და ეჭვი არ მეპარება, ჩვენც ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. დელიოროსი ბრწყინვალე მწვრთნელია და იცის, როგორ გამოიყვანოს გუნდი კრიზისიდან, თუმცა ჩვენი ამოცანა გარკვეულია - აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ"*.

საინტერესოა, რომ „მილანმა" „სამპ-თან" ბოლო 5 საშინაო მატჩიდან 3 მოიგო და სამივე ერთნაირი ანგარიშით - 3:0.

### უსახლკარო კალიარი და ლაციო კლოზეს გარეშე

მოსალოდნელი იყო, რომ „კალიარის" „ინტერისთვის" შინაურ „სანტ'ელიაზე" უნდა ემასპინძლა, მაგრამ კვლავ ტრიესტეში მოუწევს სტუმრის მიღება, რაკი ხსენებული არენა სტანდარტებს ჯერაც ვერ პასუხობს.

პრინციპში, „ინტერისთვის" ამას მნიშვნელობა არც აქვს, პირიქით - „ფიორენტინასთან" გამარჯვების შემდეგ **ვალტერ მაძარის** გუნდი კიდევ უფრო წელგამართულია და ვეჭვობთ, სარდინიელებს სერიოზული შანსი ჰქონდეთ ნეიტრალურ მოედანზე. მაგრამ ერთი მომენტიცაა - „ინტერი" თავიდან შენდება და ასეთ დროს არასტაბილურობის პრობლემა იჩენს ხოლმე თავს...

„სასუოლოსთან" გასვლით მატჩში „ლაციოს" არ ეყოლება ტრავმირებული **მიროსლავ კლოზე**. მასპინძელს კი რეაბილიტაცია მართებს საკუთარი გულშემატკივრის თვალში, „ინტერთან" ერთი კვირის წინანდელი 0:7-ის გამო.

როგორც ამბობენ, „ატალანტას" მწვრთნელ **სტეფანო კოლანტუონოს** შეიძლება პოსტი დაატოვებინონ, თუკი ბერგამოდან „უდინეზეს" სამ ქულას გაატანს (ფრეზეც არ ეტყვიან მადლობას).

„კატანია" მასპინძლობს „კიევოს", რომლის ფორვარდ **სერჯო პელისიერს** სიცილიური კლუბისთვის რეგულარულად (შინ იქნება თუ გარეთ) გააქვს გოლები.

„ვერონა" და „ლივორნო" სერია A-ში პირველად ხვდებიან ერთმანეთს. საინტერესოა, რომ სტუმარს „ბენტეგოდიზე" ბოლოს 2002 წელს აქვს მოგებული.

ტური მთავრდება ორშაბათს - ამბიციური „ფიორენტინა" უმასპინძლებს „პარმას", რომელსაც დისკვალიფიცირებული ფორვარდი **კარვალიო ამაური** არ ეყოლება. **ვინჩენცო მონტელას** კი სასჯელმოხდილი **დავიდ პისაროს** გამოყენების უფლება ექნება.

ხუთშაბათს „ფიორენტინამ" სეზონში პირველად წააგო. თავის მხრივ, „ინტერმა" ურთულესი თამაში შემოატრიალა. არადა, მეხუთეტურამდე ფლორენციელებს ყველა გასვლითი ბრძოლა ჰქონდა მოგებული. „ვიოლას" მარცხის მიზეზი მაინც უკბილო თამაში გვგონია, ვიდრე „ინტერის" ძლევამოსილება - მონტელას გუნდი არ იყო ისეთი კონცენტრირებული, როგორიც წინა ოთხ ტურში ვნახეთ...

თუმცა მწვრთნელმა უკეთ იცის თავისი გუნდის ავან-ჩავანი. ნამატჩევს მონტელა ყველაფრით კმაყოფილი იყო, გარდა ერთისა - შედეგით.

*„კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ. როგორც მატჩამდე ვგეგმავდით, თამაშის დიდ ნაწილს ჩვენ ვაკონტროლებდით. ასეთ შეხვედრებში მარცხის არ გვრცხვენია. სამწუხაროდ, ორ ეპიზოდში დავკარგეთ კონცენტრაცია და სწორედ მაშინ დავისაჯეთ. შეიძლებოდა, გაგვმართლებოდა კიდეც, მაგრამ... მოკლედ, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არის ის, რაც ყველაზე კარგად ჩანს - შედეგი. ჩვენ გვყავს კარგი ფეხბურთელები და ისინი მატჩიდან მატჩამდე იზრდებიან. ეს გვაიმედებს, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ"*, - თქვა მონტელამ.

**გიორგი გელაშვილი**



## უცხოური ფეხბურთი

### ესპანეთი. ლა ლიგა. VII ტურის წინ

**გუშინ**

**ვალიადოლიდი-მალაგა 2:2**

**28 სექტემბერი**

**ვალენსია-ვალეკანო 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** გალვესი, ხ. ვიერა (რაიო ვალეკანო)
**ტრავმა:** გუაიტა, რ. კოშტა, პიატი - იაგო ფალკე, ხოსე კარლოსი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +12 =2 -4 (43:19)**

**ალმერია-ბარსელონა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალბა, აფელაი, კუენკა (ბარსელონა)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +0 =2 -8 (5:33)**

**სოსიედადი-სევილია 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სურუტუსა, გრანერო, ელუსტონდო, იფრანი - ვიტოლო, პეროტი, ფასიო, კარიკო, რეიესი, სისინიო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 28 თამაში: +10 =7 -11 (31:34)**

**30 სექტემბერი**

**გრანადა-ბილბაო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაინსი, პიტი - საბორიტი, ბალენსიაგა, კიკე სოლა

ურთიერთშეხვედრები

**სულ 4 თამაში: +1 =1 -2 (4:5)**

**29 სექტემბერი**

**ოსასუნა-ლევანტე 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რობერტო ტორესი, ეჩაიდე, სეხუდო, დე ლას კუევასი, ფლანიო, ნინო - პედრო ლოპესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +10 =1 -7 (30:18)**

**სელტა-ელჩე 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** კ. სანჩესი (ელჩე)
**ტრავმა:** ნოლიტო, ა. ფერნანდესი, სამუელ ლორკა, ბერმეხო - საპუნარუ, სერხიო პელეგრინი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 12 თამაში: +4 =5 -3 (18:16)**

**ესპანიოლი-ხეტაფე 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ხუან ფუენტესი, ვიქტორ ალვარესი - ლაფიტა, ხუან ვალერა, ლასენი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 22 თამაში: +9 =6 -7 (24:29)**

**ბეტისი-ვილიარეალი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რუბენ კასტრო, ხუან კარლოსი, სერხიო როდრიგესი, ედერ ვილარჩაო - ფარინოსი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 20 თამაში: +8 =5 -7 (35:30)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 22-5 | 18 |
| 2. ატლეტიკო | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 3. რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-6 | 16 |
| 4. ვილიარეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| 5. ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 12-10 | 12 |
| 6. ესპანიოლი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-7 | 11 |
| 7. მალაგა | 7 | 2 | 3 | 2 | 11-6 | 9 |
| 8. ვალენსია | 6 | 3 | 0 | 3 | 9-10 | 9 |
| 9. ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 10. ლევანტე | 6 | 1 | 4 | 1 | 5-11 | 7 |
| 11. სელტა | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 12. სოსიედადი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 13. ვალიადოლიდი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 6 |
| 14. ბეტისი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-7 | 5 |
| 15. სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 10-12 | 5 |
| 16. გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-5 | 5 |
| 17. ალმერია | 6 | 0 | 3 | 3 | 10-15 | 3 |
| 18. ელჩე | 6 | 0 | 3 | 3 | 5-10 | 3 |
| 19. ოსასუნა | 6 | 1 | 0 | 5 | 5-12 | 3 |
| 20. ვალეკანო | 6 | 1 | 0 | 5 | 5-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - მესი (ბარსელონა), დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - პედრო (ბარსელონა); 4 - რაულ გარსია (ატლეტიკო), როდრი (ალმერია), ისკო (რეალი)

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები 1994 წლიდან

# ატლეტიკო რეკორდის და ნავსის გატეხვის მოლოდინში

28.09. მადრიდი.
სანტიაგო ბერნაბეუ. 00:00

**რეალი**

ურთიერთშეხვედრები
სულ 39 თამაში: +27 =9 -3 (80:36)

**ატლეტიკო**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ჩაბი ალონსო - ადრიანი

სავარაუდო შემადგენლობა




**გუშინ, პრიმერაში მორიგი ტური დაიწყო, რომლის ყველაზე საინტერესო და გამორჩეული დაპირისპირება დღეს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შედგება. სანამ მე-7 ტურში გასამართ შეხვედრებზე ვისაუბრებთ, იქამდე, რამდენიმე სიტყვა მე-6 ტურის ბოლო სამ მატჩზე ვთქვათ...**

### მასპინძლების დომინაცია

სამივე შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვილიარეალის“ მორიგი წარმატება - **მარსელინიოს** კრებულმა **ხავიერ აგირეს** „ესპანიოლს“ სძლია და კატალონიელებს სეზონში პირველი მარცხი აგემა. მორიგი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **კანიმ**, რომელსაც ამჯერად გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ 32 წლის ნახევარმცველმა ორი საგოლე პასი მიითვალა. „ყვითელი წყალქვეშა ნავის“ 10-იანმა პირველივე წუთზე **ჟერემი პერბეს** გაატანინა, 67-ე წუთზე კი **ხონათან პერეირას** დაეხმარა. სტუმრებმა ერთი საპასუხო ბურთი მე-80 წუთზე შეაგდეს - თავი **სერხიო გარსიამ** გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ „ესპანიოლს“ ვალენსიელთა კარში გოლი უკანასკნელ 9 შეხვედრაში არ ჰქონდა გატანილი. მართალია, ეს უილბლო სერია ხავიერ აგირეს გუნდმა დაასრულა, მაგრამ ქულა მაინც ვერ მოიპოვა.

მოიგო ბილბაოს „ატლეტიკმაც“, არადა, **ხორხე მოლინას** გოლის შემდეგ ბასკები საკმაოდ რთულ სიტუაციაში იყვნენ. მოლინას გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე, მასპინძლებმა პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს, თუმცა **ბენიატმა** ყოფილი გუნდის კარში ვერ გაიტანა და 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. გაფუჭებული პენალტი და საკუთარ კარში გაშვებული გოლი - თითქოს, მასპინძლები უნდა გამტყდარიყვნენ, მაგრამ ბასკებს დანებება არ სჩვევიათ და ეს „ბილბაოს“ ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. შესაძლოა, **მიკელ სან ხოსე** უშუალო მოვალეობების შესრულებისას ბევრ შეცდომას უშვებს, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი სტანდარტულებისას ძალიან ეფექტურია. სწორედ 24 წლის მცველმა გაიტანა გამარჯვების მომტანი გოლი, რამდენიმე წუთით ადრე კი ბენიატმა რეაბილიტირება შეძლო და ანგარიში **ოსკარ დე მარკოსს** გაათანაბრებინა.

კიდევ ერთი შეხვედრა მადრიდში გაიმართა, სადაც „ხეტაფემ“ „სელტას“ უმასპინძლა და განსაკუთრებული პრობლემის გარეშე, 2:0 მოუგო. გოლები მცველებმა, **ლისანდრო ლოპესმა** და **ალვარო აროიომ** გაიტანეს. ორივესთვის ეს ლა ლიგაში სადებიუტო გოლები იყო.


კრიშტიანო რონალდო და დიეგო კოშტა შესანიშნავ ფორმაში არიან

### მადრიდული დერბი

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ ტურის მთავარი მატჩი გაიმართება. „რეალი“ და „ატლეტიკო“ პრიმერაში ერთმანეთს 153-ედ შეხვდებიან. ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა, რა თქმა უნდა, „სამეფო კლუბის“ მხარეს არის - „რეალმა“ 85 მატჩი მოიგო, 32 შეხვედრა ფრედ დასრულდა, 35-ჯერ კი გამარჯვება „როხიბლანკოს“ დარჩა. ლა ლიგაში ამ უკანასკნელის ბოლო გამარჯვებიდან ძალიან დიდი დრო გავიდა - „ატლეტიკომ“ 1999 წელს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 3:1 მოიგო და იქიდან მოყოლებული უკვე 23 მატჩია თანაქალაქელი არ დაუმარცხებია.

აქვე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ამ გუნდების ბოლო შეხვედრა, რომელიც სამეფო თასის ფინალში, ისევ და ისევ, „ბერნაბეუზე“ შედგა და ის მატჩი **დიეგო სიმეონეს** კრებულმა, 2:1 მოიგო.

სტუმრები რეკორდის მიჯნაზე არიან. სეზონის სტარტზე ზედიზედ 7 გამარჯვება „ატლეტიკოს“ არასდროს მოუპოვებია. პირველი 6 შეხვედრის მოგება კი მადრიდელებმა მესამედ შეძლეს. 1964/65 წლების სეზონში, „როხიბლანკოს“ წარმატებული სვლა ბილბაოს „ატლეტიკმა“ შეაჩერა, 1991/92 წლების სეზონში კი „ბარსელონამ“. ამჯერად, ესპანეთის 9-გზის ჩემპიონის მეტოქე ქვეყნის მესამე გრანდია, რომელიც მესამე ადგილს იკავებს და მხოლოდ 2 ქულით არის უკან.

„სამეფო კლუბს“ **გარეთ ბეილი** გამოუჯანმრთელდა, თუმცა უელსელი ძირითადში არ იქნება და თამაშის სტარტს სათადარიგოთა სკამზე შეხვდება. მზადაა **მარსელოც**, მაგრამ მარცხენა მცველის პოზიციაზე ისევ **ფაბიო კოენტრაო** უნდა ვიხილოთ.

ესპანელი ჟურნალისტების აზრით, **კარლო ანჩელოტი** მოედანზე ზუსტად იმ 11 ფეხბურთელს გამოიყვანს, ვინც „ელჩესთან“ სასტარტო შემადგენლობაში იყო. აი, **დიეგო სიმეონე** კი წინა მატჩთან შედარებით ცვლილებებს განახორციელებს, რადგან არგენტინელმა „ოსასუნასთან“ რამდენიმე ლიდერი დაასვენა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **კრიშტიანო რონალდოს** და **დიეგო კოშტას** დუელი. ფორვარდები შესანიშნავ ფორმაში არიან. პორტუგალიელმა „რეალის“ ბოლო 4 შეხვედრაში (ყველა ტურნირზე) 8 გოლი გაიტანა, დიეგო კოშტამ კი ბოლო სამ მატჩში მეტოქეთა კარი 4-ჯერ აიღო.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლო დროს ესპანეთში არბიტრების თემა აქტუალურია, ამიტომ, მოგახსენებთ, რომ შეხვედრას 36 წლის **ანტონიო მატეუ ლაოსი** განსჯის.

### ბარსაც რეკორდის მიჯნაზე

„ატლეტიკოსი“ არ იყოს, რეკორდის დამყარება „ბარსელონასაც“ შეუძლია - აქამდე, ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ 7 გამარჯვება არც კატალონიელებს მოუპოვებიათ. **ხერარდო მარტინოს** გუნდის მეტოქე ძალიან ცუდ ფორმაში მყოფი „ალმერიაა“, რომელსაც „ელჩეს“ მსგავსად ჯერ თამაში არ მოუგია.

ალმერიაში ეს გუნდები ერთმანეთს ბოლოს 2010 წელს შეხვდნენ და მაშინ „ბარსელონამ“ მოწინააღმდეგე მინასთან გაასწორა - 8:0 მოუგო, შინ კი კატალონიელებმა 3:1 იმარჯვეს.

„ბარსას“ **კარლეს პუიოლი** უბრუნდება, რომელიც სათამაშოდ მზად არის, თუმცა მარტინო ალბათ არ გარისკავს და კაპიტანს ძირითადში არ დააყენებს. მოსალოდნელია, რომ არგენტინელი კვლავ მიმართავს როტაციას და რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს სკამზე დასვამს.

საინტერესოა ბასკურ-ანდალუსიური დაპირისპირებაც. „სოსიედადს“ პირველი ტურის შემდეგ არ უმარჯვია, „სევილიამ“ კი პირიქით, სამი ქულა პირველად მე-6 ტურში („რაიო ვალეკანოსთან“) მოიპოვა. ბასკებს რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩი („ლევერკუზენთან“) ელით, შესაბამისად, არაა გამორიცხული, **არასატემ** ლიდერები არ დატვირთოს, რაც ანდალუსიელთა შანსებს გაზრდის.

შაბათს ითამაშებს „ვალენსიაც“, ვისაც **ადილ რამი** არ ეყოლება. ფრანგმა ფეხბურთელმა, რამდენიმე დღის წინათ, **მიროსლავ ჯუკიჩი** და კლუბის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა, რის გამოც მკაცრად დაისაჯა - უახლოესი ორი კვირის განმავლობაში რამის კლუბთან ერთად ვარჯიშის საშუალება არ ექნება და შესაბამისად, შეხვედრებშიც მონაწილეობას ვერ მიიღებს.

„ღამურების“ მეტოქე შავ დღეში მყოფი „რაიო ვალეკანოა“, რომელმაც პირველივე ტურში 3:0 იმარჯვა, მაგრამ იქიდან მოყოლებული ზედიზედ 5 მატჩი წააგო, თანაც ამ ხუთ შეხვედრაში 20 გოლი გაუშვა. კიდევ ერთი მარცხი და დიდი ალბათობით, **პაკო ხემესი** უმუშევარი დარჩება.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

### არგენტინის ნაკრები

## საბელიამ იკარდი ისევ არ გამოიძახა

**ალეხანდრო საბელიამ** ის ფეხბურთელები დაასახელა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ორი შეხვედრისთვის გამოიძახა. „ალბისელესტე“ 11 ოქტომბერს პერუს ნაკრებს უმასპინძლებს, 15-ში კი სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის კლასიკა გაიმართება: ურუგვაი-არგენტინა.

მიუხედავად იმისა, რომ არგენტინას მუნდიალის საგზური უკვე მოპოვებული აქვს, საბელია ექსპერიმენტებს მოერიდა და ისევ ძველ გვარდიას ენდო. შორს წაგვიყვანს იმ ფეხბურთელთა ჩამოთვლა, ვინც, სპეციალისტების აზრით, ნაკრებში გამოძახებას იმსახურებს, მაგრამ ეროვნულ გუნდში ვერაფრით ხვდება. უბრალოდ, გეტყვით, რომ არგენტინელი ჟურნალისტები **მაურო იკარდის** კიდევ ერთმა არგამოძახებამ გააოცა - არგენტინელები შიშობენ, რომ იკარდის დაკარგვის საფრთხე რეალურია და ახლა, როდესაც ნაკრებს ჩემპიონატის საგზური მოპოვებული აქვს, „ინტერის“ ფორვარდის გამოძახების და საბოლოოდ დაბევების კარგი შესაძლებლობა იყო.

შეგახსენებთ, რომ იკარდის არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში კი უთამაშია, მაგრამ ფიფას ახალი წესების გამო, მას იტალიის ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება მაინც აქვს.

აქვე გეტყვით, რომ **ხავიერ მასკერანო** პერუსთან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს და გუნდს მხოლოდ ურუგვაისთან თუ დაეხმარება.

**მეკარეები:** მარიანო ანდუხარი (კატანია), სერხიო რომერო (მონაკო)

მცველები: უგო კამპანიარო (ინტერი), ფედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი), პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი), ფაბრისიო კოლოჩინი (ნიუკასლი), მარკოს როხო (სპორტინგი), ესეკიელ გარაი (ბენფიკა), კრისტიან ანსალდი (ზენიტი), ხოსე ბასანტა (მონტერეი)

**ნახევარმცველები:** ხავიერ მასკერანო (ბარსელონა), ანხელ დი მარია (რეალი), ევერ ბანეგა (ვალენსია), აუგუსტო ფერნანდესი (სელტა), რიკი ალვარესი (ინტერი), ლუკას ბილია (ლაციო), ხოსე სოსა (მეტალისტი)

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (ბარსელონა), როდრიგო პალასიო (ინტერი), გონსალო იგუანი (ნაპოლი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ერიკ ლამელა (ტოტენჰემი), ესეკიელ ლავეცი (პსჟ)

გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტურის წინ

# ბრძოლა ლიდერობისთვის

## დორტმუნდის, ბაიერნის და ლევერკუზენის საშინაო დავალებები

### გუშინ

**აუგსბურგი-გლადბახი 2:2**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 6 | 5 | 1 | 0 | 16-5 | 16 |
| 2. ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| 3. ლევერკუზენი | 6 | 5 | 0 | 1 | 15-7 | 15 |
| 4. ჰანოვერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| 5. გლადბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 17-13 | 10 |
| 6. აუგსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 7. ვოლფსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-8 | 9 |
| 8. მაინცი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-12 | 9 |
| 9. ვერდერი | 6 | 3 | 0 | 3 | 5-8 | 9 |
| 10. ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 10-7 | 8 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 15-15 | 8 |
| 12. შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 11-9 | 7 |
| 13. აინტრახტი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-10 | 7 |
| 14. შალკე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-13 | 7 |
| 15. ნიურნბერგი | 6 | 0 | 4 | 2 | 6-9 | 4 |
| 16. ჰამბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10-17 | 4 |
| 17. ფრაიბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 8-12 | 3 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ობამეიანგი (დორტმუნდი), იბიშევიჩი (შტუტგარტი), კისლინგი (ლევერკუზენი), მოდესტე (ჰოფენჰაიმი), ნ. მიულერი (მაინცი); 4 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მანჯუკიჩი (ბაიერნი), ოლიჩი (ვოლფსბურგი), სემი (ლევერკუზენი), ფოლანდი (ჰოფენჰაიმი).

### 28 სექტემბერი

**დორტმუნდი-ფრაიბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პიშჩეკი, სარი, გიუნდოგანი, კელი - ჰედენსტადი, მუიჯა, დარიდა, პილარი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 28 თამაში: +17=8-3, (58:32)**

**ჰოფენჰაიმი-შალკე 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლუდვიგი, ვუკჩევიჩი - ფუხსი, კოლასინაცი, კ. პაპადოპულოსი, ანანი, ჰუნტელაარი, ობასი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +4=3-3, (12:14)**

**ჰერტა-მაინცი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰოლანდი (ჰერტა)
**ტრავმა:** ბრუკსი, ბაუმიოჰანი, მ. ნდიენგი - კარიუსი, ბუნგერტი, კოხი, შ. პარკერი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +3=5-2, (16:11)**

**აინტრახტი-ჰამბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კიტელი, შვეგლერი, შტენდერა - დიკმაიერი, რაიკოვიჩი, დემირბაი, ილიჩევიჩი, რინკონი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 88 თამაში: +27=20-41, (108:155)**

28 სექტემბერი. მიუნხენი. „ალიანს არენა". 17:30

**ბაიერნი**

ურთიერთშეხვედრები:
სულ 32 თამაში: +24=5-3, (68:26)

**ვოლფსბურგი**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ბადშტუბერი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა - ვიეირინია, დოსტი

სავარაუდო შემადგენლობები




### 28 სექტემბერი

**ლევერკუზენი-ჰანოვერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კასტრო, ჰეგელერი - ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი, ფრანკა, ნიკჩი, მ. დიუფი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 28 თამაში: +14=9-5, (52:29)**

### 29 სექტემბერი

**ვერდერი-ნიურნბერგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** დი სანტო (ვერდერი)
**ტრავმა:** შმიტცი, ბარგფრედე, იგნიოვსკი, პ. სტევანოვიჩი, თრაიბული - მარკოს ანტონიო, გებჰარტი, გინჩეკი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 60 თამაში: +28=16-16, (108:84)**

**ბრაუნშვაიგი-შტუტგარტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კორეია, ჰოხშაიდტი - ულრაიხი, ნიდერმაიერი, დიდავი, როხასი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 36 თამაში: +13=8-15, (45:62)**



**პრობლემები ჰაერში: დორტმუნდის „ბორუსიას" მცველებს (ფოტოზე სოკრატისი და ნევენ სუბოტიჩი) განსაკუთრებით სტანდარტულების დროს უჭირთ**

**ბუნდესლიგის 6 ტურის შემდეგ 3 გუნდია დაწინაურებული და ლოგიკურად, ასეც უნდა გაგრძელდეს - გააჩნია, შეინარჩუნებს თუ არა „ლევერკუზენი" მოწინავე პოზიციებს. მე-7 ტურში სამივე დაწინაურებულ გრანდს საშინაო დავალებები აქვს შესასრულებელი: „დორტმუნდი" „ფრაიბურგს" ელოდება, „ბაიერნი" „ვოლფსბურგს" მასპინძლობს, ხოლო „ლევერკუზენი" კი „ჰანოვერს" მიიღებს. ყველაზე რთული ამოცანის წინაშე უდავოდ „ლევერკუზენი" დგას, რადგან ხსენებულ სამეულთან ყველაზე ახლოს სწორედ „ჰანოვერია". თუმცა ფარმაცევტებს იმის იმედი აქვთ, რომ „ჰანოვერი" სტუმრად არაფრად ვარგა. ამ ტურის მნიშვნელოვანი მოვლენა ისიცაა, რომ „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში ბერტ ვან მარვეიკის დებიუტი შედგება.**

### ფრაიბურგის იმედი დორტმუნდში: სტანდარტულები

დორტმუნდის „ბორუსიამ" წინა ტურში წაიფორხილა (1:1 ნიურნბერგში), რითაც „ბაიერნმა" ისარგებლა და ქულებით გაუთანაბრდა. შესაბამისად, **იურგენ კლოპის** გუნდი ამჯერად ვალდებულია, „ფრაიბურგთან" სამი ქულა აიღოს. დორტმუნდელთა დამრიგებელს როტაციამ (**დურმი**, **დუკში** და **სოკრატისი ლევანდოვსკის**, **შაჰინისა** და **ჰუმელსის** ნაცვლად) არ გაუმართლა და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კლოპი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დასვენებას აღარ გარისკავს. „ბორუსიას" მოთამაშეები განსაკუთრებით ყურადღებით სტანდარტული სიტუაციების დროს უნდა იყვნენ, რადგან მიღებული ბურთების 60 პროცენტი სწორედ ჯარიმებიდან ან კუთხურებიდან აქვთ გაშვებული.

საინტერესოა, რამდენად შეუძლია „ფრაიბურგს" ამით სარგებლობა? იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც „ფრაის" თავკაცმა **კრისტიან შტრაიხმა** ამ სეზონში გამოიყენა, სიმაღლეში 1.90 მეტრი ან უფრო მეტი მხოლოდ ორია - **შუსტერი** (1.90) და **კრმასი** (1.93). შეგახსენებთ, რომ „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში ჯერაც გამარჯვების გარეშეა, თუმცა გერმანიის თასზე „შტუტგარტის" დამარცხება შეძლო, რამაც ბრაისგაუელებს განწყობა გამოუკეთა.

### შეუძლია ვოლფსბურგს ბაიერნის გამწარება?

დამშვიდდით, ბუნდესლიგა მოსაწყენი არ გახდებაო, თქვა რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის" ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა **არიენ რობენმა**. თუმცა გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატიც რეკორდმაისტერისა და „დორტმუნდის" ხანგრძლივ დუელს ემსგავსება და საშუალო, ან, მით უმეტეს დაბალი დონის გუნდებიდან არც ერთი არ ჩანს იმის გამკეთებელი, რასაც „ბაიერნისთვის" ქულების წართმევა ჰქვია. **ხოსეპ გვარდიოლას** ფორმაციის მიუნხენური გრანდი თამაშს ტურიდან ტურამდე ხვეწს - გრძელი პასები, მოკლე პასები, ბურთთან ხშირი კონტაქტი, ფლანგის მცველები მუდმივად შეტევაში და პოზიციების ხშირი ცვლა - „ბაიერნი" პეპის ფეხბურთს ამულამებს. *„გუნდი ტაქტიკურად ძალიან მოქნილია, რაც მეტოქეებს აბნევს,"* - აცხადებს ბავარიელთა ლიდერი **ბასტიან შვაინშტაიგერი**.

ლოგიკურად, „ბაიერნმა" „ვოლფსბურგიც" იოლად უნდა დაამარცხოს, რადგან „მგლები" ქულების მოპოვებას დღემდე მხოლოდ საკუთარ მოედანზე ახერხებენ ხოლმე, სტუმრად კი ერთი ქულაც კი არ აქვთ აღებული. *„თუ ამ თამაშში რაიმე წარმატების მიღწევა გვინდა, მიუნხენშიც მინიმუმ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ ხოლმე,"* - ამბობს „ვოლფსბურგის" გოლეადორი **ივიცა ოლიჩი**, რომელიც, სხვათა შორის, ყოფილი ბაიერნელია.

### ლევერკუზენს ჰანოვერი გამოცდის

5 მოგება 6 ტურში - „ლევერკუზენმა" არსებობის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აიღო და უფრო მეტიც უნდა. ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ „ბაიერს" ჩემპიონთა ლიგა ხელს შეუშლიდა, მაგრამ „ფარმაცევტები" დიდ დატვირთვებს თავს ჯერჯერობით კარგად ართმევენ, რაც სათადარიგო ფეხბურთელების დამსახურებაა. „ლევერკუზენის" თავკაცი **სამი ჰიიპია** როტაციას თამამად მიმართავს და შედეგიც აქვს - იმ მოთამაშეებიდან, რომლებიც სასტარტოში არ მოიაზრებიან, ყველაზე უკეთ **რობი კრუსი** გამოიყურება. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ ფინელმა სპეციალისტმა შემადგენლობა „ჰანოვერთან" შეხვედრაშიც შეცვალოს. რაც შეეხებათ „წითლებს": „ჰანოვერი" 6 ტურის შემდეგ 12 ქულით მეოთხე ადგილზეა, მაგრამ 12-ივე ქულა საკუთარ მოედანზე აქვს მოპოვებული და **მირკო სლომკას** შეგირდებს ამჯერად სტუმრადაც სურთ ხეირის ნახვა.

### კითხვის ნიშნები შალკეს და ჰოფეს გარშემო

მაინც, რა მიზანი უნდა დაისახონ ამ სეზონში? ეს კითხვა პასუხგაუცემელია როგორც „ჰოფენჰაიმში" (მე-11 ადგილი), ისე „შალკესთვისაც" (მე-14). „ჰოფეს" ჯერ სამმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, მერე კი სამი თამაშიდან ორი დათმო. „შალკეს" „ჰოფენჰაიმზე" მეტი მოეთხოვება, მაგრამ ჯერჯერობით უარესად გამოიყურება. **კევინპრინს ბოატენგის** ყიდვის შემდეგ გელზენკირხენელებმა ზედიზედ ორი შეხვედრა კი მოიგეს, მაგრამ წინა ტურში „ბაიერნთან" 0:4 განადგურდნენ და ისევ გაურკვევლობაში არიან. კარგია, რომ „ჰოფენჰაიმი" და „შალკე" ამ ტურში ერთმანეთს ხვდებიან, რადგან აბზაცის დასაწყისში დასმულ კითხვას მინიმუმ ერთ-ერთისთვის მაინც გაეცემა (თუნდაც ნაწილობრივი) პასუხი.

### ჩაიძირება მაინცი?

ბერლინის „ჰერტამ" სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე აურია - **ლევან კობიაშვილის** გუნდმა ბოლო სამი თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღო. თუმცა ბერლინელთა დღევანდელი მეტოქე „მაინცი" (თუ გუნდის ფორმით ვიმსჯელებთ), უფრო უარეს მდგომარეობაშია. მაინცელებმა სეზონი 4 ოფიციალური მატჩის (3 ბუნდესლიგაში, 1 თასზე) მოგებით დაიწყეს, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი ოფიციალური მატჩი (ისევ 3 ბუნდესლიგაში, 1 თასზე) წააგეს. შესაბამისად, „მაინცელები" სასოწარკვეთილები ჩანან, მაგრამ მთავარი მწვრთნელის, **თომას ტუხელის** შესაძლო გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, რაც კლუბის მენეჯერმა **კრისტიან ჰაიდელმა** დაადასტურა და დასძინა, დარწმუნებული ვარ, რომ შექმნილი ვითარებიდან აუცილებლად გამოვძვრებითო.

### ბერტის პირველი ბრძოლა

**ბერტ ვან მარვეიკის** დებიუტი „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში შაბათის საღამოს მატჩში, ფრანკფურტში შედგება. ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსი **კარლ-ედგარ იარხოვი** იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი ამ პოსტზე დიდხანს დარჩება. ფაქტი ისაა, რომ ვან მარვეიკი პირველივე მატჩის წინ უმძიმესი ზეწოლის ქვეშაა, თუმცა ბერტი ამბობს, წნეხი მიყვარს, ეს ყველას სჭირდებაო.

*„ვხედავ, რომ მძიმე მდგომარეობაში ვართ. 6 ტურის შემდეგ მე-16 ადგილზე ყოფნა „ჰამბურგისთვის" კატასტროფის ტოლფასია და თანაც, ყველაზე მეტი გოლი გვაქვს მიღებული (17),"* - წუხს ვან მარვეიკი.

სახარბიელო ვითარებაში არც ფრანკფურტელები არიან და „ჰამბურგთან" სამი ქულის მოპოვებას ნატრობენ. საინტერესო ისაა, რომ, თუ ითამაშა, აინტრახტელი **ფლუმი** დღეს ბუნდესლიგაში მე-100 მატჩს ჩაატარებს, ხოლო **როდე** კი 50-ეს.

### ვერდერი და შტუტგარტი კვირას

„ვერდერმა" ჩრდილოეთის დერბის (2:0 ჰამბურგში) მოგებით ხასიათი გამოიკეთა. რაც მთავარია, ბრემენელთა თავდამსხმელმა **ნილს პეტერსენმა** 1 367-წუთიანი მშრალი სერია პირდაპირ დუბლით დაასრულა. დაადგა თუ არა „ვერდერი" გამოსწორების გზას, ეს „ნიურნბერგთან" შეხვედრაში გამოჩნდება - გუნდთან, რომელმაც წინა ტურში „დორტმუნდს" ქულ აართვა (1:1).

„ბრაუნშვაიგი" პირველ გამარჯვებაზე ოცნებობს - **ტორსტენ ლიბერკნეხტის** შეგირდები ნავსის გატეხვას ამჯერად „შტუტგარტთან" შეეცდებიან. შვაბები **თომას შნაიდერის** ხელში ჯერაც დაუმარცხებლები არიან და ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით სამ თამაშში შვიდ ქულას მოუყარეს თავი. შნაიდერის ხელში განსაკუთრებით 17 წლის თავდამსხმელი **ვერნერი** ბრწყინავს, რომელსაც „შტუტგარტის" ფანები უკვე ახალ **მარიო გომესს** უწოდებენ.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტურის წინ

28 სექტემბერი. ლონდონი. „უაით ჰართი“. 15:45

**ტოტენჰემი**

ურთიერთშეხვედრები
სულ 130 თამაში: +43=32-55 (185-195)

**ჩელსი**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: დენი როუზი, იუნეს კაბული, აარონ ლენონი, ემანუელ ადებაიორი, ეტიენ კაპუ - რამირესი, მარკო ვან გინკელი, ტომაშ კალაში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 2. ტოტენჰემი | 5 | 4 | 0 | 1 | 5-1 | 12 |
| 3. სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-4 | 10 |
| 4. ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 5. ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 6. ევერტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 7. საუთჰემპტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-2 | 8 |
| 8. იუნაიტედი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 9. სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10. სტოკი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 11. ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 12. ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| 13. ასტონ ვილა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 14. ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 16. კარდიფი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 17. ნორვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 18. ფულჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 19. კრისტალ პალასი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |
| 20. სანდერლენდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

ბომბარდირები: 4 - კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), ოლივიე ჟირუ (არსენალი) დენიელ სტარიჯი (ლივერპული); 3 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), აარონ რემსი (არსენალი)

### 28 სექტემბერი

**ასტონ ვილა–სიტი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჟორეს ოკორე, კირან კლარკი, გაბრიელ აგბონლაჰორი, ანტონიო ლუნა, ეშლი ვესტვუდი, ფაბიან დელფი, კრიტიან ბენტეკე, შარლ ნზოგბია - ჯეკ როდუელი, მატია ნასტასიჩი, ალექს ნიმელი, ჯონ გუიდეტი, მარკოს ლოპეში

ურთიერთშეხვედრები
სულ 146 თამაში: +48=38-60 (208-233)

**ფულჰემი–კარდიფი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაარტენ სტეკელენბურგი, ბრაიან რუისი, მეტიუ ბრიგსი, აარონ ჰიუზი, აშკან დეჟაგა - ანდრეას კორნელიუსი

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +4=1-5 (17-17)

**ჰალ სიტი–ვესტ ჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მეინორ ფიგეროა, ჯეიმს ჩესტერი, რობერტ კორენი, პოლ მაკშეინი - ენდი კეროლი, ალუ დიარა, გი დემელი, სტიუარტ დაუნინგი, ჯო კოული

ურთიერთშეხვედრები
სულ 6 თამაში: +1=1-4 (5-12)

**იუნაიტედი–ვესტ ბრომ. 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რობინ ვან პერსი, ტომ კლევერლი, დარენ ფლეტჩერი - ბენ ფოსტერი, კრის ბრანტი, ჯორჯ ტორნი, ვიქტორ ანიჩებე, მატეი ვიდრა, ზოლტან გერა, ნიკოლა ანელკა

ურთიერთშეხვედრები
სულ 103 თამაში: +47=24-32 (199-159)

# პირველად ისტორიაში: ვილაშ ბოაში VS მოურინიო

## უფრო მეტი, ვიდრე მოსწავლე


ანდრე ვილაშ ბოაში ჟოზე მოურინიოს კარიერაში პირველად დაუპირისპირდება

პრემიერლიგის VI ტურის სასტარტო შეხვედრა „უაით ჰართ ლეინზე“ ნამდვილად არ არის უბრალო ლონდონური დერბი და ის ასეთი არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ... ნამდვილად არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ დღეს მაინც ყველაფერი განსაკუთრებულია. გულშემატკივარი მოედნის კიდესთან ორი უნიჭიერესი პორტუგალიელი მწვრთნელის დაპირისპირების მომსწრე გახდება. **ანდრე ვილაშ ბოაში** წარსულს პირისპირ შეეყრება. ერთი მხრივ **ჟოზე მოურინიოსთან** და მეორე მხრივ ყოფილ კლუბთან თამაში მისთვის განსაკუთრებული მოტივაციაა. *„ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით მოურინიოს ასისტენტი არასოდეს ვყოფილვარ. დიახ, მის სამწვრთნელო შტაბში შევდიოდი, მაგრამ „მეორე ნომრად“ თავი არასოდეს მიგრძვნია. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რატომაც გაიყარა ჩვენი გზები. გულწრფელად მსურდა მას მაქსიმალურად დავხმარებოდი, მაგრამ ვერ ვიგრძენი, რომ ჟოზეს ჩემგან ეს სჭირდებოდა. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, თუმცა ჩვენ ერთმანეთისგან განსხვავებული მწვრთნელები ვართ. განსხვავებული მიდგომა გვაქვს როგორც უშუალოდ თამაშის, ისე ფეხბურთელებისა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების მიმართაც. ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ჟურნალისტები გვადარებენ,“* - აცხადებს ვილაშ ბოაში.

ვილაშ ბოაშის „ტოტენჰემს“ ასე არასოდეს უთამაშია. შარშანდელ სეზონში „დეზები“ ცხრილის მე-2 ადგილზე ერთი ტურითაც კი გამაგრებულან, არათუ ლიდერის პოზიცია ჩაუგდიათ ხელთ, როგორც ეს მე-2 ტურის მერე მოხდა. აგვისტოდან მოყოლებული ჩრდილოლონდონელებმა 9-დან 8-ჯერ იმარჯვეს და თანაც არც ერთ მოგებულ შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ. „ჩელსის“ მიმართ კი ასეთი კომპლიმენტები არ გვემეტება. „განსაკუთრებული“ ახალ გუნდს ქმნის და ჯერჯერობით იმაზე სუსტად გამოიყურება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ჩემპიონატში მეტოქეთა შედეგიანობიდან გამომდინარე ძნელად წარმოსადგენია, რომ გუნდებმა გოლების ფეიერვერკი მოაწყონ. ასე რომ, თამაშის ბედი შესაძლოა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტოს. დაბოლოს, სტატისტიკის მოყვარულთ გეტყვით, რომ „ტოტენჰემს“ თანაქალაქელთან ჩემპიონატში ზედიზედ 7 თამაშია არ მოუგია.

### მძიმე გრაფიკის მსხვერპლი

„სუონსიმ“ ბოლო 12 დღეში მე-5 თამაში უნდა ჩაატაროს. „გედებს“ ასეთი დატვირთული გრაფიკი არასოდეს ჰქონიათ, რაც, საბოლოოდ, მათ თამაშზე უკვე აისახა. მართალია, შესუსტებული შემადგენლობით, მაგრამ შუა კვირაში **მიკაელ ლაუდრუპის** გუნდმა ლიგის თასზე „ბირმინგემთან“ უშანსოდ წააგო და შარშან მოპოვებული ტიტულისთვის ბრძოლა შეწყვიტა. უელსელებს ამჯერად „არსენალთან“ მოუწევთ შერკინება. ლიგის თასზე „მეთოფეებმაც“ ითამაშეს და თანაც 120-წუთიანი თრილერი გადახდათ თავს, თუმცა ამ ბრძოლას მხოლოდ დუბლიორების ძალა და ენერგია შეეწირა. „სუონსისთან“ დასვენებული „არსენალი“ ითამაშებს. **არსენ ვენგერის** გუნდმა უკანასკნელი 8-დან 7 თამაში მოიგო, ერთხელ კი საქმე პენალტების სერიაში გადაწყვიტა თავის სასარგებლოდ. ჩვენი აზრით, დღეს „ლიბერთი სტედიუმზე“ ფავორიტი სტუმარი იქნება.

### სტარტიც ასეთი უნდა

პრემიერლიგის სეზონის სტარტზე ვინმეს თუ არ გაუმართლა, უპირველესად, ეს ბედშავ „ასტონ ვილაზე“ ითქმის. ბირმინგემელებმა უკვე მოასწრეს და ითამაშეს „არსენალის“, „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ წინააღმდეგ; ლიგის თასზე კი მათი მეტოქე „ტოტენჰემი“ იყო. ბედის ირონიაა, მაგრამ **პოლ ლამბერტის** ფეხბურთელებს არც მე-6 ტურში ექნებათ ამოსუნთქვის საშუალება. „ვილა პარკს“ ფანტასტიკურ ფორმაში მყოფი „მანჩესტერ სიტი“ სტუმრობს, ვინც უკანასკნელ 3 შეხვედრაში 12 ბურთი გაიტანა. სწორედ „ქალაქელთა“ შედეგიანობა უნდა უფრთხობდეს ძილს ყველაზე მეტად მასპინძელთა შოტლანდიელ დამრიგებელს, რადგან მის მცველებს **ბრედ გუზანის** კარის უსაფრთხოება ძალიან უჭირთ. ისევ სტატისტიკას მოვუხმობთ და გეტყვით, რომ „ვილამ“ საკუთარ არენაზე ბოლო 13-დან 9 თამაში წააგო. ასე რომ, ფავორიტის გამოცნობა, წესით არ უნდა გაგიჭირდეთ.

### 28 სექტემბერი

**საუთჰემპტ–კრისტალ პალ. 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯონათან პარი, პატრიკ მაკარტი, იანიკ ბოლასი, გლენ მარი, ჯონათან უილიამსი, ჯეკ ჰანტი, დემიენ დელენეი - არავინ

ურთიერთშეხვედრები
სულ 37 თამაში: +15=10-12 (53-47)

**სუონსი–არსენალი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ეშლი უილიამსი, პაბლო ერნანდესი - ტომაშ როსიცკი, ლუკას პოდოლსკი, თეო უოლკოტი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კასორლა, იაია სანოგო, აბუ დიაბი, გედიონ ზელალემი

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +4=1-5 (13-12)

### 29 სექტემბერი

**სტოკ სიტი–ნორვიჩი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ერიკ პიტერსი, მარკ მუნიესა - სებასტიან ბასონგი, რიკი ვან ვოლფსვინკელი, ელიოტ ბენეტი

ურთიერთშეხვედრები
სულ 38 თამაში: +15=11-12 (47-44)

**სანდერლ–ლივერპული 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფილ ბერდსლი, ანდრეა დოსენა, ვეს ბრაუნი, სტივენ ფლეტჩერი - გლენ ჯონსონი, ფილიპე კოუტინიო, სებასტიან კოატესი, ალი სისოკო, ჯო ალენი

ურთიერთშეხვედრები
სულ 131 თამაში: +41=29-61 (189-224)

### 30 სექტემბერი

**ევერტონი–ნიუკასლი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
ტრავმა: არუნა კონე, ლეონ ოსმანი, სტივენ პენაარი, ანტოლინ ალკარასი - იოან კაბაი, რაიან ტეილორი, ხონას გუტიერესი, შოლა ამეობი, სტივენ ტეილორი

ურთიერთშეხვედრები
სულ 149 თამაში: +58=32-59 (221-226)

## ამბები

### რაჰემ, გონს მოდი

„ლელო“ რამდენიმე დღის წინ წერდა, რომ სასამართლომ „ლივერპულის“ 18 წლის ნახევარმცველი **რაჰემ სტერლინგი** ყოფილი მეგობარი გოგონას ფიზიკურ შეურაცხყოფაში უდანაშაულოდ სცნო. კლუბის პრესსამსახურმა აღნიშნულ ინციდენტზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ისურვა, თუმცა თემა ამოწურულად არ მიაჩნია გუნდის მთავარ მწვრთნელ **ბრენდან როჯერსს**. სიმართლე გითხრათ, ჩრდილოირლანდიელის კარგად გვესმის, რადგან თინეიჯერი ფეხბურთელისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. მას ძალადობაში შრაშან ნოემბერშიც ედებოდა ბრალი. *„რაჰემს უკვე ვურჩიე, რომ გონს მოეგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ერთ დღეს დიდ შარში გაყოფს თავს. მას მუდმივად უნდა ახსოვდეს, ვისი ფეხბურთელი ჰქვია. „ლივერპულის“ წევრისთვის ცხოვრების ასეთი სტილი მიუღებელია. ჩვენ მეორედ ასეთ რამეს დაუსჯელად ვერ დავტოვებთ,“* - განაცხადა „წითლების“ დამრიგებელმა.

### ბარტონი მერხს დაუბრუნდა

„ქუინზ პარკის“ 31 წლის ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** აქტიური კარიერის პარალელურად როემპტონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლას გეგმავს. ის ოთხშაბათს შეუდგა საქმეს და მეორე დღეს მიკრობლოგ „ტვიტერზე“ საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა: *„პირველ ლექციას დავესწარი. თვალები გახელილი მაქვს, ყურები - დაცქვეტილი, გონება - დაკავებული“*. ბარტონის თქმით, სწავლისკენ მას სპორტული მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელის **პიტერ კეის** უდროო გარდაცვალებამ უბიძგა, ვინც კარიერის დასრულების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ სპორტსმენებს ეხმარებოდა. ბარტონი აქამდეც გამორჩეული იყო საფეხბურთო სამყაროში არაორდინალური ნაბიჯებით. მაგალითად, ის ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი იყო, ვინც ხმა აღიმაღლა ფეხბურთში ჰომოფობიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### სტეკელენბურგს ოპერაცია სჭირდება

„ფულჰემმა“ მარც შვარცერის ნაცვლად ზაფხულზე გუნდში **მარტენ სტეკელენბურგი** მიიყვანა. 40 წლის ავსტრალიელის ნაცვლად გუნდის უსაფრთხოების ჩაბარება 31 წლის ჰოლანდიელისთვის ერთი შეხედვით ლოგიკური ნაბიჯი იყო, თუმცა ფეხბურთელმა „სანდერლენდთან“ I ტურის შეხვედრაში 75-ე წუთზე მხრის მძიმე ტრავმა მიიღო და მას მერე არ უთამაშია. „დამსვენებელთა“ კარს მას მერე **დევიდ სტოკდეილი** იცავს. *„თუკი სტეკელენბურგს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში უკეთესობა არ შეეტყობა, ოპერაცია უკვე გარდაუვალი გახდება. ხუთი კვირის განმავლობაში მას ტკივილი არა და არ უამდება,“* - განაცხადა „ფულჰემის“ თავკაცმა **მარტინ იოლმა**.

### უოლკოტს 3-5 კვირა დასჭირდება

„არსენალის“ 24 წლის გარემარბ **თეო უოლკოტს** გამოჯანმრთელებისთვის 3-დან 5 კვირამდე დასჭირდება. ინფორმაცია „სუონსისთან“ თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე **არსენ ვენგერმა** გაავრცელა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს მუცლის კუნთები აწუხებს და უახლოეს დღეებში მას ამის გამო ოპერაციას უკეთებენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

საფრანგეთი. ლიგა 1. VIII ტურის წინ

# როგორ გავაჩეროთ მონაკო

## მერვე ტურამდე ერთმა მწვრთნელმა ვეღარ მიაღწია

**ტური ახლახან მორჩა და უკვე ახალი იწყება - რას ვიზამთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო ფეხბურთში მუნდიალის წინა სეზონია და ჩემპიონატები შედარებით ადრე უნდა დასრულდეს. „მონაკო“ და „პარი სენ-ჟერმენი“ შეეცდებიან კვლავ დაუმარცხებლად გააგრძელონ მარათონი.**

**28 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| ლორიანი-მარსელი | 16:00 |
| პსჟ-ტულუზი | 19:00 |
| ევიანი-ბორდო | 22:00 |
| ლიონი-ლილი | 22:00 |
| ნიცა-გენგამი | 22:00 |
| სოშო-ვალანსიენი | 22:00 |
| სტ. ეტიენი-ბასტია | 22:00 |

**29 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| რენი-ნანტი | 16:00 |
| აიაჩო-მონპელიე | 19:00 |
| რეიმსი-მონაკო | 23:00 |

### ერიკ ელი გადადგა

ლიგა 1-ის მე-7 ტურმა პირველი მწვრთნელი შეიწირა - „სოშო“ ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელსაც გამარჯვება არა აქვს. ამიტომაც **ერიკ ელიმ** თანამდებობა დაკარგა. 48 წლის ელიმ შვეიცარიის საზღვართან მდებარე ფრანშ-კონტეს რეგიონის ქალაქ მონბელიარის გუნდი 2012 წლის გაზაფხულზე ჩაიბარა და ის ლიგა 1-ში დატოვა (სხვათა შორის, სწორედ „სოშომ“ ითამაშა ყველაზე მეტი სეზონი (62) ლიგა 1-ში), მაგრამ ახალი სეზონი ცუდად დაიწყო.

ოთხშაბათს „გენგამთან 1:5 მარცხი უკვე მეტისმეტი იყო და ელიმ კლუბის ხელმძღვანელობას დაასწრო და თავისი ნებით წავიდა თანამდებობიდან.

*„ბოლო 20 თვის განმავლობაში ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ყველაფერი გავაკეთე „სოშოს“ საკეთილდღეოდ. კლუბი ორჯერ დავტოვე ელიტაში. მაგრამ, როგორც ვატყობ, ახლა კლუბის ინტერესებში ჩემი გადადგომაა და მეც ასე მოვიქცევი“,* - განაცხადა მწვრთნელმა.

„სოშოს“ ხელმძღვანელობამ ელის ძველი შრომა წყალში არ გადაუყარა - ის აქ თამაშობდა ფეხბურთელობისას და შემდეგ 9 წელი სარეზერვო გუნდის მწვრთნელი იყო - პრეზიდენტმა **ლორან პერნემ** თქვა, რომ ელი კლუბში დარჩება გარკვეულ თანამდებობაზე, უახლოეს მატჩში „ვალანსიენთან“ კი „სოშოს“ მისი ასისტენტები გაიყვანენ.

### იბრა წყალს ამღვრევს

**ლორან ბლანის** „პარი სენ-ჟერმენი“, რომელიც 15 ქულით მე-2 ადგილზეა, „პარკ დე პრენსზე“ „ტულუზს“ მასპინძლობს, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა და ცხრილის მეორე ნახევარს უდგას სათავეში. „ტულუზი“ურიგოდ არ თამაშობს, ხოლო მის რიგებში დანიელი ფორვარდი **მარტინ ბრაიტვაიტი** გამოირჩევა.

პსჟ აშკარა ფავორიტია, მაგრამ მის რიგებში მაინც ჩანს რღვევის ნიშნები. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი თავნება შვედი ფორვარდი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**. იბრამ ახლახან დაადასტურა, რომ პსჟ-დან წასვლაზე ფიქრობდა.

შვედი „მილანიდან“ შარშან გადავიდა პარიზულ კლუბში და 19 წლის პაუზის შემდეგ ჩემპიონობის მოპოვებაში გვარიანად დაეხმარა. ახლა კი ის ხვდება, რომ ნელ-ნელა „პირველი ვიოლინოს“ როლიდან აჩოჩებენ - გუნდში ხომ კიდევ ერთი მაღალი დონის ფორვარდია - **ედინსონ კავანი**.

„RMC სპორტთან“ საუბარში მან თქვა: *„შემიძლია დავადასტურო, რომ ამ ზაფხულს ჩემი აგენტი რამდენიმე კლუბს ესაუბრა, მაგრამ პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ დროებით დარჩენა ვამჯობინე, რადგან ერთად შეგვიძლია ისტორიული მიზნების მიღწევა“,* - განაცხადა 31 წლის იბრაჰიმოვიჩმა.




„მონაკოს“ ყველა (!) გოლი ამ ორი ფეხბურთელის ანგარიშზეა

შეგახსენებთ, რომ წინა ტურში ზლატანმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, „ვალანსიენს“ კი ერთადერთი გოლი **ხავიერ პასტორეს** პასით სწორედ კავანიმ გაუტანა.

პსჟ-ს დიდი უპირატესობა აქვს ურთიერთშეხვედრებში - პარიზელებმა მეტოქეს ბოლო 8 შეხვედრა მოუგეს. **ალან კასანოვას** პსჟ-სთან მატჩში დააკლდებიან მცველი **ჟან დანიელ აკპა-აკპრო**, ნახევარმცველი **მიჰაი რომანი** და ფორვარდი **ედენ ბენ ბასატი**.

ლორან ბლანს დაცვაში უჭირს - **ტიაგო სილვა** არ იქნება, საეჭვოა **ალექსის** თამაშიც.

### გასაჩერებელი მხოლოდ ორია

ლიდერი „მონაკო“ პარიზის გარეუბანში ჩადის და „რეიმსს“ სტუმრობს. სხვათა შორის, **კლაუდიო რანიერის** გუნდის გაჩერების ფორმულა ერთდროულად იოლი და ძნელია. საკმარისია, „დაკეტო“ **ემანუელ რივიერისა** და **რადამელ ფალკაოს** დუეტი შეტევაში, რომ მონეგასკები მესამე, სათადარიგო ვარიანტის გარეშე რჩებიან - 13-ვე გოლი ჩემპიონატში ამ ორზე მოდის. მაგრამ სწორედ მათი გაჩერებაა ძალზე ძნელი. რაც წინა ტურში „ბასტიასთან“ თვალნათლივ ვიხილეთ, რივიერის გოლს ფალკაომ დუბლი დაამატა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | 7 | 5 | 2 | 0 | 13-3 | 17 |
| 2. პსჟ | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| 3. მარსელი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| 4. ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-4 | 13 |
| 5. რენი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| 6. სტ. ეტიენი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-7 | 12 |
| 7. ნიცა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 8. ლიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 10 |
| 9. ნანტი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 10. რეიმსი | 7 | 2 | 4 | 1 | 5-4 | 10 |
| 11. ტულუზი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 12. გენგამი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-9 | 8 |
| 13. მონპელიე | 7 | 1 | 5 | 1 | 8-10 | 8 |
| 14. ბასტია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 15. ევიანი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-13 | 8 |
| 16. ლორიანი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 17. აიაჩო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| 18. ბორდო | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 19. ვალანსიენი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-12 | 3 |
| 20. სოშო | 7 | 0 | 2 | 5 | 4-14 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 6 - ემანუელ რივიერი (მონაკო); 5 - კევინ ბერიგო (ევიანი)

ბრაზილიის ნაკრები

# სკოლარი: მუნდიალზე თამაში ნებისმიერ ბრაზილიელს შეუძლია

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა ორი ამხანაგური მატჩისთვის. 12 ოქტომბერს ბრაზილიის ნაკრები სამხრეთ კორეას ეწვევა, სამ დღეში კი „სელესაო“ ჩინეთის დედაქალაქში ჩავა, მაგრამ იქ 15 ოქტომბერს ზამბიის ნაკრებს შეხვდება.

სკოლარიმ მიიწვია „ლივერპულის“ საყრდენი ნახევარმცველი **ლუკას ლეივა** და დონეცკის „შახტარის“ შემტევი **ბერნარდი**. მწვრთნელს არ ეყოლება სამი ტრავმირებული: **ტიაგო სილვა** (პსჟ), **კაკა** (მილანი) და **ჟულიო სეზარი** (ქპრ).

ლუკასი, რომელმაც ახლა მოირჩინა ტრავმა, ნაკრებში შახტარელ **ფერნანდოს** შეცვლის. კაპიტანის, მეკარის და ცნობილი ვეტერანის გარდა, ტრავმის გამო არ იქნება არც ფორვარდი **ფრედი**. სამაგიეროდ, სიაში მოხვდნენ ბერნარდი, „ატლეტიკო მინეიროს“ **ვიქტორი** და „კრუზეიროს“ **დედე**. სკოლარიმ კიდევ ერთხელ არ გამოიძახა **რონალდინიო**. მართალია, გამოძახებულია, მაგრამ საეჭვოა **მაიკონმა** გამოჯანმრთელება მოასწროს.

მუნდიალამდე 9 თვეც აღარ დარჩა, მაგრამ სკოლარი არ ერიდება ექსპერიმენტებს შემადგენლობაში.

*„თითოეული ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც მომიწვევია ნაკრებში, ან ჯერ არ მომიწვევია, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წევრია. ყოველ მათგანს აქვს შანსი, მუნდიალზე ითამაშოს. კარი არავისთვის დამიკეტია. რა თქმა უნდა, უკვე მოხაზული მაქვს კონტურები, მაგრამ სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება. მინდა მივაწვდინო თითოეულ ბრაზილიელ ფეხბურთელს დედამიწის ზურგზე, გამოიჩინეთ თავი და თქვენ ითამაშებთ მუნდიალზე. ლუკას ლეივა ერთ-ერთია ვისი შემოწმებაც მინდა სანაკრებო დონეზე“.*

**მეკარეები:** ჯეფერსონი (ბოტაფოგო), ვიქტორი (ატლეტიკო მინეირო), დიეგო კავალიერი (ფლუმინენსე).

**მცველები:** დანი ალვეში (ბარსელონა), მაიკონი (რომა), მარსელო (რეალი), მაქსველი (პსჟ), დავიდ ლუისი (ჩელსი), დანტე (ბაიერნი), ენრიკე (პალმეირასი), დედე (კრუზეირო).

**ნახევარმცველები:** ლუკას ლეივა (ლივერპული), ერნანესი (ლაციო), ლუის გუსტავო (ვოლფსბურგი), პაულინიო (ტოტენჰემი), რამირესი, ოსკარი (ჩელსი).

**თავდამსხმელები:** ბერნარდი (შახტარი), ჟო (ატლეტიკო მინეირო), ლუკას მოურა (პსჟ), ჰალკი (ზენიტი), ალეშანდრე პატო (კორინთიანსი), ნეიმარი (ბარსელონა).




ლუკას ლეივა ნაკრებში დააბრუნეს

### დიეგო კოშტას დებიუტი შეიძლება საქართველოსთან ჰქონდეს

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** სანაკრებო სიაში არ მოიძებნა ადგილი მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდ **დიეგო კოშტასთვის**. არადა, ის სუპერფორმაშია - 24 წლის ბრაზილიელმა ლა ლიგაში 7 გოლი გაიტანა. ესპანური მედიის ცნობით, ეს იყო ბოლო წვეთი და კოშტამაც საბოლოოდ გადაწყვიტა, იმ ნაკრების მაისური მორგება, რომელსაც ძალიან სურს მისი დამატება.

საუბარი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთზეა, **ვისენტე დელ ბოსკეს** ნამდვილად არ შეუშლის ხელს მუნდიალზე კიდევ ერთი მაღალი დონის ფორვარდი.

კოშტას ბრაზილიის ნაკრებში მარტში გამართული ორი ამხანაგური მატჩი აქვს გამართული - იტალიასთან და რუსეთთან. *„ახლა მხოლოდ მომავალ მადრიდულ დერბიზე ვფიქრობ, მაგრამ თუკი დელ ბოსკე დამირეკავს, როგორ უნდა ვუთხრა უარი?“* - განაცხადა ფეხბურთელმა.

ფიფას წესებით, თუ ფეხბურთელს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, მას შეუძლია შეცვალოს ნაკრები, თუკი არ უთამაშია A კატეგორიის საერთაშორისო მატჩში, კოშტამ კი მხოლოდ ამხანაგურში ითამაშა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი გაოცებულია: *„ფიფა მგონი 40-60-იანი წლების დროს უბრუნდება, როცა სანდრო მაცოლას ბრაზილიის ნაკრებშიც ჰქონდა ნათამაშები და იტალიაშიც. ასევე შემიძლია გავიხსენო დი სტეფანო, პუშკაში... ერთ-ორ წელიწადში ეს ცუდ შედეგებს მოუტანს მსოფლიო ფეხბურთს. ფეხბურთელმა შეიძლება 1, 5, 10 ან ასი თამაში ითამაშოს ამხანაგური და თურმე ეს არ ითვლება - საოცარია პირდაპირ“,* - გაოცებულია ბრაზილიელი მწვრთნელი.

ვარსკვლავი

# მესი სასამართლოში გამოცხადდა

როგორც დათქმული იყო, კატალონიაში 27 სექტემბერს დაიწყო სასამართლო პროცესი **ლიონელ მესის** და მისი მამის წინააღმდეგ, რომელთაც გადასახადების დამალვაში ედებათ ბრალი. საუბარია, 2006-2009 წლებში სახელმწიფოსთვის 4 მილიონ ევროს ტოლფასი ზარალის მიყენებაზე, ორივე ეჭვმიტანილი უარყოფს ამ ბრალდებებს. და აი, ლიონელ მესი გამოცხადდა სასამართლოში. ბუნებრივია, მას იქ ასობით ჟურნალისტი დახვდა, რომელთაც ეს მოვლენა აღბეჭდეს.

*„მე და მამაჩემი არასოდეს ვაქცევდით ყურადღებას საგადასახადო საკითხს. ჩვენ გვყავს იურისტები, რომლებიც მუშაობდნენ და მუშაობენ ამ საკითხებზე. ჩვენ მათ ვენდობით და ვიცით, რომ ყველა სადავო საკითხს მოაგვარებენ. სიმართლე ისაა, რომ არასოდეს ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი ამ შემთხვევაში. სწორედ ამიტომაც, ყოველთვის მყავდა ხალხი დაქირავებული შესაბამისი სამუშაოების გასაწევად“,* - განაცხადა ლიონელ მესიმ.

ესპანური მედიის თანახმად, ამას წინათ ლიონელმა უკვე შეიტანა ბიუჯეტის სასარგებლოდ 5 მილიონი ევრო. თუმცა ამის გამო მას ბრალდება არ მოხსნია. 27 სექტემბრის სასამართლომ სწორედ ეს უნდა გაარკვიოს, გაგრძელდება თუ არა არგენტინელის სამართლებრივი დევნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ძალოსნობა



ლაშა ტალახაძე

# სამი ოქრო და ქართული ჰიმნი

ესტონეთის დედაქალაქში 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე მძიმეწონოსნებში უპირობო ფავორიტად საჩხერელი გოლიათი **ლაშა ტალახაძე** მიიჩნეოდა და არცთუ უსაფუძვლოდ: წლეულს ზაფხულს დუშეთში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატში მან 197-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა და 233 კილოგრამი აკრა. ცხადია, ამგვარი მაჩვენებლებით ევროპული პირველობის მოგება არ უნდა გასჭირვებოდა და ასეც მოხდა. თუმცა საოცარი ის იყო, რომ სანამ ლაშა გავიდოდა ფიცარნაგზე, მეტოქეები შემოეფანტა - საუკეთესო შედეგის მქონე კარენ მარტიროსიანმა, რომელიც რუსეთის სპორტულ ღირსებას იცავდა, 175 კილოგრამით დაასრულა ასპარეზობა, მე-2 ადგილზე მყოფ პოლონელ ბართოშ ლოზინსკის კი სულაც 162 კილოგრამი ჰქონდა დაძლეული. ქართველ ჭაბუკს მოწინააღმდეგედ რკინალა შერჩა და მასაც სძლია - პირველ ცდაზე 182 კილოგრამი ბუმბულივით აიტაცა, არც 190 კილოგრამის დამორჩილება გასჭირვებია, მესამე ცდის გამოყენებაზე კი საერთოდ უარი თქვა.

მეტოქეებმა ჩვენებურს კონკურენცია ვერც აკვრაში გაუწიეს: მარტიროსიანი 200 კილოგრამით დაკმაყოფილდა, რადგან 198 კილოგრამის მქონე ლოზინსკის ორჭიდში ისედაც უსწრებდა, ქართველ ათლეტთან გამოდევნებას კი რომ ვერ შეძლებდა, ნათელი იყო... ლაშამ აკვრაშიც ორი ცდა გამოიყენა - ჯერ 210, შემდეგ კი 225 კილოგრამი დაძლია და ორჭიდის ჯამში უახლოეს კონკურენტს 40(!) კილოგრამით გაუსწრო. სამივე ოქრო ლაშა ტალახაძეს ერგო და მისი გამარჯვების აღსანიშნავად დარბაზში ქართული ჰიმნიც აჟღერდა. მძიმე წონაში კვარცხლბეკი ასე განაწილდა: 1. ლაშა ტალახაძე-415 (190+225), 2. კარენ მარტიროსიანი-375 (175+200), 3. ბართოშ ლოზინსკი-360 (162+198).

გუშინვე ტალინში მედლები 105 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც გათამაშდა. ქართველთაგან ძალებს ცდიდა **ვილიამინ ალექსიძე**. ატაცში მხოლოდ 150-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. 155 კილოზე ორჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ამაოდ. ამ მოძრაობაში პირველ-მესამე ადგილებზე ტიმურ ნანიევი (რუსეთი, 184), იაროსლავ სამორაი (პოლონეთი, 162) და ევსტათიოს სტრუმპისი (საბერძნეთი, 156) გავიდნენ. აკვრაში ალექსიძემ ჯერ 185, შემდეგ 191 კილოგრამი დაძლია, მესამე ცდაზე 197-კილოგრამიანი შტანგაც ალმართა თავს ზემოთ, მაგრამ მსაჯებმა წესების დარღვევა დააფიქსირეს და ცდა არ ჩაუთვალეს. საბოლოოდ ქართველი ათლეტი ორჭიდში 341 კილოგრამით მე-5 ადგილს დასჯერდა. 400 კილოთი (184+216) ჩემპიონობა ნანიევმა მოიპოვა. 357 კილოგრამით (162+195) მეორე იყო სამორაი. კილოგრამით ნაკლები მოაგროვა (156+200) სტრუმპისმა, რომელიც ბრინჯაოს დაყაბულდა.

**ვაჟა დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მუხრან ვახტანგაძის ტურნირი

# მეორე მუხრანული

**ბათუმში** გუშინ დაიწყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონისა და ოლიმპიურ პრიზიორ **მუხრან ვახტანგაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლეულს მეორედ ტარდება. ესაა ფილას კალენდარში შეტანილი შეჯიბრება, მსგავსი კი საქართველოში მის გარდა, მხოლოდ **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის ტურნირია.

წლეულს ბათუმში უცხოელთაგან თურქეთის, უნგრეთის, სომხეთის, რუსეთისა და ინდოეთის გუნდები ჩავიდნენ. უთუოდ მისასალმებელია უნგრელთა გამოჩენა, რაც გეოგრაფიის გაზრდის მაჩვენებელია. სასიამოვნოა ინდოელის მონაწილეობაც, თუმცა იქიდან მხოლოდ ერთი ფალავანია ჩამოსული. მასპინძელთა ჩათვლით, შეჯიბრებაში 65-მდე მონაწილე გამოდის. იგი მხოლოდ ბერძნულ-რომაულში ტარდება და ახალგაზრდებს შორის იმართება.

გუშინ, პირველ საშეჯიბრო დღეს ასპარეზობა 50, 60, 74 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში გაიმართა. ცხადია, მედლების უმეტესობა მასპინძლებს დარჩათ, თუმცა ორ წონაში ოქროს მედლები სტუმრებს დარჩათ, 74 კილოგრამში კი ჩვენმა მეზობლებმა იყოჩაღეს – სომხური ფინალი გაიმართა. ეს დღე არც ისე წარმატებული აღმოჩნდა მასპინძელთა ლიდერებისთვის – ტურნირში ამ ასაკში ევროპისა და მსოფლიოს პირველობების რამდენიმე მონაწილეც გამოდიოდა, მაგრამ უმედლოდ დარჩნენ. ტურნირი ბათუმში დღეს დასრულდება.

**ირაკლი თავაძე**

## კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. ვიქტორ ალიუტოვი (რუსეთი); 2. თემურ შავაძე; 3. თორნიკე ჭელიძე (ორივე – საქართველო).

**60 კგ.** 1. ასლან მეკეიძე; 2. ირაკლი შავაძე; 3. ნიკოლოზ ჭიკაიძე, ლევან ქავჟარაძე (ოთხივე – საქართველო).

**74 კგ.** 1. სარგის კოჩარიანი; 2. ვარუჟკან გრიგორიანი (ორივე – სომხეთი); 3. დავით გოგიძე (საქართველო), პეტერ ნაკი (უნგრეთი).

**96 კგ.** 1. ნიკოლოზ კაკაბაშვილი (საქართველო); 2. ბაგრატ ნაზარიანი (რუსეთი); 3. გიორგი ბარბაქაძე (საქართველო), კარენ აბგარიანი (სომხეთი).

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

# კარგი იქნება, ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვა და საქმე ერთმანეთს პასუხობდეს!

## მინდორაშვილი გამოცდილი მწვრთნელის გვერდში დგომას საჭიროებს

**თავისუფალი** ჭიდაობის ღვაწლმოსილ სპეციალისტს **ნუგზარ სხირელს** მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. იგი ოთხი ათეული წელია გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზს ხელმძღვანელობს, შარშანდლამდე თითქმის ოცი წელიწადი კი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში. მის მიერ აღზრდილ უამრავ ფალავანს ქვეყნისთვის სახელი და დიდება მოუტანია. ბატონი ნუგზარი ერთი წელიწადია ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის პოსტიდან გაათავისუფლეს, თუმცა გორის დარბაზში განაგრძობს მუშაობას. მისმა შეგირდებმა წლეულსაც წარმატებით იასპარეზეს შინ თუ გარეთ. სხირელი ამას წინათ ბუდაპეშტი გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლდა საქართველოს ნაკრებს, სადაც ჩვენი გუნდი წარმატებით გამოვიდა. ერთადერთი მედალი მისმა პირადმა შეგირდმა მძიმეწონოსანმა **გენო პეტრიაშვილმა** მოიპოვა. გამოცდილ მწვრთნელს ქართველი ფალავნების ასპარეზობის შეფასება ვთხოვეთ, თუმცა გაცილებით მწვავე თემებზე მოგვიწია საუბარმა.



**— ბატონო ნუგზარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამოსვლის შესახებ საუბრით დავიწყოთ...**

— გულდასაწყვეტია, რომ ბუდაპეშტში ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი, რომელთაც შარშან ოლიმპიურ თამაშებზე და წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მედლები მოიპოვეს, ამჯერად საერთოდ ვერ დადგნენ კვარცხლბეკზე. არადა, შეკრებაზე ისინიც და ნაკრების ყველა წევრი დიდი მონდომებით ემზადებოდა. სხვა საკითხია, რამდენად სწორად ემზადებოდნენ, თორემ ჩემი აზრით, მონდომება ნამდვილად არ აკლდათ.

**— რას გულისხმობთ, სავარჯიშო პროცესი, თქვენი აზრით, არასწორად წარიმართა?**

— მიმაჩნია, რომ რეზო მინდორაშვილი ტიტულოვანი სპორტსმენი და კარგი მწვრთნელია, მაგრამ მას გვერდით დაუყენეს გამოუცდელი, არაკვალიფიციური თანაშემწეები. მინდორაშვილი, როგორც მწვრთნელი, ამ ეტაპზე გამოცდილი სპეციალისტის გვერდში დგომას საჭიროებს.

**— ნაკრების დასკვნით შეკრებას სრულად ბორჯომში საკუთარი ინიციატივით დაესწარით?**

— ერთხელ დასკვნით შეკრებამდეც ვიყავი. ორჯერვე საკუთარი სურვილით. ჯერ კიდევ ივნისში, როცა საქართველოს თასზე გორის დარბაზის ათამდე წარმომადგენელი დადგა კვარცხლბეკზე, მათ შორის ჩემი შეგირდები ლადო ხინჩეგაშვილი და გენო პეტრიაშვილი სულაც ნაკრების ლიდერები არიან, თავად გამოვთქვი სურვილი შეკრებაზე წავსულიყავი. რასაკვირველია, ანაზღაურება არ მომითხოვია, თუმცა მინდოდა შეკრებაზე ჩემს ყოფნას ოფიციალური სახე მისცემოდა და მიტმასნილად არ მეგრძნო თავი. ტელეფონით შევუთანხმდი მინდორაშვილს და ჩავედი ბორჯომში. მეორე დღეს კურტანიძე ჩამოვიდა, არც მომსალმებია, ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ არ დავუნახივარ. სადილობისას მწვრთნელებთან ერთადაც კი არ დამსვეს. მეორე დღესვე დავტოვე იქაურობა. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებაზე კი ისევ მინდორაშვილთან შეთანხმებით და უკვე სიაში ოფიციალურად ვიყავი დაფიქსირებული. აი მაშინ კი ვიგრძენი, რომ ზედმეტი არ ვყოფილვარ. მეტიც, რეზომ მითხრა: ნუგზარ მასწ, თქვენი აქ ყოფნა უდავოდ სასურველიაო.

**— ფედერაციის ახალ პრეზიდენტთან თქვენი ურთიერთობა თავიდანვე ვერ აეწყო. რატომ?**

— არა მხოლოდ ჩემთან, მას ჭიდაობის სამყაროს ბევრ წარმომადგენელთან აქვს ცუდი ურთიერთობა და უკმაყოფილოთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. თავიდანვე მწვრთნელთა შეცვლის პროცესი სამივე (დიდები, ახალგაზრდები, ჭაბუკები) ნაკრებში ძალიან ცუდად განხორციელდა. რა საჭირო იყო მწვრთნელთა მასობრივი დათხოვნა? ან გაშვების ის ფორმა მისაღებია, რასაც მან მიმართა? ისე მოგვიშორეს თითქოს ქართული სპორტისთვის, ქვეყნისთვის ელემენტარული დამსახურებაც კი არ მიგვიძღვოდა – ერთი მადლობაც დაენანათ! მაშინ ლუკა კურტანიძის მომხრეები ამბობდნენ: ხომ აქვს პრეზიდენტს უფლება, რომ თავისი გუნდით მოვიდეს. ჰოდა, მას ახალი მწვრთნელების მოყვანა, მოვალეობის შემსრულებლებად მათი დანიშვნა უნდაო. კი ბატონო, მოვიდეს, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ვაკანსია არ იყო? ფედერაციის პრეზიდიუმს არ გაუთავისუფლებია ძველი მწვრთნელები და ახლებს ვის ადგილებზე ნიშნავ?

**— პრეზიდიუმს რომ მიეღო გადაწყვეტილება თქვენი გათავისუფლების თაობაზე, საწინააღმდეგო გექნებოდათ?**

— პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას ულაპარაკოდ დავემორჩილებოდი, მაშინაც და ახლაც. ამდენ ხანს ვიბრძვი სწორედ იმისთვის, რომ კანონიერად მიღებული გადაწყვეტილება დავინახო, თუმცა საკითხის პრეზიდიუმზე განხილვასაც ვერ დააყენეს საშველი. სიმართლე გითხრათ, სულაც აღარ მაქვს სურვილი, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიმუშაო, რადგან საუბედუროდ, ეს ნაკრები საერთოდაც დაშლილია და ამას დრო გვიჩვენებს, საჭიდაო სამყარო თვალნათლივ დაინახავს ყველაფერს!

**— ლუკა კურტანიძე ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე თქვენ არ შეგხვედრიათ?**

— საქმეც ისაა, რომ შემხვდა და ამ შეხვედრაზე ნათქვამი სიტყვა გატეხა. იგი აქ, გორის დარბაზში იყო ჩამოსული. ვუთხარი, რომ მწვრთნელად არ დავბადებულვარ და ცხადია, სიცოცხლის ბოლომდეც არ ვაპირებდი ახალგაზრდულ ნაკრებში დარჩენას. სურვილი მქონდა ორი წელიწადი კიდევ მემუშავა ნაკრებში, დავასრულებინებდი ჩემს პირად შეგირდს გენო პეტრიაშვილს ახალგაზრდებს შორის ასპარეზობას და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე წავიდოდი. პარალელურად, ჩემს წასვლამდე ვთავაზობდი, რომ დაგვენიშნა თანაშემწე, რომელსაც ამ ორ წელიწადში გადავცემდი მთელ ჩემს გამოცდილებას და დავემშვიდობებოდი ყველას. დამთანხმდა, ხელი ჩამომართვა, დიდი პატივისცემით დამემშვიდობა, მაგრამ არჩევნების შემდეგ საპირისპირო რამ გააკეთა — ადგა და ყველა ასე უბრალოდ მოგვიშორა! არადა რა შეუსრულებელი სჭირდა მასთან შეხვედრისას დაფიქსირებულ პოზიციას? ან ეს რა იყო, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრებ გუნდებში მთავარი მწვრთნელები კი შეცვალა, მაგრამ ყოფილ მწვრთნელებს ნაკრებებში კონსულტანტის სტატუსები დაუტოვა და ხელფასებიც შეუნარჩუნა, თავისუფალ ჭიდაობაში კი ყველა გამოგვყარა?! იქნებ, ჩემ მიერ გაწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებს რომ სისტემატიურად ჰქონდა წარმატებები, ეს არ იცოდა ვინმემ საჭიდაო სამყაროში? არავის დაავიწყდეს, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1994 წლიდან რომ ვიყავი და მხოლოდ ბოლო სამი-ოთხი წელიწადი გვქონდა ხელფასი და პრემია. ამდენ ხანს ჯამაგირის გარეშე ვხელმძღვანელობდი ახალგაზრდების გუნდს! ერთხელ შეკრებისთვის თანხა ვერ გამოინახა და ჩემი საკუთარი 800 დოლარი ჩავიტანე თბილისში, რათა იგი არ ჩაშლილიყო. თანხას დაგიბრუნებთო, თუმცა არავის დაუბრუნებია. ხშირად გორის დარბაზის ანაზღაურებასაც კი ნაკრების პრობლემების მოსაგვარებლად გორიდან თბილისში სიარულს ვახმარდი. ახლა გაუჩნდა ყველას ერთდროულად მწვრთნელობის ამბიცია ცარიელ ენთუზიაზმზე მუშაობა რომ დამთავრდა?! სხვათა შორის, წლეულს ზოგიერთი ვაიმწვრთნელები ცდილობდნენ ჩემთვის ის ესწავლებინათ, თუ სად და როდის მეჭიდავებინა ჩემი მოსწავლე გენო პეტრიაშვილი. ჯერ ერთმა მითხრა: საქართველოს ახალგაზრდული პირველობა არ აჭიდავო დიდების ნაკრებში გვჭირდებაო, მოგვიანებით მეორემ, დიდების საქართველოს თასზე არ აჭიდავო ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატზე კარგად ვერ გამოვაო. სადაც საჭირო იყო ყველაგან ვაჭიდავე პეტრიაშვილი და იგი ახალგაზრდებს შორის როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა! დიდებში კი 19 წლის ბიჭმა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ახლაც ვერ დაინახეს, რომ მართალი ვიყავი? ხაზგასმით ვამბობ, რომ ნაკრების მწვრთნელები იქნებიან, თუ ფედერაციის პრეზიდენტი, ყველამ პატივი უნდა სცეს მოჭიდავის პირადი მწვრთნელის მოსაზრებას.

**— როგორც ახალგაზრდების, ისე დიდების მსოფლიოს ჩემპიონატებზე თქვენც ახლდით საკუთარ შეგირდებს ხინჩეგაშვილს და პეტრიაშვილს. ვიცით, რომ მათთან სეკუნდანტობის საშუალება არ მოგეცათ...**

— არც ერთგან ამის საშუალება არ მომცემია. ბოლოს, დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზე კურტანიძემ რომ დამინახა როგორ დავდიოდი ტრიბუნიდან ტრიბუნაზე, რომ ბიჭებისთვის მეკარნახა — შემომთავაზა გენოს მეორე სეკუნდანტობა. დამსვეს კიდეც, მაგრამ შორს. დარწმუნებული ვარ, პეტრიაშვილის შეხვედრაში გაცალოვთან, პირველი სეკუნდანტის პოზიციაზე თუ ვიქნებოდი, ჩემი კარნახით ჩვენი ფალავანი იმ შეცდომას არ დაუშვებდა, რითაც წააგო და ბრინჯაოზე მაღალი ხარისხის მედალი გვექნებოდა. სხვათა შორის ორივე შეჯიბრებაზე ჩემს დაფინანსებაზე ფედერაციამ უარი თქვა და ორივეგან საკუთარი ხარჯით წავედი.

**— ფედერაციამ რა მიზეზით გითხრათ უარი დაფინანსებაზე?**

— საქართველოს თასზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, დარბაზშივე მე ლუკა კურტანიძეს პირადად ვუთხარი, რომ სურვილი მქონდა გენო პეტრიაშვილს ახალგაზდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე გავყოლოდი. მან მითხრა, რომ კონტინენტის ჩემპიონატზე ველარ მოესწრებოდა საბუთების მოწესრიგება, მაგრამ თანმხლებ პირს ჩემი თანდასწრებით სთხოვა ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩემთვის საბუთების მომზადება. თუმცა რამდენიმე დღეში დამირეკეს და მითხრეს, სიიდან თქვენი გვარი სპორტის მინისტრმა ამოიღოო. ამის შემდეგ დიდების მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჯერ დამპირდნენ, მაგრამ ბოლოს ისევ ჩემი ხარჯით წავედი. არადა იქ არაერთი ისეთი ადამიანი ვნახე ჭიდაობის ფედერაციიდან დაფინანსებული, რომ არათუ ფედერაციასთან, ჭიდაობასთან საერთოდ შეხება არა აქვთ!

» მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

**— სპორტის მინისტრთან თქვენი იგნორირების შესახებ ინფორმაცია არ გადაგიმოწმებიათ?**

— გადავამოწმე და ფედერაციის წარმომადგენელთა მიერ ჩემი მოტყუების გამო ბატონ ლევან ყიფიანთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მას მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან ერთად შევხვდი. ვუთხარი, რომ ჭიდაობიდან ჩემი ერთადერთი შემოსავალი გორის დარბაზის ხელმძღვანელობისთვის ხელფასი თვეში 500 ლარია. მე კი ორივე მსოფლიოს ჩემპიონატზე (ახალგაზრდები, დიდები) წასასვლელად საკუთარი იმდენი თანხა დავხარჯე, რაც მთელ წელიწადში უნდა მიმეღო და რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფონდი, მშრალზე დავრჩებოდი. მათ გაუკვირდათ, რატომ მიწევდა ამ შეჯიბრებებზე საკუთარი ხარჯით გამგზავრება. ბატონ ლევანს ვუთხარი, ჩემი სიიდან ამოღების რა მიზეზიც მითხრეს ფედერაციიდან. მან თქვა: *„როგორც ჩემთვის ცნობილია, ფედერაციას აქვს საკმარისი ბიუჯეტი რათა თქვენც და თუ საჭიროა სხვა მწვრთნელებიც იახლოს ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე“*. მეტიც, მინისტრმა ისიც დასძინა, რომ თუ რამეზე სხვისგან ნაწყენი ვიყავი, თავად მთავაზობდა მეგობრობას და თანამშრომლობას.

**— უთანხმოებებიდან გამომდინარე, ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას გამორიცხავთ?**

— როგორ გამოვრიცხო, როცა ამდენი პირადი შეგირდი სხვადასხვა ნაკრებში ასპარეზობს და ესოდენ წარმატებულ გორის ჭიდაობის დარბაზსაც ვხელმძღვანელობ. დარწმუნებული ვარ, ჯერაც შემიძლია ბევრი რამ გავაკეთო, მაგრამ საამისოდ მხოლოდ ჩემი სურვილი არ კმარა და კარგი იქნება, ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვა და საქმე ერთმანეთს პასუხობდეს!

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**



## „ლელო“ კომენტარისთვის ლუკა კურტანიძესაც დაუკავშირდა, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

- გულდასაწყვეტია, როცა შენთვის პატივსაცემი ადამიანი და მწვრთნელი ასეთ განცხადებებს აკეთებს. მე მუდამ ვაღიარებ მის პროფესიონალიზმს და ყოველთვის არა ბატონ ნუგზარს, არამედ ნუგზარ მასწავლებელს ვეძახი. მან შექმნა გორის საჭიდაო სკოლა, თუმცა იქ ნურც სხვა მწვრთნელებს - ჯიოშვილს, მუზაშვილს, ხინჩაგაშვილს და დანარჩენებს დავივიწყებთ. ადამიანურად მისიც მესმის - 20-წლიანი მუშაობის შემდეგ წასვლა ძნელია. ეს საკუთარ თავზეც გამომიცდია - წლების განმავლობაში გამიჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ჩემი, როგორც სპორტსმენის დრო წავიდა და ასპარეზი ახალგაზრდებისთვის უნდა დამეთმო. დღესაც ვერ ვეგუები ამ აზრს და სხირელისაც გასაგებია, თუმცა ცვლილება ყველაფერს სჭირდება. რაც შეეხება შეკრებაზე მის წასვლას, რევაზ მინდორაშვილი ამას ჩემს უნებართვოდ ვერ გადაწყვეტდა. როგორც კი სხირელმა ამის სურვილი გამოთქვა, უყოყმანოდ დავეთანხმე. ამბობს, რომ იქ ჩასული არ მივესალმე, რაც ადამიანური მომენტიდან გამომდინარეობს - როცა ზემოაღნიშნული ცვლილებები განვახორციელე, მაშინ ნუგზარ მასწავლებელი იყო ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელიც მედიაშიც და მის გარეთაც აქტიურად გამოდიოდა ჩემ წინააღმდეგ და არ იშურებდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს. ამაზე ნაწყენი არა, მაგრამ გულდაწყვეტილი კი ვარ - მე მას არასოდეს ვაკადრებ მსგავსს. თვით ის ფაქტი, რომ მისი აღზრდილები - დავით პოლოსიანი, გიორგი გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი, ბესო გუჩაშვილი სხვადასხვა ნაკრებებში უფროს თუ მეორე მწვრთნელებად მოვიყვანე, ესეც ხომ მისი მუშაობის აღიარებაა? მას დღესაც ყველანაირი საშუალება აქვს, რომ თავისი საქმე, სიტყვა, გამოცდილება გაგვიზიაროს - კვლავინდებურად მუშაობს გორში, მის მოსწავლეებს ყველანაირი პირობები ექმნებათ შედეგების მოსაპოვებლად და ლადო ხინჩეგაშვილმა და გენო პეტრიაშვილმა ეს შანსი გამოიყენეს კიდეც. წინასწარ არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მათი შედეგებისთვის სხირელი წლის ბოლოს 70-დან 80 ათას ლარამდე პრემიას მიიღებს - აქ ახალგაზრდულ ნაკრებში მოპოვებული შედეგებიც შედის. ამასთან, ის „ქართუ-ფონდიდანაც“ იღებს 1000 ლარს, როგორც დამსახურებული მწვრთნელი, გორის სპორტსკოლიდან კი - 500 ლარს. მგონი, საქართველოში 1500-ლარიანი ხელფასი და წლის ბოლოს 70-80-ათასიანი პრემია დიდი დაფასებაა.

მეკითხებით, თუ მასთან პრეტენზიები არ გვქონდა არც ფინანსებზე, არც - საკადრო შერჩევაზე, არის დიდი პროფესიონალი, რატომ არ დავტოვეთ გუნდში თუნდაც კონსულტანტად? მასაც და სხვა მწვრთნელებსაც თავიდანვე შევთავაზეთ კონსულტანტებად დარჩენა, მაგრამ არ ისურვეს. სხირელი ნაკრებებში მწვრთნელებად მოყვანილ თავის მოსწავლეებს არ აღიარებს და ვერ იმუშავებდა მათთან. იგივე პრობლემა ჰქონდათ სხვებსაც - თავიდანვე კონფლიქტში შევიდნენ თავიანთ სავარაუდო შემცვლელებთან. მათიც მესმის - ძნელია, როცა შენი შეგირდი უფროსად მოგევლინება.

რაც შეეხება იმას, რატომ ვერ წავიყვანეთ ბუდაპეშტში, ამჯერად ვერ მოხვდა იმ 30-კაციან კვოტაში, ვისაც ფედერაცია აფინანსებდა - ორივე ნაკრების სპორტსმენები, მწვრთნელები, ექიმები, ფედერაციის ხელმძღვანელობა და სახელოვანი ვეტერანები, რაც სიახლეა ჩვენი ფედერაციის მუშაობაში. წესად დავამკვიდრეთ, რომ გუნდებს მოსამზადებელ პროცესში, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე თან ახლდნენ სახელოვანი ფალავნები, ღვაწლმოსილი ადამიანები. ისინი შეკრებებზეც დადიან და 2-3 კაცი ტურნირებზეც დაგვყავს, ვანაწილებთ, როგორც შეგვიძლია. მათგან ბევრი ისეთია, წლების განმავლობაში გარიყულები რომ იყვნენ ჭიდაობიდან, ჩვენ კი ნელ-ნელა ვაბრუნებთ უკან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ - გურამ საღარაძე, მიხეილ სალაძე, თამაზ მაჭავარიანი, ვლადიმერ კანკავა, ესტატე გოგლიჩიძე, ვანო ნიკოლაძე, ვახტანგ ბლაგიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი (თუმცა ჯანმრთელობის გამო ვერ შეძლო შეკრებაზე წასვლა და მოგვიბოდიშა), თემურ ყაზარაშვილი, თემურ აფხაზავა და სხვა. მაქსიმალურად ვანაწილებთ ამ ხალხს, რომ არავინ დაგვრჩეს გულნატკენი. გოგლიჩიძე და სალაძე მსოფლიოს უნივერსიადაზე გავუშვით; საღარაძე ახალგაზრდულ მსოფლიოს პირველობაზე სულაც დელეგაციის ხელმძღვანელი იყო; აფხაზავა, ვინც წლების განმავლობაში ნატრობდა ნაკრებთან ყოფნას, სერბეთში გავაყოლეთ ჭაბუკებს მსოფლიოს პირველობაზე, ნიკოლაძე და ბლაგიძე ბუდაპეშტში წავიყვანეთ. მინდა, ყველა ჩავრთო და მაქსიმალურად დავაფასო. სხირელი ახლა ვერ მოხვდა ამ სიაში, თორემ მომავალში აუცილებლად დავაფინანსებთ. ამჯერად ჩვენ მის ვიზაზე ვიზრუნეთ, მეტი ვერ მოხერხდა.

ბუდაპეშტში მის სეკუნდანტობას რაც შეეხება, არსებობს ერთგვარი პროტოკოლი, რომელსაც ვიცავთ და რომლის მიხედვითაც იქ მთავარი მწვრთნელი უნდა იჯდეს. მე შოთა კიკაბიძემ გამზარდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მეჯდა სეკუნდანტად. მერწმუნეთ, არავინ დაიჩაგრება. ამას გეუბნებით 27 სექტემბერს, ჩემთვის ყველაზე მძიმე დღეს, როცა დავკარგე აფხაზეთი, სახლი, ბავშვობის მეგობრების დიდი ნაწილი, დავკარგე მშობელი მამა - 27 სექტემბერს მას უკანასკნელად დავემშვიდობე და ვუთხარი, თბილისში გელოდები-მეთქი, მაგრამ მისი საფლავიც არ ვიცი. ის იამაყებს იმით, რომ მართალი კაცი ვარ და ვემსახურები ჩემს სამშობლოს, რომელიც მილიონებზეც არ გავცვალე, როცა პური და წყალი მენატრებოდა, მშიერი ვვარჯიშობდი და ექიმები მაჩერებდნენ, ამ დატვირთვებით ვარჯიში არ შეიძლებაო. ამ გადმოსახედიდან არავინ იფიქროს, რომ ლუკა-ელდარ კურტანიძე ვინმეს არასწორად მოექცევა. შეუცდომელი არავინაა და იქნებ მეც შევცდე, რასაც ვაღიარებ კიდეც, მაგრამ უსამართლოდ არავის მოვექცევი.

---

● შეხვედრა წარსულთან



# კექოუკა გოცირიძე, კოდოკანის აღზრდილთა ღირსეული მეტოქე

**2014 წლის 13 აპრილს „ლელოს“ არსებობის 80 წელი უსრულდება. ამ ხნის განმავლობაში იგი არა მხოლოდ სპორტული მოვლენების აღმნუსხველ-განმზოგადებელი და მემატიანე იყო, არამედ დიდ ადგილს უთმობდა ქართული სპორტის ისტორიის კვლევას, სხვა თემებს, რაც მეტ ღირსებას ანიჭებს საქართველოს ამ უძველეს, პირველ სპორტულ გაზეთს.**

**ტრადიცია გრძელდება. დღეიდან გვეძლევა შესაძლებლობა ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ ახალი ისტორიული ფაქტები ქართული სპორტის წარსულიდან თუ ჩვენი თანამემამულე ათლეტებისა და ჭეშმარიტი რაინდების ცხოვრებიდან.**

*ეს ისტორია მაშინ დაიწყო, როცა პატარა იაპონიამ გაბედა და 1904 წლის 27 იანვარს (ახალი სტილით — 9 თებერვალს) პორტ-არტურის ნავსადგურში რეიდზე მდგარი რუსული ხომალდები სულ ერთმანეთის მიყოლებით ჩაძირა. ასე დასრულდა შორეულ აღმოსავლეთში რუსთა განუსჯელი პარპაში, რომელსაც იაპონელები კარგა ხანს — 1850 წლიდან ითმენდნენ და ეს ყველაფერი რუსეთ-იაპონიის ომის საბაბად იქცა. თავდაპირველად, სანქტ-პეტერბურგში იაპონიის არმია სასაცილოდაც კი აიგდეს, მაგრამ მერე სერიოზულად შეშფოთდნენ იმით, რომ სამურაებმა ომის პირველივე დღეებში დაანგრიეს მითი რუსული არმიის უძლეველობის თაობაზე. ნიკოლოზ II-ის კარზე სწორედ ამ დროს ალაპარაკდნენ ახალ იაპონურ საბრძოლო ხელოვნებაზე, რომელსაც „ძიუდო“ ერქვა.*

ზემო რაჭველმა ბიჭმა — 20-22 წლის კექოუკა გოცირიძემ, რომელიც იმ დილით ფეხით ჩამოსულიყო ქუთაისში მარილის საყიდლად, ბაზარში გლეხებისგან შეიტყო იაპონიასთან ომის დაწყება. კექოუკამ არ იცოდა, სად იყო იაპონია, პორტ-არტურზე კი მხოლოდ ყურმოკვრით სმენოდა — ქვეყნის დასალიერშიაო. კექოუკას ჭიდაობა კი ყველაფერს ერჩია, მაგრამ გამზრდელი ბაბუა ეუბნებოდა: ხელობა ისწავლე, ბაბუა, თვარა ჭიდაობით გამდიდრებული კაცი ქვე ვილას გოუგია ჩვენშიო. კექოუკას ბაბუამ არ იცოდა, რომ იაპონიაში ძიუდოს შემქმნელ-ჩამომყალიბებელი ძიგორო კანო იმხანად უკვე პროფესორი იყო და სწორედ ჭიდაობით გამდიდრებულიყო. კანოს ერთ-ერთი პირველი უჩიდეში (მასთან სახლში მცხოვრები მოსწავლე) ჰეიჰატირო ტოგო კი, რომელმაც ძიუდოში ვარჯიში 30 წლიდან დაიწყო, ომში იაპონიის არმიის ყველაზე მნიშვნელოვან ქვედანაყოფს — „გოკოკუ ნიპპონს“ ხელმძღვანელობდა. ეს ქვედანაყოფი მთლიანად კოდოკანის (ძიუდოს სკოლის) მონაწილეებისაგან შედგებოდა და ფრონტის წინა ხაზზეც მედგრად იბრძოდა.

პროფესორ ძიგორო კანოს სმენოდა საქართველოს სახელი — გაზეთების კითხვა ბავშვობიდან უყვარდა და განსაკუთრებული ინტერესით კი სპორტის მერე, უცხოეთის ამბებს ეცნობოდა ხოლმე. ჰოდა, კი იცოდა, რომ კავკასიაში ერთი მეტად ურჩი და მუდამ მებრძოლი, იაპონიასავით ძველი კულტურის მქონე პატარა ქვეყანა არსებობდა. ომი რომ დაიწყო, იმ ქვეყნის ერთმა ცნობილმა პოეტმა ლექსიც კი დაწერა — „ოი, ამას ვენაცვალეო“, თანაც რუსული ცენზურა კარგად გააცურა: ოიამა ივაო ის კაცი იყო, ვისაც იმპერატორმა მეიძიმ პირადად გადასცა სამურაის ხმალი და უთხრა — აბა, შენ იცი, ჩემო სარდალო, რა მალე დააჩოქებ რუსებსო. ჰოდა, იმ ლექსით ისე გამოდიოდა, რომ საქართველოდანაც იაპონელ სარდალს ზუსტად იგივე სიტყვები შეუთვალეს. მაშინ კი, როცა იაპონიამ რუსეთს პორტ-არტურში ხომალდები ჩაუძირა, საქართველომ ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და ტფილისში, სწორედ მეფისნაცვლის სასახლის წინ, ტერორისტებმა „ველიკორუსული სამხედრო კავშირის“ მეთაური, სავვა პეტროვსკი მიასალეს. ეს ის სავვა პეტროვსკი იყო, რომელიც სანქტ-პეტერბურგს მოუწოდებდა, არარუსი „ტუზემცები“ კავკასიაშიც და პორტ-არტურშიც ერთნაირი მონდომებით გაეჟლიტათ. პეტროვსკის მკვლელობას, ცხადია, იაპონური გაზეთებიც გამოეხმაურნენ და იქვე ისიც დაწერეს, რომ რუსებს კავკასიელები ომში ძალით მიჰყავდათ.

იაპონური პრესა არ ტყუოდა: საქართველოში ეროვნულმა დაუმორჩილებლობამ მალევე პიკს მიაღწია და სხვათა შორის, შორეულ აღმოსავლეთში სწორედ ამან გაუადვილა იაპონელებს საქმე. ამასობაში კი მეფისნაცვლის საიდუმლო ბრძანებაც გამოვიდა და ჟანდარმებმა ძალით იწყეს „არასაიმედო პირების“ გაგზავნა ფრონტზე. რუსებისთვის კი ყოველი მეორე ქართველი ასეთი იყო და ადვილი წარმოსადგენია, მეფისნაცვლის ხსენებულ საიდუმლო ბრძანებას როგორც აღასრულებდნენ.

ჰოდა, კექოუკა გოცირიძესაც, რომელსაც პასპორტში სპირიდონი ეწერა, სწორედ ამგვარ არეულ დროს მოუწია ქუთაისში ჩამოსვლამ და, როგორც კი თეთრ ხიდს გასცდა, ჟანდარმებმა დაუძახეს — შეჩერდიო! კექოუკამ გულლიად გაიღიმა და ტომარაზე მიუთითა: ქვე ე მარილი მიმაქ, ბუჭუებო, ბაზარში გასაყიდადო. რუსმა ჟანდარმებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე იქედნურად გაუღიმეს მთასავით რაჭველს და არაყზე მიიპატიჟეს — მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიე და გზა მერე გააგრძელეო. კექოუკას არ უთქვამს უარი: ჟანდარმებთან ერთად იქვე, რომელიღაც დუქნის წინკარში გაშლილ სუფრას მიუჯდა და შეთავაზებული არაყიც შესვა.



სპირიდონ (კექოუკა) გოცირიძე

არაყი ბანგგარეული ყოფილიყო და, კექოუკაც ამას მხოლოდ მაშინღა მიხვდა, როდესაც სრულიად მოულოდნელად, ხელფეხშეკრულს, სამხედრო მატარებელში გამოეღვიძა. აღმოჩნდა, რომ ჯარში იყო გაწვეული და ქვეყნის დასალიერში — პორტ-არტურში აგზავნიდნენ. მატარებლით სანქტ-პეტერბურგში ჩაიყვანეს, იქ კი მასავით ძალით გაწვეულ ყმაწვილებთან ერთად გემში ჩასვეს და პორტ-არტურისკენ გაუყენეს გზას.

პორტ-არტურში ჩასული კექოუკა ანატოლი სტესელის — ნავსადგურის მცველი რუსი გენერლის პირადი ხაბაზი გახდა: იარაღს ხელი არაფრით მოჰკიდა და არც მწყობრში იარა ველიკორუსული „სოლოვეის“ რიტმზე. დედის გინების გამო, ერთი-ორი ოფიცერიც გემოზე მიამყავა და ბოლოს, დაანებეს თავი — ჯანდაბას, აცხოს პურები და იყოს, როგორმე ავიტანთო.

1904 წლის 20 დეკემბერს (1905 წლის 2 იანვარს), ანატოლი სტესელმა იაპონიის ფლოტის შემოტევას ველარ გაუძლო და ნავსადგური იაპონელ გენერალს, ჰეიჰატირო ტოგოს ისე ჩააბარა, ზემდგომთაგან არავინ გაუფრთხილებია. მოგვიანებით, იგი ამ „თვითნებობის“ გამო გაასამართლეს, მაგრამ ჩვენს ამბავში ეგ არაა მთავარი. საქმე ისაა, რომ ჰეიჰატირო ტოგომ, როდესაც ნავსადგური ჩაიბარა და ყველგან თავისი ძიუდოისტი ბიჭები ჩააყენა, იფიქრა: მოდი, ბარემ ბოლომდე წავაჩოქებ რუსებსო და, ჭიდაობაში სახელდახელო შეჯიბრების გამართვა ბრძანა. იმასაც ვიტყვი, რომ მაშინ ძიუდო ახალი ხილი იყო მსოფლიოში და ასეთი სახელდახელო შეჯიბრებები ხშირად იმართებოდა.

ერთი სიტყვით, რუს ჯარისკაცებს სხვა რა გზა ჰქონდათ და გამოიზლაზნნენ იაპონელ ძიუდოისტ-ჯარისკაცებთან ძალის სასინჯად. გამარჯვებულებმა ძიუდოშიც იმარჯვეს — ერთმანეთის მიყოლებით, მიწას გააკრეს დანებებული მტრები, მაგრამ ჰეიჰატირო ტოგო მაინც უკმაყოფილო იყო: ამისთანა მკვდრები როგორ ხართ, რომ ერთი მაინც არ აღმოჩნდა თქვენში ჩემი ჯარისკაცების მძლეველიო. სწორედ მაშინ, მოშორებით, თონეში მყოფმა და პურის ცხობაში გართულმა კექოუკა გოცირიძემაც გამოიხედა იქითკენ, საითაც ჯარისკაცებს წრე შეეკრათ და ჭიდაობდნენ. ჭიდაობამ დააინტერესა და „წერეთელმა დაგვიბარას“ ღიღინით დაიძრა, თუმცა ახლოს როცა მივიდა, დაღონდა: „ქვე გოუთავებიათ უკვე“.

ის-ის იყო, უკან გაბრუნება დააპირა, რომ ჰეიჰატირო ტოგომაც მოჰკრა თვალი და რუსებს შეეკითხა, ეს გოლიათი ვინღაა, ერთი აქეთ უხმეთო. გოლიათი კი არის, მაგრამ ისეთი კაცია, თოფი ვერაფრით ავაღებინეთ ხელში, ხაბაზიაო — უპასუხეს. ჰეიჰატირო ტოგო თავად მივიდა კექოუკასთან, თარჯიმნის პირით ჰკითხა, ჭიდაობა თუ იციო და დადებითი პასუხი რომ მიიღო, თავის ყველაზე ძლიერ ჯარისკაცზე მიუთითა — აბა, თუ წააქცევო.

ზანტად შემოვიდა წრეში ქართველი ხაბაზი, ახედ-დახედა იაპონელს, დაეჭიდა, მოსდო მოგვერდი და ზღართანი გაადენინა მიწაზე. წამოხტა იაპონელი: ეგ როგორ მოხდა, რომ ვიღაც რუსმა წამაქციაო და ხელმეორედ დაჭიდება მოითხოვა. გამოდი წრიდანო — თვალები გადაუბრიალა ჰეიჰატირო ტოგომ და მის მაგივრად წრეში ვინმე ვაკაბაიაში ტარო შეაგდო. ეს ტარო მოგვიანებით ძიუდოს ცნობილი ოსტატი გახდა და ამერიკაში კოდოკანის პირველი ფილიალიც მან გახსნა ლოს-ანჯელესში.



იაპონელი გენერალი და ერთ-ერთი პირველი ძიუდოისტი ჰეიჰატირო ტოგო

ვაკაბაიაში ტარო თავგანწირვით ეჭგერა კექოუკას და კისრულით წამოღება დაუპირა, მაგრამ ქართველმა კონტრილეთით აიცილა თავიდან შერცხვენა. მერე კი ისეთი ილეთი ჩაუტარა, თვით ძიგორო კანოსაც რომ არ სმენოდა და, გაოცებული ტარო ისე აღმოჩნდა მიწაზე, ვერაფერსაც ვერ მიხვდა. რაღა უნდა ექნა? წამოდგა და გენერალს თვალიც ვერ გაუსწორა, ისე შეერია მაყურებლებს.

კექოუკამ ამის შემდეგ კიდევ ერთი იაპონელი წააქცია და სამუდამოდ მოიგო ჰეიჰატირო ტოგოს გული — იაპონელი გენერალი ბევრს ეხვეწა და ემუდარა: რატომ უნდა დაბრუნდე რუსეთში, ჩამოდი ტოკიოში, კოდოკანში სასურველი პედაგოგი და სტუმარი იქნებიო, მაგრამ ვერაფრით დაითანხმა: რას ბრძანებთ, მე რუსეთში კი არა, საქართველოში ვბრუნდები, იქაა ჩემი სამშობლოო, იმეორებდა მთასავით ხაბაზი.

ჰოდა, სამშობლოში დაბრუნდა, მშობლიურ სოფელში და იქვე გალია სიცოცხლე ბედნიერად, შვილიშვილებისა და თანასოფლელთა შვილებისგან „სპირიდონ ბაბუად“ წოდებულმა კექოუკამ. ჰეიჰატირო ტოგომ კი 1933 წელს, მემუარებში დაწერა: „1904 წელს, პორტ-არტურში მე პირადად ვიხილე კავკასიელი მებრძოლის საოცარი ილეთები და გამარჯვებისთვის ესოდენ საჭირო, მედგარი სიჯიუტე“...

**მიხეილ ლაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭი 2014. ფიგურული ციგურაობა

# არის ლიცენზია!

გერმანულ ობერსდორფში გუშინ ასპარეზობა დაასრულეს ფიგურულად მოციგურავე ქალებმა. დასახულ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა **ელენე გედევანიშვილმა**, რომელმაც მოკლე პროგრამით მონაპოვარი თავისუფალი პროგრამით განიმტკიცა, მოაგროვა 144.80 ქულა და 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა.


ელენე გედევანიშვილი

ობერსდორფის ტურნირზე შეუდარებელი იყო 14 წლის რუსი მოციგურავე ელენა რადიონოვა, რომელმაც 188.21 ქულით ყველას აჯობა, თუმცა ასაკობრივი შეზღუდვის გამო 2014 წლის ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრება. კარგი შთაბეჭდილება დატოვა 26 წლის იაპონელმა მიკი ანდომ, ორგზის მსოფლიოს და ოთხი კონტინენტის ჩემპიონმა, რომელიც შარშან დედა გახდა და დიდ ყინულზე დაბრუნება Nebelhorn trophy-ზე მეორე ადგილით აღნიშნა. მესამე-მეხუთე ადგილებზე ეშლი ქეინი (აშშ, 162.39), ვერონიკ მალე (კანადა, 159.67) და ბრუკლი ჰანი (ავსტრალია, 147.16) გავიდნენ.

ობესდორფული ტურნირის შედეგებით გუშინვე ცნობილი გახდა იმ ექვსი სპორტსმენის ვინაობა, რომლებმაც სოჭის ლიცენზიები მოიპოვეს. გედევანიშვილის გარდა, ესენი არიან: **ბრუკლი ჰანი** (ავსტრალია, 147.16), **ანა ლინე ჯიერსემი** (ნორვეგია, 142.87), **კეტრინ ფრანკი** (ავსტრია, 137.03), **ელიზავეტა უკოლოვა** (ჩეხეთი, 136.72) და **ისადორა უილიამსი** (ბრაზილია, 130.08).

დღეს 2014 წლის ზამთრის თამაშების საგზურისთვის სპორტულ ცეკვებში **ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინაც** იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

## ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპორტის კომიტეტის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის მზად არ არის

ე.წ. სამხრეთ ოსეთი აბსურდულს უწოდებს რუსეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებას, რომ საქართველო არ დაუშვებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის 2014 წლის სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას. ინფორმაციას ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ ავრცელებს.

როგორც „ეხო კავკაზას“ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის კომიტეტის წევრმა დიმიტრი ვანეევმა განუცხადა, სამხრეთ ოსეთი ამ ეტაპზე მზად არ არის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. მისივე თქმით, სამხრეთ ოსეთში ჯერ არც ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი შექმნილა.

*„საქართველო ის სუბიექტი არ არის, რომელსაც შეუძლია ოლიმპიადაზე მონაწილეობა აგვიკრძალოს ან ამის ნება დაგვრთოს. ამისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არსებობს“*, - განაცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძიუდოს ნაკრების მწვრთნელმა, ბორის გუდიევმა\ინტერპრესნიუსი\.

რედაქციისაგან: ინფორმაცია, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო ჩვენი მკითხველი, იმის მკაფიო მაგალითია თუ როგორ შეიძლება უცოდინარობამ სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდოს ადამიანი. **„სამხრეთ ოსეთი ამ ეტაპზე მზად არ არის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვისო - ისე აცხადებენ, თითქოს მხოლოდ მოუმზადებლობა იყოს მიზეზი და მეტი არაფერი. მწვრთნელის განცხადებაზე ხომ კომენტარი საერთოდ, უხერხულია. ოპონენტებს ვურჩევთ, ერთხელ მაინც გულდასმით წაიკითხონ „ოლიმპიური ქარტია“, რომ თავი დაიზღვიონ მსგავსი იალლიშებისგან.**

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი

# გაგამარუ არ ნებდება



სექტემბრის ბაშოს დასრულებამდე ორი დღელა დარჩა და ელიტის ერთადერთ ქართველ **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** კიდევ დარჩა სუპერტურნირის დადებითი ბალანსით დასრულების შანსი. ამისთვის ჩვენებურმა ორივე დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს.

გაგამარუს მორიგი მეტოქე **ტენკაიჰო** იყო, რომელმაც ჯიქურ შეუტია ქართველს, მაგრამ მისი დოჰიოდან გაყვანა ვერ შეძლო, თეიმურაზი მოულოდნელად გამოეცალა მეტოქეს, რომელმაც თავი ველარ შეიმაგრა და დოჰიოზე დაეცა.

გაგამარუს 6-7 ბალანსი აქვს, მისი ახალი მეტოქე მე-15 მაეგაშირა **ტამაასუკაა. ტამაასუკამ** უკვე „დაიბევა“ უარყოფითი ბალანსი, ურთიერთშეხვედრებშიც ქართველი იგებს (2:1). ასე რომ, ბოლოსწინა დღის წინ, იმედიანად ვართ.

მონღოლ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ჩემპიონ **კისენოსატოსთან** გამარჯვება 27-ედ მოუტანდა იმპერატორის თასს.

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კაკურიუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), გოეიდო-კისენოსატო (ოშიდაში), მიოგირიუ-აოიამა (ოშიდაში), **გაგამარუ**-ტენკაიჰო (ჰატაკიკომი).

**საბურნირო მდგომარეობა**

**12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა)**
**10-3: კისენოსატო (ოძეკი)**
**9-4:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კაკურიუ (ოძეკი), გოეიდო (სეკივაკე), ამინიშიკი (მაეგაშირა 5), ენდო (მ 13)... **6-7:** გაგამარუ (მ 9).

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, გოეიდო-ტაკაიასუ, **გაგამარუ**-ტამაასუკა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ალიარება




# სანიკიძე ვარსკვლავებში

## სამი ქართველი ევრობასკეტის პოსტსაბჭოურ ნაკრებში

ბალკანელმა ჟურნალისტებმა შეადგინეს ევრობასკეტის მონაწილე ექსიუგოსლავიური ქვეყნების სიმბოლური ნაკრები. იდეა ჭკუაში დაუჯდა გამოცემა „ჩემპიონატის“ ჟურნალისტ **ალექსანდრ მოროზს** და პოსტსაბჭოთა სივრცის სიმბოლური ნაკრები ჩამოწერა, ხუთეულიან-სათადარიგოებიანად.

როგორც მოსალოდნელი იყო, სასტარტო შემადგენლობაში ყველაზე მეტი ლიტველი მოხვდა, ქართველებსა და რუსებს თითო წარმომადგენელი გვყავს. რაც შეეხება 12-კაციან შემადგენლობას, იქ სამი ქართველია **- ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე და გიორგი შერმადინი.** ასევე სამია რუსი, ხოლო ლიტველი - ოთხი.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტ მოროზს საქმე ასარჩევად ნამდვილად ჰქონდა, რადგან ევროპის ჩემპიონატზე პოსტსაბჭოეთიდან საქართველო, ლიტვა, ლატვია, უკრაინა და რუსეთი მონაწილეობდნენ.

დროა, გავეცნოთ სიმბოლურ ხუთეულს თავისი შეფასებებით.

**გამთამაშებელი**

**მანტას კალნიეტისი (ლიტვა)**

კალნიეტისმა ევროპის ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატარა და მისი დიდი წვლილია, გუნდი ფინალში რომ გავიდა. მანტასი საშუალოდ 5.7 შედეგიან გადაცემას აგროვებს. ამ მაჩვენებლით ევრობასკეტზე მესამეა (მეორეა გიორგი ცინცაძე - 5.8 პასი). შეცდომები ცოტა აქვს - 2.4.

**მსროლელი**

**ალექსეი შვედი (რუსეთი)**

შვედი ერთადერთი იყო რუსეთის ნაკრებში, რომელსაც შეეძლო შეტევისთვის ხელსაყრელი სიტუაციის შექმნა, როგორც თავისთვის, ასევე პარტნიორებისთვის. იგი საშუალოდ 16.4 ქულასა და 4.8 პასს აგროვებდა.

**მსუბუქი ფორვარდი**

**ვიქტორ სანიკიძე (საქართველო)**

საქართველოს ნაკრები რთულ ჯგუფში მოხვდა და გამოსვლა პირველ ეტაპზე დაასრულა. თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ კავკასიელთა გუნდში რამდენიმე სახელოვანი კალათბურთელი იყო. ერთ-ერთია ვიქტორ სანიკიძე, რომელიც ევრობასკეტზე საშუალოდ 14.6 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებდა. ამასთან, თამაშიდან 45.6-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნიდა, ხოლო სამქულიანებს - 37-პროცენტიანით. ვიქტორს დაყენებული სროლა აქვს, კარგად ატარებს ბურთს და ფარქვეშ ისე იბრძვის, როგორც მაღალი დონის მეფარეებს შეშვენით. მან ევრობასკეტზე დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ მოქცეულა „სან ანტონიოს“ სკაუტების თვალთახედვის არეალში. სანიკიძემ თამაშით დაგვანახვა, რომ ღირსეული ადგილი ეკუთვნის როგორც იტალიურ „მონტეპასკიში“, ასევე ჩვენს სიმბოლურ ნაკრებში.

**მძიმე ფორვარდი**

**ლინას კლეიზა (ლიტვა)**

შეიძლება იკითხოთ, რით დაიმსახურა კლეიზამ ვირტუალურ ნაკრებში მოხვედრა? იმასაც გაიხსენებთ, რომ იგი ხშირად იღებს თამაშს საკუთარ თავზე და ზოგჯერ ამლაშებს კიდეც. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა კლეიზა, ლიტვა არათუ ფინალში, მეორე რაუნდშიც ვერ გავიდოდა. მან ბოლო წამებზე ორი სამქულიანით ბოსნიასთან თამაშიც შემოატრიალა და მეორე ეტაპიდან მთლიანად ლიტვის ნაკრების თამაშიც.

**ცენტრი**

**იონას ვალანჩუნასი (ლიტვა)**

იონასი საშუალოდ 18 წუთში 8.7 ქულასა და 6.6 მოხსნას აგროვებს. იგი შეჯიბრების ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრად უნდა მივიჩნიოთ. მზარდი კალათბურთელია.

**სათადარიგოები**

გიორგი ცინცაძე (საქართველო), გიორგი შერმადინი (საქართველო), ვიტალი ფრიძონი (რუსეთი), სერგეი მონია (რუსეთი), კრისტაპს იანიჩენოკსი (ლატვია), სერგეი გლადირი (უკრაინა), დარიუშ ლავრინოვიჩი (ლიტვა).

**ვაჟა სიმონიშვილი**

დუდუ დადიანის მემორიალი

# 5 ოქტომბრიდან 6 გუნდი...

2002 წლის შემდეგ სუპერლიგის ყოველი სეზონის წინ ტრადიციულად იმართება დუდუ დადიანის მემორიალი. ეს შეჯიბრება წლეულს 5 ოქტომბერს დაიწყება და 9-ში დასრულდება.

მემორიალში 6 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც შარშანდელ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით ორ ჯგუფად გაიყო: A ჯგუფში მოხვდნენ შსს, „ქუთაისი“ და „სოხუმი“; B-ში - „ოლიმპი“, „არმია“ და „რუსთავი“.

პირველადგილოსნები მემორიალის გამარჯვებულს 9 ოქტომბერს ფინალში გამოავლენენ. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს შეჯიბრება „არმიამ“ მოიგო.

**კალენდარი**

**5 ოქტომბერი**
16:00 შსს-სოხუმი
18:00 ოლიმპი-რუსთავი

**6 ოქტომბერი**
16:00 არმია-რუსთავი
18:00 ქუთაისი-სოხუმი

**7 ოქტომბერი**
15:00 შსს-სოხუმი
17:00 ოლიმპი-არმია

**8 ოქტომბერი**
V ადგილისთვის
13:00 A3-B3

III ადგილისთვის
15:00 A2-B2

**9 ოქტომბერი**
ფინალი
18:00 A1-B1

**ვაჟა სიმონიშვილი**


შარშანდელი ჩემპიონი „არმია“

კილაძისა და ალთაბაევის მემორიალი

# შსს ჩემპიონობით იწყებს

ბათუმში გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება, ლეგენდარული ქართველი კალათბურთელების, ალექსანდრე კილაძისა და ვალერი ალთაბაევის მემორიალი.

ტურნირში მონაწილეობდნენ 1997 წელს დაბადებული ჭაბუკები როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, ასევე თურქეთიდან.

მემორიალი დამაჯერებლად ჩაატარა შსს-მ, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. მეორე ადგილი ბათუმელებს დარჩათ, ხოლო მესამეზე „ფოთი“ გავიდა.

ტურნირის დასრულების შემდეგ გამოვლინდა საუკეთესო კალათბურთელი - ბათუმელი **დავით აფხაზავა**, რომელიც საქართველოს კადეტთა ნაკრებთან ერთად B დივიზიონში გამოდიოდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ტატიშვილმა ორი ბარიერი გადალახა

ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** წარმატებით ასპარეზობს ერთეულთა შორის ლას ვეგასის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი). როგორც გაუწყეთ, ანამ სტარტზე ამერიკელ კრაუფორდს სძლია, მეორე წრეში კი მე-4 ნომრად განთესილი მარია სანჩესი (აშშ) ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 2:6, 6:3. საგულისხმოა, რომ ანამ სანჩესს კვებეკის საერთაშორისო ტურნირზეც აჯობა. მეოთხედფინალში ტატიშვილი საკვალიფიკაციოდან აღზევებულ ელი კიკს (აშშ) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში კოკო ვანდევეგესა და მედისონ ბრენგლის (ორივე-აშშ) შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი ერთეულებში რეიტინგფავორიტ აილია ტომლიანოვიჩთან (ხორვატია) იყო შეამხანაგებული და პირველი ბარიერი იოლად გადალახა, მაგრამ გუშინ მეორეში სამანტა კრაუფორდისა და საჩია ვიკერის (ორივე-აშშ) დუეტთან დამარცხდა - 4:7, 6:4, 5:10.

■ ■ ■

თელავში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი). ერთეულთა ნახევარფინალი და წყვილთა ფინალი უქართველებოდ ჩაივლის. **სოფიო შაფათავამ** ერთეულთა თანრიგში ჯერ კიდევ მეორე წრეში წააგო იაპონელ მისა ეგუჩისთან. გუშინ ეს უკანასკნელი უკრაინელ განა პოზნიხირენკოს დანებდა - 2:6, 5:7. დანარჩენი მეოთხედფინალური პაექრობები ასე დამთავრდა: ალექსანდრა პანოვა (რუსეთი) - ირინა ხრომაჩევა (რუსეთი) 3:6, 6:4, 6:4, ვიქტორია კანი (რუსეთი) - ილონა კრემენი (ბელარუსი) - 6:2, 6:1, ანდრეა მიტუ (რუმინეთი) - ნასტია კოლარი (სლოვენია) 6:3, 6:3. ნახევარფინალში ითამაშებენ: მიტუ-კანი და პოზნიხირენკო-პანოვა.

წყვილთა ნახევარფინალში სოფიო შაფათავა და **ეკატერინე გორგოძე** მარია-ელენა კამერინსა (იტალია) და ანია პრისლანთან (სლოვენია) დამარცხდნენ - 4:6, 4:6, ხოლო ანა ცაიამ (გერმანია) და მაშა ზეგ-პესკირიჩმა (სლოვენია) პირველ ნომრად განთესილ პაულა კანიას (პოლონეთი) და ირინა ხრომაჩევას (რუსეთი) დუეტი ჩამოიცილეს გზიდან - 6:4, 6:3.

■ ■ ■

ნინგბოს (ჩინეთი) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) წყვილთა ფინალში იასპარეზა **ოქსანა კალაშნიკოვამ.** თბილისელმა ჩოგბურთელმა, რომელმაც ირინა ბურიაჩოკთან ერთად წარმატებით გადალახა სამი ბარიერი, გუშინ გადამწყვეტი პაექრობა იანგ-იან ჩანისა (ტაივანი) და შუაი ჟანის (ჩინეთი) დუეტთან 2:6, 1:6 დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

კალაშნიკოვა ნინგბოდან ჩინეთის ღია ტურნირზე (საპრიზო ფონდი 5.185.625 დოლარი) გადაინაცვლებს და მხოლოდ წყვილებში იასპარეზებს სლოვაკ ჟანეტ ჰუსაროვასთან ერთად. სტარტზე იგი სანტოხა პარა არანჩას (ესპანეთი) და ვერა დუშევინას (რუსეთი) დუეტს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ქართველთაგან შანავა გამოირჩა



კონსტანტინე შანავა

ორი მოგება და რვა ყაიმი — ასეთი შედეგით დასრულდა გუშინ ბაქოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ლიდერთა ჯგუფის ბოლო ტურის 10 შეხვედრა. დამარცხებულთა შორის აღმოჩნდა **მიხეილ მჭედლიშვილი,** რომელსაც 5,5 ქულა ჰქონდა და საუკეთესო სამეულში მოხვედრის შანსს ინარჩუნებდა. ქართველმა დიდოსტატმა ალექსეი დრეევთან (რუსეთი) წააგო. ვერც **კონსტანტინე შანავამ** იყოჩაღა — დენის ხისმატულინს (რუსეთი) დაუზავდა და 6 ქულას მოუყარა თავი. 7 ქულით პირველ ადგილზე გავიდა პაველ სმირნოვი (რუსეთი), რომელმაც გუშინ დრაგან შოლაკი (თურქეთი) დაამარცხა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები სერგეი ჟიგალკომ (ბელარუსი) და დრეევმა გაინაწილეს. შანავამ 6 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა. დანარჩენ ჩვენებურთა შედეგები ასეთია: 17. მიხეილ მჭედლიშვილი (5,5 ქულა), 26. **დავით მალალაშვილი** (5), 30. **ლევან ფანცულაია** (5), 32. **გაიოზ ნიგალიძე** (5), 52. **მერაბ გაგუნაშვილი** (4). შანავამ რეიტინგი 10 პუნქტით მოიმატა, მალალაშვილმა — 4-ით, დანარჩენებს უარყოფითი შედეგი აქვთ.

**ვაჟა დანელია**

რაგბი. ლეგიონერები

# ათიდან ცხრა მოწინავეა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მერვე ტურის წინ ქართველ მორაგბეთა გუნდებს სატურნირო ცხრილში პირველი ცხრა საფეხური უკავიათ. ეს სრულიად ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თოთხმეტი გუნდიდან ჩვენებურები ათში ასპარეზობენ.**



დავით ხინჩაგიშვილი

სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელიც მერვე ტურში სტუმრად ითამაშებს დივიზიონის დებიუტანტ „ოიონაქსთან". პატარა ქალაქის ეს გუნდი „ვეშაპებთან" ბრძოლაში თამამად ჩაება და განსაკუთრებით საშინაო მატჩებში არავის ეპუება. ოიონაქსელებისთვის უმთავრესი ამოცანა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. ამის მიღწევას კი მას ბასკური „ბიარიცის" უჩვეულოდ სუსტი თამაში უადვილებს, რომელიც შვიდი ქულით ბოლო ადგილზეა.

„ტულონს", ცხადია, რადიკალურად განსხვავებული მიზნები აქვს. ბურჯელალი და კომპანია მხოლოდ პირველობისთვის იბრძვის და საამისო პოტენციალიც რეალურად გააჩნია. ტულონელების მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა ერთი ოცნება უკვე აიხდინა. გუნდი მართლაც გრანდად აქცია და ზღვისპირა, პატარა, კოხტა ქალაქი ტულონი ახლა მთლიანად რაგბით ცხოვრობს.

მიქაუტაძე „ტულონის" გაფართოებულ შემადგენლობაშია, ჩილაჩავა განაცხადში არ არის.

ტულონელებს ფეხდაფეხ მიჰყვება **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე", რომელმაც ბოლო წლების კრიზისი, როგორც ჩანს, დასძლია და ისევ ლიდერებში გაერია. პარიზელები შესანიშნავად ასპარეზობენ და შვიდ მატჩში ხუთი გამარჯვება მოიპოვეს. მერვე ტურში მათი მეტოქე **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" იქნება, რომელიც „სტად ფრანსეს" ერთი ქულით ჩამორჩება.

მონპელიელები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმების გამო აკლიათ, წლეულს ბევრად სოლიდურად გამოიყურებიან. როგორც ჩანს, **ფაბიენ გალტიემ** მაინც შეძლო თავისი კონცეფციის გუნდში სრულად დანერგვა, რაც გუნდის თამაშს აშკარად დაეტყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მონპელიემ" სატრანსფერო სეზონზე ის პოზიციები გააძლიერა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა და შედეგიც სახეზეა.

„სტად ფრანსესა" და „მონპელიეს" დაპირისპირება მერვე ტურში ყველაზე საინტერესოა. ამ თამაშში გამოვლინდება, რამდენად საფუძვლიანია ორივე გუნდის ამბიციები. სამწუხაროდ, ტრავმირებულნი არიან და შეხვედრაში ვერ ითამაშებენ ქართველი მორაგბეები.

„სტად ფრანსეს" ასევე ერთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი", რომელიც სტუმრად ეთამაშება მერვეადგილოსან **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანს". ფრანგული რაგბის გრანდი წლეულს მომრავლებული დაშავებული მორაგბეების გამო მეტ-ნაკლებ კრიზისს განიცდის. ტულუზელები უკვე აღარ სახელდებიან უპირობო ფავორიტებად ნებისმიერ გუნდთან დაპირისპირების წინ. ამჯერადაც, ბუქმეკერები პერპინიანელების გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ.

ცხადია, ასეთი განწყობა სულაც არ აქვთ **გი ნოვეს** და მის შეგირდებს. მეტიც, მათ შანსი აქვთ, წარმატების შემთხვევაში სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცნენ. თუმცა საამისოდ მათ კატალონიელების გაავთრებული წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ, რომლებიც საშინაო არენაზე იოლად არავის არაფერს უთმობენ.

კაკოვინი და ბრეგვაძე ტრავმირებულნი არიან, ჟღენტი „პერპინიანის" გაფართოებულ შემადგენლობაშია.

20 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი", რომელიც ამჯერად სტუმრად ეთამაშება საფრანგეთის ჩემპიონს, მე-7 ადგილზე მყოფ **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს". პარიზელები წლეულს საგრძნობლად მოღონიერდნენ. იმდენად, რომ ვარსკვლავების რაოდენობითა და ხარისხის მიხედვით „ტულონს" ბევრად არ ჩამოუვარდებიან. თუმცა, როგორც ჩანს, მორაგბეებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს კარგად შეთამაშება. კარგი, მებრძოლი და მწყობრად მოთამაშე გუნდის შექმნას დრო სჭირდება, რომლის გასვლის შემდეგაც „მეტრო რასინგი", სავარაუდოდ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „კასტრს" წლეულს ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. თუმცა ეს გუნდი არასტაბილურობით გასულ სეზონშიც გამოირჩეოდა, მაგრამ დასკვნით, ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე ყველაზე უკეთ შეძლო ძალების კონცენტრაცია და სენსაცია გამოაცხო. ძნელი სავარაუდოა, რომ კასტრელებმა იგივე წლეულს მოახერხონ.

ხინჩაგიშვილი „მეტრო რასინგის" გაფართოებულ შემადგენლობაშია, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია.

თავისთავის უჩვეულო, მეექვსე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც მერვე ტურში შინ ეთამაშება **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს". „ვულკანებმა", რომელიც პირველ დივიზიონში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი გუნდია, წლეულს თავი არასტაბილური თამაშით გამოიჩინეს, რასაც, ცხადია, ობიექტური მიზეზებიც აქვს. ჩვენებურის გუნდს ტრავმების გამო ბევრი მოთამაშე აკლია. დაშავებული გახლდათ ზირაქაშვილიც, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და სავარაუდოდ, „ბორდოსთან" თამაშს შეძლებს.

დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის ქართველ მორაგბეთა ერთადერთი გუნდი, **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივი", რომლიც სტუმრად ეთამაშება „გრენობლს". ჩვენებურთა გუნდს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რათა სახიფათო ზონას დროებით მაინც დააღწიოს თავი. შველიძე ტრავმირებულია, ასეიშვილი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.



ბურთით კარლენ ასეიშვილი

**I დივიზიონი**
**VIII ტური**

სტად ფრანსე-მონპელიე, ოიონაქსი-ტულონი, ბაიონი-ბიარიცი, კასტრი-მეტრო რასინგი, გრენობლი-ბრივი, პერპინიანი-ტულუზი, კლერმონი-ბორდო.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 22 ქულა, 2. სტად ფრანსე - 22, 3. მონპელიე - 21, 4. ტულუზი - 21, 5. მეტრო რასინგი - 20, 6. კლერმონი - 19, 7. კასტრი - 16, 8. პერპინიანი - 16, 9. ბორდო - 16, 10. გრენობლი - 16, 11. ბრივი - 15, 12. ოიონაქსი - 13, 13. ბაიონი - 12, 14. ბიარიცი - 7.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბორის ბეკერი: იდიოტი ვიყავი


ბორის ბეკერი

ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **ბორის ბეკერი** თავის მეორე ავტობიოგრაფიულ წიგნს უშვებს, სახელწოდებით - "ცხოვრება თამაში არ არის". ჩოგბურთელი მასში სიმართლეს ჰყვება 2011 წლის ხმაურიანი გაყრის პროცესზე.

ბეკერი იძულებული იყო 1999 წელს, კარიერის დასრულების შემდეგ გაშორებოდა ამერიკელ მოდელს **ბარბარა ბეკერს**. ამის მიზეზი იყო ღალატი რუს ემიგრანტ **ანა ერმაკოვასთან**, რასაც მოჰყვა ბეკერის არაკანონიერი ქალიშვილის გაჩენა.

*"იმ ოჯახურ დრამაში მე იდიოტივით მოვიქეცი,* - აღიარებს თავის ახალ წიგნში ბეკერი. - *ჩემს მეუღლეს ვუღალატე, რომელიც იმ მომენტში ფეხმძიმე იყო, მე კი სიმართლის დაფარვას ვცდილობდი. მანამდე ჩვენ იდეალური წყვილი ვიყავით შვიდი წლის განმავლობაში".*

2000 წლის დეკემბერში ბარბარა აშში შობაზე ბავშვებთან ერთად გაემგზავრა, 12 დღის შემდეგ კი ბორისი ოჯახს შეუერთდა. მაგრამ, შერიგების ნაცვლად, ცოლ-ქმარმა საბოლოოდ მოიჭრა შერიგების ყველა გზა.

*"ჩვენ ერთმანეთს ყვირილი დავუწყეთ. მას იმ მომენტში უკვე დაქირავებული ჰყავდა ქალაქის საუკეთესო ადვოკატი და მზად იყო გაყრის პროცესისთვის. მას ვკითხე, რა უნდოდა: ჩვენი ოჯახური ცხოვრება თუ ჩემი ფული? ეს იყო ჩვენი ვატერლოო. მახსოვს, როგორ დაკარგა ბარბარამ საკუთარ თავზე კონტროლი, მეცა და ცემა დამიწყო. ნოა (ბორისისა და ბარბარას უფროსი ვაჟი) ჩვენს შორის ჩადგა და გაშველება სცადა. ეს იყო ყველაზე უარესი მომენტი ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ მივხვდი, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა".*

ბეკერის ავტობიოგრაფია დღის სინათლეს მომავალ კვირას იხილავს.



# ვინუსმა ბოლომდე ვერ გაქაჩა

**ტოკიოს** ტურნირის ნახევარფინალისტებიდან მხოლოდ **ვინუს უილიამსს** არ გააჩნია კონკრეტული მიზანი სეზონის დარჩენილი ნაწილში, დანარჩენი სამი ნახევარფინალისტი კი WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის და მათთვის ნებისმიერ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს. **პეტრა კვიტოვა** ამ ტურნირის წინ მეშვიდე ადგილზე იყო ჩემპიონთა რბოლაში, **ანჟელიკ კერბერი** და **კაროლინ ვოზნიაცკი** კი მე-12 და მე-14 ადგილზე იმყოფებოდნენ. ფინალში გასვლა რომელიმე მათგანს ამ რეიტინგში მეათე ადგილზე გადასვლის საშუალებას მისცემდა.

გუშინ, პირველები კორტზე უილიამსი და კვიტოვა გავიდნენ. მათ ურთიერთშეხვედრებში ანგარიში თანაბარი იყო - 1:1. წინა დღე მათთვის ურთულესი გამოდგა - უილიამსმა სამსაათიანი მატჩი ჩაატარა **ეჟენი ბუშარის** წინააღმდეგ, კვიტოვას კი ორი მატჩის თამაშმა მოუწია.


პეტრა კვიტოვა

ვეტერანი ამერიკელი ნახევარფინალის სტარტზე უფრო მხნედ გამოიყურებოდა. მან მაშინვე მოახერხა ბრეიკით დაწინაურება. ჩეხმა მეტოქე შორს არ გაუშვა და მალე გაათანაბრა სიტუაცია, თუმცა ამისთვის ბევრი ენერგიის დახარჯვა მოუწია. სათამაშო უპირატესობას მაინც ამერიკელი ფლობდა - მან პირველ სეტში ცხრა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, აქედან შვიდი ჩეხმა მოიგერია, მაგრამ დანარჩენ ორზე შეცდომა დაუშვა. საბოლოოდ, ვინუსმა საკმაოდ სწრაფად გაიფორმა მოგება პირველ პარტიაში.

მეორე სეტის სტარტზე კვიტოვამ მოახერხა თამაშის მომატება. მიღებაზე მისმა რამდენიმე დარტყმამ მიზანს მიაღწია და ის პირველად გავიდა წინ ბრეიკით. პირველი პარტიისგან განსხვავებით, ამჯერად უილიამსს მიღებაზე თამაში არ გამოსდიოდა და საპასუხო ბრეიკი არ შედგა, რითაც გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე სეტის თამაში გახდა საჭირო.

გადამწყვეტ პარტიაში თანაბარი თამაში გაჩაღდა. იყო ბევრი დაძაბული გეიმი, რომლებშიც ჩოგბურთელებს ბრეიკ-პოინტების მოგერიება უწევდათ. უფრო მეტი სირთულის გადატანა კვიტოვას მოუწია - მან ოთხი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. საერთოდ, ორი დღის განმავლობაში ჩეხმა 22 ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და მხოლოდ ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება - ორივე უილიამსთან მატჩის პირველ სეტში.

ყველაფერი მე-13 გეიმში გადაწყდა, სადაც კვიტოვა უკვე აღარ ცდებოდა, ვინუსი კი, პირიქით, მეტოქეს ეხმარებოდა. ამან ის გამოწვია, რომ პეტრამ ექვსმაგი მატჩბოლი მოიპოვა და მესამე ცდაზე მიაღწია მიზანს - 3:6, 6:3, 7:6(2).

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალის მეტოქეები - კაროლინ ვოზნიაცკი და ანჟელიკ კერბერი კარგად იცნობენ ერთმანეთს. სხვათა შორის, წელს ისინი მეორე თამაშობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ დიდი ტურნირის ნახევარფინალში - ინდიან უელსში დაძაბული სამსეტიანი მატჩი დანიელმა მოიგო.

ამჯერად, კერბერმა უკეთ დაიწყო მატჩი და ძალიან სწრაფად სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - 5:1. მაგრამ, სულ მალე ვოზნიაცკიმ მეტოქეს დაანახა, რომ ასე იოლად არ დათმობდა ფინალის საგზურს. მან მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა, თუმცა გერმანელმა მოახერხა მეორე ცდიდან სეტზე ჩაწოდება.

მეორე სეტი უფრო შინაარსიანი აღმოჩნდა. პირველმა ბრეიკით წინ გასვლა ვოზნიაცკიმ მოახერხა, მაგრამ კერბერმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. ამის შემდეგ, კაროლინს ორი დაფარული სეტბოლი ჰქონდა, თუმცა ორივე შემთხვევაში ანჟელიკმა შესანიშნავად მოიგერია საფრთხე. პარტია კანონზომიერად ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ გერმანელს რამდენიმე შესანიშნავი შეტევა ჰქონდა, რითაც ოთხმაგი მატჩბოლი მიიღო. ვოზნიაცკი დანებებას არ აპირებდა და აქტიური თამაშის ხარჯზე სამი მატჩბოლი მოიგერია. რჩებოდა კიდევ ერთი ბურთი მის მოწოდებაზე, მაგრამ ამ დროს სკანდინავიელი ბექჰენდმა დაალალატა - 4:6, 6:7)5).

საინტერესოა, რომ ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ცაცია მოთამაშეები. ასეთი რამ ქალთა ჩოგბურთში ბოლოს 2009 წელს მოხდა, როცა კვებეკის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს **მელინდა ჩინკი** და **ლუსი საფაროვა** შეხვდნენ.

**Pan Pacific Open**

**ტოკიო (იაპონია). პარდი**

**1/2 ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 7)**-ვინუს უილიამსი (აშშ) 3:6, 6:3, 7:6(2); **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4) 6:4, 7:6(5).



# სიკვდილი ბრძოლამდე

უბედური შემთხვევა მოხდა ბრაზილიაში. შერეული ორთაბრძოლების მონაწილე, ბრაზილიელი **ლეანდრო კაეტანო დე სოუზა** ერთ-ერთი ბრძოლის წინ გარდაიცვალა. ამის შესახებ "ფეისბუკში" დაწერა მებრძოლის მწვრთნელმა **ანდრე პედერნეირასმა**. მანვე დაამატა, რომ ორგანიზატორებმა გააუქმეს ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დე სოუზას. ტურნირი 27 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროში უნდა გამართულიყო.

მოგვიანებით, პედერნეირასმა გამოცემა Globo Esporte-ს მოუყვა, რომ აწონვის პროცედურის წინ, დე სოუზა წონის დაგდებას ცდილობდა. მწვრთნელმა განაცხადა, რომ მებრძოლი საუნაში იმყოფებოდა, როცა ცუდად გახდა. სპორტსმენი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. გარდა ამისა, 26 წლის დე სოუზა რაღაც პრეპარატებს იღებდა, თუმცა მწვრთნელმა მათი სახელების დაზუსტება ვერ შეძლო.

დე სოუზამ შერეულ ორთაბრძოლებში 10 შეხვედრის ჩატარება მოასწრო, აქედან ხუთი მოიგო და ამდენჯერვე დამარცხდა.


ლეანდრო კაეტანო დე სოუზა

# ნა ლი მეხუთე სტამბოლელია

ჩინელი **ნა ლი** მეხუთე ჩოგბურთელი გახდა, ვინც WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. სეზონის დასკვნითი ტურნირი 22-27 ოქტომბერს, თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართება.

*„ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ისევ მოვხვდი სტამბოლის ტურნირზე. გასულ წელს, ამ ქალაქში შესანიშნავი დრო გავატარე და ახლა, მოუთმენლად ველოდები იქ დაბრუნებას და თურქი გულშემატკივრებისთვის ჩემი საუკეთესო თამაშის ჩვენებას“,* - მოჰყავს ლის სიტყვები WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

წელს, 31წლის ჩინელმა ჩოგბურთელმა WTA-ის ერთი ტურნირი მოიგო. ლი შეუერთდა ამერიკელ **სერენა უილიამსს**, ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**, რუს **მარია შარაპოვასა** და პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას**, რომლებმაც უფრო ადრე მოიპოვეს სტამბოლში თამაშის უფლება. გასარკვევი რჩება სამი ვაკანსიის მფლობელის ვინაობა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ნა ლი


როჯერი და პიტი

# სამპრასი: ნუ ჩამოწერთ ფედერერს

"დიდი სლემის" 14-გზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** კარიერული პერსპექტივები შეაფასა.

*"არ ვიცი, რაზე ფიქრობს როჯერი, მაგრამ ვიცი, რომ მას კვლავინდებურად მოსწონს თამაში და მოგზაურობა. მე არ ვიჩქარებდი მის ჩამოწერას. ის ამისთვის უდიადესი მოთამაშეა. მას ისევ უნდა მოიპოვოს დამაჯერებლობა და ამ შემთხვევაში, კვლავ დაიწყებს მოგებას. ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ერთი სეტი, შეიძლება მთელი ტურნირი. მე არ ვიცი რა მიზნები აქვს მას. ვიცი, რომ ის დიადი ჩემპიონია და ყოველთვის ასეთად დარჩება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა უნდა საკუთარი ცხოვრებისგან და რამდენი ხანი სურს თამაში.*

*მე მჯერა, რომ როჯერს კიდევ შეუძლია "დიდ სლემზე" გამარჯვება. ხალხმა მას უკვე ხაზი გადაუსვა. მაგრამ დიად მოთამაშეებს გამოარჩევთ საკუთარი თავის რწმენა. და როცა როჯერი დაიბრუნებს ამ რწმენას, ისევ დაიწყებს თავის დონეზე თამაშს და ისევ მოიგებს "დიდი სლემის" ტურნირს. მას აუცილებლად ექნება პრეტენზია გამარჯვებაზე. შესაძლოა, ის აღარ არის ისეთი ულაპარაკო ფავორიტი, როგორც 2005 წელს იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ ის ფორმას შეინარჩუნებს და ჯანმრთელი იქნება, შეუძლია ისევ მიაღწიოს დიდ გამარჯვებას"*, - ამბობს ლეგენდარული ამერიკელი.



# ყოფილი MVP ფლორიდამ შეიკედლა

**ჰოკეის** ეროვნული ლიგის ვეტერანი მეკარე **ტიმ ტომასი** კარიერას "ფლორიდაში" გააგრძელებს. ხელშეკრულება ერთწლიანია, რომლის მიხედვით ტომასი 2.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, რასაც შეიძლება დაემატოს 1.25 მილიონი დოლარის ოდენობის ბონუსი.

39 წლის მეკარემ გამოტოვა შარშანდელი სეზონი, რათა მეტი დრო გაეტარებინა ოჯახთან ერთად. მაგრამ, ახლა, "პანტერზის" საწვრთნელ ბანაკს შეუერთდა და მომავალ სეზონს ფლორიდაში გაატარებს. 2011 წელს, ტომასი სტენლის თასის მფლობელი გახდა "ბოსტონის" შემადგენლობაში.

*"ტიმი - გამოცდილი მოთამაშეა და მოხარულები ვართ, რომ მასთან კონტრაქტი გავაფორმეთ,* - ამბობს "ფლორიდას" გენერალური მენეჯერი **დეილ ტელონი**. - *ის ნამდვილი მებრძოლია, რომელიც აუცილებლად დაგვეხმარება თავისი გამოცდილებით, რადგან მან სულ ახლახანს მოიგო სტენლის თასი, ორჯერ აიღო საუკეთესო მეკარის პრიზი და პლეი ოფის MVP გახდა. ეს არის ძალიან შრომისმოყვარე, მიზანმიმართული და ერთგული ადამიანი, რომელიც უნდა დაგვეხმაროს მორიგი ნაბიჯის გადადგმაში".*

ამასობაში, გაირკვა, რომ "ფლორიდას" ახალი მფლობელი ჰყავს. ეს არის ნიუ იორკის მცხოვრები **ვინსენტ ვიოლა** - ერთ-ერთი უმსხვილესი ტრეიდინგული კომპანიის Virtu Financial-ის აღმასრულებელი დირექტორი. გარიგების თანხამ 250 მილიონი დოლარი შეადგინა. ვიოლამ 2009 წელს კლუბის აქციათა ნაწილი შეიძინა, ახლა კი მისი ერთპიროვნული მფლობელი გახდა.

## ოლიმპიზმი



# ხვალ ცეცხლი დაინთება

კვირას,ძველ ოლიმპიაში მზის სხივების და პარაბოლური სარკეების მეშვეობით 2014 წლის ზამთრის თამაშების ცეცხლი დაინთება. ამის შემდეგ დაიწყება ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობა საბერძნეთისა და რუსეთის დასახლებულ პუნქტებში და ეს ესტაფეტა 130 დღეში, სოჭში ოლიმპიური ცეცხლის დანთებით დასრულდება.

ტრადიციულად, ესტაფეტის პირველი ნაწილი საბერძნეთში ჩაივლის - ქვეყანაში, რომელმაც აჩუქა სამყაროს ოლიმპიური თამაშები. ერთი კვირის განმავლობაში ჩირაღდანი პელოპონესიდან მაკედონიის გავლით ათენამდე მიაღწევს, სადაც 5 ოქტომბერს ის რუსულ მხარეს გადაეცემა. ოლიმპიურ ცეცხლს რუსეთში 6 ოქტომბერს ჩაიტანენ.

### პროპაგანდისტული პროექტი

პირველად თანამედროვე ისტორიაში ოლიმპიური ცეცხლი 1928 წელს, ამსტერდამის ზაფხულის თამაშების დროს დაანთეს. ესტაფეტის საბერძნეთში სტარტის იდეა ეკუთვნის ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადის გენერალურ მდივანს **კარლ დიმს**, რომელიც ჰიტლერის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო. თავდაპირველად, ეს ღონისძიება მხოლოდ პოლიტიკური და პროპაგანდისტული იყო.

პირველმა ესტაფეტამ იმ ქვეყნის ტერიტორიებზე ჩაიარა, რომელიც ჰიტლერის გერმანიის სტრატეგიული ინტერესების სფეროში იყო. ესტაფეტას თან ახლდა ნაცისტური რეჟიმის მხარდასაჭერი აქციები, მთავარ სპონსორად კი იარაღის მწარმოებელი გერმანიის უმსხვილესი კონცერნი გამოვიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იდეა იდეოლოგიური დატვირთვისგან განთავისუფლდა და 1952 წლიდან მოყოლებული, ესტაფეტა წინ უძღვის ყოველ ოლიმპიადას.

თუმცა ცეცხლის დანთების ადგილის გაპროტესტებას ცდილობდნენ ნორვეგიელები. 1952 წლის ზამთრის თამაშების წინ, ესტაფეტამ სტარტი აიღო ქალაქ მიურგედალის იმ სახლის ბუხრიდან, რომელშიც დაიბადა სათხილამურო სპორტის დამაარსებელი **სონდრე ნორდჰეიმი**. მაგრამ, შემდეგ საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ ყველა ცერემონია - ზამთრის და ზაფხულის - ძველი ოლიმპიიდან დაწყებულიყო.

სხვადასხვა ოლიმპიადის ორგანიზატორები ცდილობდნენ ესტაფეტის ორიგინალური მარშრუტის შედგენას. მაგალითად, 1968 წელს მექსიკაში ოლიმპიურმა ჩირაღდანმა გაიმეორა **ქრისტეფორე კოლუმბის** მოგზაურობის მარშრუტი. 1976 წელს, კანადელებმა ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ცეცხლის გადასატანად ორიგინალური ხერხი მოიფიქრეს: მათ სენსორით დაიჭირეს ცეცხლის ენერგია, გარდაქმნეს ის რადიოსიგნალად და თანამგზავრის საშუალებით გაგზავნეს კანადაში, სადაც ლაზერული სხივის საშუალებით დაანთეს ახალი ჩირაღდანი – და ესტაფეტა გაგრძელდა. სხვადასხვა წელს, ცეცხლის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა ირმებში შებმული მარხილი, კანოე, ფორმულა 1-ის ბოლიდი და ასე შემდეგ.

### იალბუზი, ბაიკალის ტბა, კოსმოსი...

სოჭი 2014-ის ესტაფეტა 123 დღე გაგრძელდება, ცეცხლი გაივლის რუსეთის ფედერაციის 2900 დასახლებულ პუნქტს, ჯამში დაფარავს 65 ათას კილომეტრს, ხოლო ჩირაღდანს 14 ათასი ადამიანი წაიღებს.

რუსეთის გეოგრაფია და კლიმატური პირობები იმის საშუალებას იძლევა, რომ ოლიმპიური ცეცხლი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაიტანონ ერთი ადგილიდან მეორეზე. ჩრდილოეთ რეგიონებში გამოიყენებენ რუსულ სამეულს, ირმებს, ძაღლების მარხილებს, თოვლმავლებს და ყინვაში ცურვის მოყვარულებს ("მორჟებს"). ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ჩირაღდანს გადაიტანენ კომბაინით, ეტლით, ტრამვაით და აქლემითაც კი.

ესტაფეტის რანგში დაგეგმილია რამდენიმე სპეცპროექტი. მაგალითად, ოქტომბრის შუაში ყინულმჭრელის საშუალებით, ოლიმპიური ცეცხლი ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწევს. ტექნიკურად რთული იქნება ბაიკალის ტბაში ოლიმპიური ჩირაღდნის წყლის სიღრმეში ჩატანა.

ესტაფეტის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი იქნება სოჭის ოლიმპიური ჩირაღდნის ღია კოსმოსში გატანა. დაბოლოს, 2014 წლის პირველ თებერვალს, ორი რუსი ალპინისტი ოლიმპიური თამაშების სიმბოლოს იალბუზზე აიტანს. ცეცხლის დანთების საზეიმო ცერემონია 5642 მეტრზე მოხდება.

ესტაფეტა დასრულდება 7 თებერვალს, სოჭის ოლიმპიურ სტადიონზე. სწორედ ამ დღეს აიღებს სტარტს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| ნორვეგია-მოლდოვა | 1:1 |
| კვიპროსი-ესპანეთი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ჰადერსფილდი-ბლეკპული | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| საუთენდი-როვერსი | 1:1 |
| **ნაციონალი** | |
| კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| ნოჩერინა-ფროსინონე | 1:3 |
| **ესპანეთი** | |
| ვალიადოლიდი-მალაგა | 2:2 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ბორუსია (მ) | 2:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აალენი-კიოლნი | 0:1 |
| აუე-კარლსრუე | 3:0 |
| კოტბუსი-არმინია | 4:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-ჰანზა | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| მიუნხენი II-ილერტისენი | 0:2 |
| ბუხბახი-ვიურცბურგი | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰაველსე-ვერდერი II | 1:1 |
| ვილჰელმშავენი-ოლდენბურგი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| უნიონი II-აუერბახი | 4:1 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ზონენჰოფი-ნეკარეტცი | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ტური | 1:1 |
| ბრესტი-კრეტეი | 1:2 |
| კა ბასტია-ლავალი | 1:1 |
| კაენი-ჰავრი | 1:0 |
| შატორუ-ნიორი | 3:0 |
| დიჟონი-ოსერი | 1:0 |
| ისტრი-ტრუა | 0:2 |
| ნანსი-არლი | 0:0 |
| ნიმი-კლერმონი | 1:1 |
| **ნაციონალი** | |
| ორლეანი-დუნკერკი | 1:0 |
| ამიენი-პონ დუ გარი | 0:0 |
| ბულონი-სტრასბური | 1:0 |
| ბურჟი-ლე პუარი | 1:1 |
| კარკეფუ-რედ სტარი | 2:1 |
| კოლმარი-კოლომიერი | 1:2 |
| გფკო აიაჩო-პარიზი | 1:0 |
| ლუკონი-ვანი | 3:2 |
| ლუზენაკი-ფრეჟუსი | 1:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰელმონდი-ალმერი | 1:3 |
| მაასტრიხტი-ემენი | 0:0 |
| ვილემი-ეინდჰოვენი | 3:2 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანტვერპენი-ვირტონი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-გიმარაეში | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სპორტინგი B-ავეში | 1:2 |
| **დანია** | |
| ვიბორგი-ვესტსიელანდი | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| სიოგნდალი-სტრიომსგოდსეტი | 0:5 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იორგრიტე-ანგელჰოლმი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-იარო | 5:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ვენა | 4:1 |
| ლიფერინგი-ჰორნი | 4:2 |
| პარნდორფი-კაპფენბერგი | 1:1 |
| სტ. პოლტენი-მატერსბურგი | 1:0 |
| ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-ახისარი | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანი-დერი | 2:0 |
| კორკი-უნივერსიტი | 2:0 |
| დანდალკი-ლიმერიკი | 1:2 |
| სლიგო-შელბურნი | 2:0 |
| შემროკი-დროგედა | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-უოტერფორდი | 1:0 |
| მერვუ-ლონგფორდი | 1:0 |
| უექსფორდი-ფინ ჰარპსი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ძონეჰსი-ბანგორი | 2:1 |
| პრესტატინი-ეირბასი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| იჟლავა-პლზენი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუდეიოვიცე-ფრიდეკი | 3:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პეტროტრესტი-ნეფტეხიმიკი | 0:3 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძიე-პიასტი | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-მეზოკოვესდი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-საჯეატა | 1:1 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-სკონტო | გადაიდო |
| **არგენტინა** | |
| არსენალი-გოდოი | 1:0 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-დინამო (რ) | 2:1 |
| ადმირალი-ცსკა | 4:2 |
| სიბირი-სლოვანი | 3:1 |
| მეტალურგი (ნ)-ლევი | 3:5 |
| ს. იულიაევი-ნეფტეხიმიკი | 2:1 |
| ტორპედო-ლოკომოტივი | 5:0 |
| აკ ბარსი-სევერსტალი | 1:0 |
| დინამო (მ)-სკა | 2:6 |
| **ავსტრია** | |
| ზნოიმო-ვილახი | 5:3 |
| ვენა-ინსბრუკი | 5:0 |
| გრაცი-ბოლცანო | 5:2 |
| დორნბირნი-ლინცი | 1:3 |
| ზალცბურგი-ფეჰერვარი | 2:3 (ო) |
| ოლიმპია-კლაგენფურტი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 1:3 |
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 3:6 |
| ჰამბურგი-იზერლონი | 3:4 (ო) |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 3:0 |
| შვენინგერი-კიოლნი | 2:1 |
| შტრაუბინგი-მიუნხენი | 3:4 (ო) |
| **დანია** | |
| ოდენსე-ფრედრიკშავნი | 5:4 (ო) |
| სონდერიისკი-ჰერლევი | 6:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-მარტინი | 7:0 |
| პოპრადი-ტრენჩინი | 4:1 |
| სკალიცა-ჟილინა | 4:0 |
| ზვოლენი-პიეშტანი | 1:2 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 4:2 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ბლუზი | 3:1 |
| პელიკანსი-იუვიასკიულა | 2:1 |
| ტაპარა-იოკერიტი | 1:2 |
| ჰპკ-კერპეტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 6:5 (ო) |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 4:3 (ბ) |
| ხომუტოვი-სლავია | 6:7 (ბ) |
| კრალოვე-ლიტვინოვი | 2:3 (ო) |
| ლიბერეცი-კლადნო | 1:3 |
| ჟლინი-ბრნო | 4:3 (ო) |
| სპარტა-ტრშინეცი | 8:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ამბრი პიოტა | 4:0 |
| ლუგანო-დავოსი | 3:4 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 3:6 |
| სერვეტი-ბილი | 3:0 |
| ცუგი-ლოზანა | 2:1 (ო) |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ორებრო | 3:1 |
| ლექსანდი-ვექსიო | 1:1 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ბანგკოკი** | |
| სიმონი-**სისლინგი** | 6:4, 5:7, 6:4 |
| **ბერდიხი**-ლუ | 7:6, 6:4 |
| იუჟნი-**გასკე** | 7:5, 3:6, 1:6 |
| ფ. ლოპესი-**რაონიჩი** | 4:6, 3:6 |
| **ATP. კუალა ლუმპური** | |
| **მელცერი**-დელ ბონისი | 6:3, 6:2 |
| **ბენეტო**-მანარინო | 6:3, 6:3 |
| ფერერი-**სოუზა** | 2:6, 6:7 |
| ტურსუნოვი-**ვავრინკა** | 6:2, 3:6, 6:7 |
| **WTA. ტოკიო** | |
| ვ. უილიამსი-**კვიტოვა** | 6:3, 3:6, 6:7 |
| ვოზნიაცკი-**კერბერი** | 4:6, 6:7 |

## TV პროგრამა

### 28 სექტემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტური. პორტო-გიმარაეში.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:30** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ბაიერნი-ვოლფსბურგი (LIVE).
**19:30** ჩემპიონთა ლიგის სტუდია.
**20:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. ალკმაარი-ეინდჰოვენი (LIVE).
**22:45** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
**23:15** პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტური. ბრაგა-სპორტინგი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კლიპერსი.
**14:00** რალი-კროსი. მიმოხილვა.
**15:00** ძიუდო. გრან-პრი. ალმატი. ყაზახეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. დორტმუნდი-ფრაიბურგი (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. აინტრახტი-ჰამბურგი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. აიაქსი-იგლსი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**13:40** სპორტ-NEWS.
**14:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**23:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.

### 29 სექტემბერი. კვირა

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. აიაქსი-იგლსი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური. ფეიენოორდი-დენ ჰააგი (LIVE).
**18:30** ჩემპიონთა ლიგის სტუდია.
**19:30** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ბრაუნვაიგი-შტუტგარტი (LIVE).
**21:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**23:10** არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ნიუელსი-არგენტინოს ხუნიორსი (LIVE).
**01:15** არგენტინის ჩემპიონატი. IX ტური. ბოკა ხუნიორსი-კილმესი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაგა – სპორტინგი
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-სან ანტონიო.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ძიუდო. გრან-პრი. ალმატი. ყაზახეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ვერდერი-ნიურნბერგი (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. მონტე კარლო.
**22:30** NBA ACTION.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**13:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**21:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**00:05** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# არის დამტკიცებული კალენდარი!



გუშინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის კალენდარი დაამტკიცა.

საგაისო განრიგი 22 ეტაპს მოიცავს, აქედან სამი რბოლა დამატებით უნდა დადასტურდეს - კორეაში, ნიუ ჯერსისა და მექსიკაში. წინასწარ ვერსიასთან შედარებით, შეიცვალა რამდენიმე რბოლის თარიღი, მაგალითად, რუსეთის სადებიუტო გრანპრი სოჭში 5 ოქტომბერს გაიმართება.

| 2104 წლის კალენდარი | |
|---|---|
| 16 მარტი | ავსტრალია |
| 30 მარტი | მალაიზია |
| 6 აპრილი | ბაჰრეინი |
| 20 აპრილი | ჩინეთი |
| 27 აპრილი | კორეა |
| 11 მაისი | ესპანეთი |
| 25 მაისი | მონაკო |
| 1 ივნისი | ამერიკა |
| 8 ივნისი | კანადა |
| 22 ივნისი | ავსტრია |
| 6 ივლისი | ბრიტანეთი |
| 20 ივლისი | გერმანია |
| 27 ივლისი | უნგრეთი |
| 24 აგვისტო | ბელგია |
| 7 სექტემბერი | იტალია |
| 21 სექტემბერი | სინგაპური |
| 5 ოქტომბერი | რუსეთი |
| 12 ოქტომბერი | იაპონია |
| 26 ოქტომბერი | აბუ დაბი |
| 9 ნოემბერი | აშშ |
| 16 ნოემბერი | მექსიკა |
| 30 ნოემბერი | ბრაზილია |

# რუბენს ბარიკელო ისევ დიდ ცირკში?



რუბენს ბარიკელო

არ არის გამორიცხული, 2014 წლის სეზონში ფორმულა 1-ში კვლავ ვიხილოთ ბრაზილიელი ვეტერანი **რუბენს ბარიკელო**, რომელიც „დიდი ცირკის" აბსოლუტური რეკორდსმენია ჩატარებული ეტაპების რაოდენობით.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე წყარომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ „ზაუბერის" პილოტის **ნიკო ჰიულკენბერგის** „მაკლარენში" ან „ლოტუსში" გადასვლა დაადასტურა, ევროპულმა პრესამ დაიწყო მსჯელობა „ზაუბერის" მომავალი შემადგენლობის შესახებ.

შვეიცარიული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ერთხელ არაოფიციალურად განაცხადა, რომ 2014 წელს, ერთ-ერთი საპრიზო პილოტის სტატუსი რუს **სერგეი სიროტკინს** ერგება. სავარაუდოდ, მისი მეწყვილე ესტებან გუტიერესი არ იქნება, რადგან „ზაუბერის" ბოსებს სურთ, რომ სიროტკინს უფრო გამოცდილი თანაგუნდელი ჰყავდეს და არა წლევანდელი დებიუტანტი გუტიერესი.

როგორც იტყობინებიან, „ზაუბერის" შეფობა კონტაქტზე გავიდა 41 წლის ბრაზილიელ **რუბენს ბარიკელოსთან**, რომელმაც ფორმულა 1-ში კარიერა 2011 წელს დაასრულა. ვეტერანთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და როგორც ამბობენ, ბრაზილიელი თანახმაა მიიღოს „ზაუბერის" წინადადება და დაბრუნდეს ფორმულა 1-ში.

კალათბურთი

## შარასი ჟალგირისისაა

ვეტერანმა ლიტველმა გამთამაშებელმა **შარუნას იასიკიავიჩუსმა** კაუნასის „ჟალგირისთან" გააფორმა კონტრაქტი და მომავალ სეზონს ამ გუნდის რიგებში გაატარებს. ხელშეკრულება ერთი წლის ვადით არის დადებული.

37 წლის კალათბურთელმა შარშანდელი სეზონი „ბარსელონაში" ითამაშა. კატალონიური გრანდის გარდა, მის კარიერაში იყო „ლეტუვოს რიტასი", ოლიმპია", „მაკაბი", „პანათინაიკოსი", „ფენერბაჰჩე" და NBA-ის კლუბები - „ინდიანა" და „გოლდენ სტეიტი".

იასიკიავიჩუსი ევროლიგის ოთხგზის ჩემპიონია.

## მაგეტი სპურსში ივარჯიშებს

თავისუფალი აგენტი **კორი მაგეტი** „სან ანტონიო სპურსის" საწვრთნელ ბანაკს შეუერთდება, - წერს ESPN-ის მიმომხილველი **ჯარედ ევერლინგი.**

33 წლის ფორვარდს NBA-ში 14 სეზონი უმაგრებს ზურგს. ბოლო ორ რეგულარულ ჩემპიონატში მან მხოლოდ 50 მატჩი ჩაატარა, რისი მიზეზიც სხვადასხვა ტრავმა იყო.

კალათბურთი

**ევროზასკეტის დროს, ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელი რიკი რუბიო NBA-ის იმ ვარსკვლავს არ ჰგავდა, რომლის ხილვაც სურდათ კალათბურთის მოყვარულებს. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ რუბიოს პროდუქტიულობა არ ეყო ესპანეთის ნაკრებს იმისთვის, რომ სველონიაში ტიტული შეენარჩუნებინა. ტურნირის დროს, „მინესოტას" პლეიმეიკერს HoopsHype-ის ამერიკელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ. აღნიშნულ ინტერვიუში სიტყვაც არ არის ნახსენები ევროპის ჩემპიონატზე...**

# რიკი რუბიო
# ამერიკამ ლამაზი თამაშისთვის შემიყვარა

**- ელოდებით "მინესოტას" საწვრთნელ ბანაკს?**

- მოუთმენლად ველოდები. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ზაფხულს შემადგენლობაში დავამატეთ საჭირო კადრები. ერთობლივი ვარჯიშის ერთმა თვემ ბევრი უნდა მოგვცეს, უნდა დაგვეხმაროს გუნდური მექანიზმების ამუშავებაში.

**- რომელი წინასასეზონო სვლა იყო კლუბისთვის საუკეთესო?**

- იყო რამდენიმე კარგი შენაძენი, მაგრამ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ნიკოლა პეკოვიჩის შენარჩუნება. ის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩეიზ ბადინგერიც მნიშვნელოვანი მოთამაშეა. კევინ მარტინი დამატებით "ბონუსს" მოგვცემს დაგროვილი ქულების მხრივ. ის რამდენიმე სეზონი მუშაობდა რიკ ადელმანთან ერთად და საშუალოდ მატჩში 20 ქულას აგროვებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სათამაშო სისტემა მისთვის მოსახერხებელია.

**- რას იტყვით კლუბში მისულ კორი ბრიუერზე?**

- მე ეს შენაძენიც მომწონს. ანდრეი კირილენკო ძალიან სასარგებლო იყო დაცვაში თავისი მოქმედებებით და ახლა, როცა ის წავიდა, შეიძლება მხოლოდ მოხარულები ვიყოთ ბრიუერის მოსვლით. ის შეძლებს კირილენკოს დაკარგვის კომპენსირებას.

**- "მინესოტას" მფლობელმა გლენ ტეილორმა ამასწინათ დაადასტურა, რომ რიკ ადელმანი მომავალ სეზონშიც დარჩება მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ესეც კარგი ამბავია?**

- რა თქმა უნდა! ძალიან გამიხარდა, როცა ეს ამბავი გავიგე. ადელმანის შესახებ მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. მთელი თავისი კარიერით მან დაამტკიცა, რომ შეუძლია მოთამაშეებს დამაჯერებლობა შემატოს და გუნდში დაამკვიდროს სათამაშო სისტემა, რომელიც პირადად მე ძალიან მომწონს. ჩვენ ვთამაშობთ მიმზიდველ, მხიარულ კალათბურთს. მწვრთნელი გარკვეულ თავისუფლებასა და იმპროვიზაციის უფლებას გვაძლევს, ის არ გვიყვირის, ჩვენზე ზეწოლას არ აქვს ადგილი. მას კალათბურთელებამდე საკუთარი იდეების მიტანის თავისებური მანერა აქვს. და ის შეგირდებში დიდი პატივისცემით სარგებლობს.

**- მას მთელი გასული სეზონის განმავლობაში ოჯახური პრობლემები ჰქონდა...**

- ოჯახური პრობლემები ნებისმიერ ჩვენთაგანს აქვს, მაგრამ ადელმანი პროფესიონალია და გუნდის საქმეებში ბოლომდე იყო ჩართული. ჩვენ მას ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ.

**- გენერალურმა მენეჯერმა დევიდ ქანმა, რომელმაც, თავის დროზე, დრაფტზე აგიყვანათ, კლუბი ამ ზაფხულს დატოვა. როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

- მან ჩემზე გააკეთა აქცენტი, რაც რისკიანი სვლა იყო - და მე ამისთვის ყოველთვის მისი მადლიერი ვიქნები. ამჟამად, ახალი ხელმძღვანელი ფლიპ სონდერსი მთელი თავისი მოქმედებით გვიჩვენებს, რომ უფრო მეტის მიღწევა სურს. მე მას რამდენჯერმე ლოს ანჯელესში შევხვდი და ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**- თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ იმასახურებთ ადგილს NBA-ში. რის დამტკიცებას აპირებთ დამდეგ სეზონში?**

- მინდა უფრო სტაბილური ვიყო, თავიდან ავიცილო ტრავმები და მთელი სეზონი ბოლომდე ჩავატარო. აგრეთვე გავიყვანო გუნდი ახალ დონეზე. ბევრი მიზეზით, ძირითადად ტრავმების გამო, გასული ჩემპიონატი ჩვენი გუნდისთვის ჩავარდნებით იყო სავსე და საერთო ჯამში, ნარუმატებელი აღმოჩნდა. ჯანმრთელები უნდა ვიყოთ, რათა პროგრესს მივაღწიოთ.

**- მაგალითად, გახვიდეთ პლეი ოფში?**

- ჯერ ადრეა პლეი ოფში გასვლაზე ლაპარაკი. ჯერ კარგად უნდა ჩავატაროთ საწვრთნელი ბანაკი, შევთამაშდეთ. შემდეგ ნაბიჯია სეზონის კარგად დაწყება. პლეი ოფამდე ჯერ შორია.

**- მაგრამ გუნდის განწყობა მრავლისმეტყველია...**

- დიახ, ეს ასეა. ჩვენ სავსე ვართ ამბიციებით, მაგრამ მოდით, საკითხები ნაბიჯ-ნაბიჯ გადავწყვიტოთ. ასევე დავსახოთ მიზნები. აჩქარება - ცუდი თანაშემწეა.

**- კომფორტულად ცხოვრობთ მინეაპოლისში?**

- ჩემთვის აქ იოლია ცხოვრება. საკალათბურთო მოედნის მიღმა მუდმივად კეთილი ადამიანები მხვდებიან. ეს მშვიდი და ჩუმი ქალაქია და მე აქ ყველაფერი მომწონს.

**- შეიძლება აგვიხსნათ, რატომ შეგიყვარათ ასე ამერიკამ?**

- არც კი ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ ლამაზად თამაშს ვცდილობ. ყოველთვის მოგებაზე ვთამაშობ, მაგრამ არც იმას ვივიწყებ, რომ ადამიანების გართობაც საჭიროა. აუცილებელია ორგანულად შეერწყას ეს ორი ფაქტორი. მოგება – მთავარი მიზანია, მაგრამ თამაშისგან სიამოვნების მიღებაც მნიშვნელოვანია.

**- კევინ ლავი გუნდის ლიდერია?**

- ეჭვგარეშე. ის ვარსკვლავია, მაგრამ ძალიან ეხმარება გუნდს გასახდელშიც. მას ძალიან რთული წელი ჰქონდა ტრავმების გამო და ის ძალიან გვაკლდა. კევინი იმ მოთამაშეების კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც საკუთარ თავზე მხოლოდ თამაშით ლაპარაკობს და არა სიტყვებით.

**- ის ბედნიერია "მინესოტაში"?**

- როგორც გითხარით, მას რთული წელი ჰქონდა. ვფიქრობ, როცა ყველაფერი წესრიგში იქნება, ის დიდ სიამოვნებას მიიღებს ცხოვრებისგან და თამაშისგან.

**- საკუთარ თავს ხედავთ გუნდის ლიდერად? თუ ევროპელისთვის NBA-ში ასეთი როლი რთულია?**

- ეს ფაქტორი აქ არაფერ შუაშია. ბავშვობიდან ვცდილობდი მეჩვენებინა პარტნიორებისთვის კარგი მაგალითი. სწორედ მოედანზე და არა მის ფარგლებს გარეთ. ყოველთვის მთელს ენერგიას ვხარჯავდი გუნდისთვის. ეს სწორედ ის არის, რასაც ნამდვილი ლიდერი აკეთებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



რიკი რუბიო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608